



კულტურული
მემკვიდრეობის
პირველადი
დაზიანება
კრიზისის დროს

კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება კრიზისის დროს

1. სახელმძღვანელო

*საგანგებო სიტუაციებისთვის კოოხდინიხებული
მზადყოფნა და ხეაგიხება მაგეხიადუხი და
ახამაგეხიადუხი კუდგუხუდი მემკვიდრეობის დასაცავად*

ქართული თარგმანის გამოცემა შესაძლებელი გახდა

ფონდ ALIPH-ის (კონფლიქტურ რეგიონებში
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ალიანსი)

და

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის
და სპორტის სამინისტროს

დახმარებით

წინამდებარე გამოცემა არის ICCROM-ის (კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრი) მიერ შედგენილი და ICCROM-ისა და კულტურისა და განვითარების პრინც კლაუსის ფონდის მიერ თავდაპირველად 2018 წელს გამოცემული სახელმძღვანელოსა და ინსტრუმენტთა კრებულის „პირველი დახმარება კულტურული მემკვიდრეობისათვის კრიზისის დროს“ ქართული თარგმანი.

გამოცემა მოამზადა ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის გრანტისა და ფონდ ALIPH-ის (კონფლიქტურ რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ალიანსი) ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით.

დაბეჭდილია კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრის მიერ (ICCROM), ვია დი სან მიკელი 13, 00153 რომი, იტალია;

და პრინც კლაუსის კულტურისა და განვითარების ფონდის მიერ, ჰენგერახტი, 603, 1017 CE, ამსტერდამი, ნიდერლანდები;

და საქართველოს ლურჯი ფარის ეროვნული კომიტეტის მიერ, თბილისი, საქართველო

© ICCROM, პრინც კლაუსის კულტურისა და განვითარების ფონდი, ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 2022

ICCROM ISBN 978-92-9077-281-1

პრინც კლაუსის ფონდი ISBN 978-90-822913-7-7

თანაკავთორობით შექმნილი

მთავარი ავტორი და რედაქტორი აპარნა ტანდონი, ICCROM

საკვიფიკური ინფორმაციის წყაროები

კატატროფის შემდგომი, ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე როპიტ ჯიგიასუ, ევენ კრეტ, ელკე სელტერი

უსაფრთხოება და სტაბილიზება ელკე სელტერი, ევენ კრეტ, ხავიერ რომანო, ესმერალდა პაპერიო

კონკრეტული მაგალითები მარია სესილია როდრიგეს მორენო, ევენ კრეტ, იპორ პოშივაილო, კიო მით კო, ელკე სელტერი, ვალენტინა სპანო, ლეილა სალა

სამცნიერო მიმოხილვა ჯესიკა დოილი, ჯონათან იტონი, სონია ჯიოვინაცი

კვლევა ჯესიკა დოილი, ვალენტინა სპანო

ინფორმაციის დიზაინი კრისტოფერ მალაპიტანი

კოორდინირება

ICCROM კატრინ ანტომარკი, აპარნა ტანდონი, ჯენიფერ კოპიტორნი, იზაბელ დე ბრისისი და იზაბელ ვერგერი

პრინც კლაუსის ფონდი დებორა სტოლკი, სანე ლეტშერტი

ქართული ვერსია

თარგმნა ქართულად თამარ სოფრომაძე, ქეთევან ხელაძე, ნინო მატარაძე

თარგმანის რედაქტირება მანანა თევზაძე, მარიამ კალხიტაშვილი

ქართული ვერსიის დაკაბადონება ნინო კუბლაშვილი



ნიგნი Attribution-NonCommercial-Share Alike 4.0 International (CC BY-NC-SA 4.0) ლიცენზიის მიხედვით (<https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/4.0/>) ხელმისაწვდომია ყველასათვის. ამ ნიგნიშში შესული ინფორმაციის გამოყენებით მომხმარებლები ეთანხმებიან საქართველოს ლურჯი ფარის ეროვნული კომიტეტის ღია წვდომის პირობებს.

თავდაპირველი სათაური: First Aid to Cultural Heritage in Times of Crisis; 1. Handbook and 2. Toolkit

დაბეჭდილი 2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრის (ICCROM) და პრინც კლაუსის კულტურისა და განვითარების ფონდის მიერ

ნიგნიში გამოყენებული მითითებები და მასალა არ გამოხატავს არავითარ მოსაზრებას ICCROM-ის ან პრინც კლაუსის კულტურის და განვითარების ფონდის სახელით ნებისმიერი ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქისა თუ არეალის სამართლებრივ სტატუსთან, მის მთავრობასთან ან მისი საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით. ამ ნიგნიში გამოსატული იდეები და მოსაზრებები სრულად ეკუთვნის ავტორებს და არ არის უცილობლად ICCROM-ისა და პრინც კლაუსის ფონდის კუთვნილება.

ვარკანის ფლტოს ავტორი როპიტ ჯიგიასუ

სარჩევი

| | |
|----------------------------------|---|
| წინასიტყვაობა | 5 |
| შესავალი | 6 |
| როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო | 8 |



კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება

| | |
|--|----|
| • რა არის კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება? | 10 |
| • როგორ უზრუნველვყოთ პირველადი დახმარება? | 11 |
| • ვის შეუძლია ამ პროცესის წამოწყება? | 15 |
| • რატომ არის საჭირო კოორდინირება? | 20 |
| • როდის უნდა მოხდეს მისი უზრუნველყოფა? | 22 |



ნაბიჯი 1: სიტუაციის ანალიზი

| | |
|--|----|
| • რა არის სიტუაციის ანალიზი? | 27 |
| • რატომ არის საჭირო სიტუაციის ანალიზის ჩატარება? | 28 |
| • ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა? | 29 |
| • როგორ უნდა განხორციელდეს ის? | 30 |



ნაბიჯი 2: მოვლენის შემდგომი ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე

| | |
|---|----|
| • რა არის მოვლენის შემდგომი ზიანისა და რისკის შეფასება? | 45 |
| • რატომ არის საჭირო მისი განხორციელება? | 46 |
| • როგორ უნდა განხორციელდეს ის? | 47 |



ნაბიჯი 3: უსაფრთხოება და სტაბილიზება

| | |
|---|-----|
| • რა არის უსაფრთხოება და სტაბილიზება? | 71 |
| • ვის შეუძლია უსაფრთხოებისა და სტაბილიზების უზრუნველყოფა? | 72 |
| • ძეგლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 75 |
| • კატასტროფის შემდგომი ევაკუაცია | 79 |
| • გადარჩენა | 90 |
| • ნაგებობების საგანგებო სტაბილიზება | 106 |
| • არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვა | 119 |



ადრეული აღდგენა

| | |
|----------------------------|-----|
| • რა არის ადრეული აღდგენა? | 127 |
| • რეკომენდებული ქმედებები | 129 |
| • დასკვნა | 137 |

ლექსიკონი

ბიბლიოგრაფია

წინასიტყვაობა

კულტურა აღიარებულია კაცობრიობის განვითარების მამოძრავებელ ძალად, თუმცა წლობით ნაღვანი შესაძლოა კატასტროფამ ერთ ნაშში გაანადგუროს, რასაც ხშირად მოსდევს ტრაგიკული შედეგები და იწვევს საზოგადოების უკან დახევას. ამის მიუხედავად, ხშირია ისეთი ისტორიები, როცა საზოგადოებამ კულტურის მეშვეობით მოახერხა მიღებული დანაკარგისა და ტკივილის დაძლევა. ყოველივე ამან სამეცნიერო საზოგადოებას ბოლო დროს უბიძგა, უფრო ღრმად შეესწავლა კავშირი კულტურულ ტრადიციებსა და კატასტროფებთან გამკლავების მექანიზმებს შორის.

პრინც კლაუსის ფონდის კრედო – კულტურა ძირეული საჭიროებაა – ეხმიანება ICCROM-ის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის ფილოსოფიას. სწორედ ამ საერთო მოსაზრებით განიზრახა ამ ორმა ორგანიზაციამ, შეექმნა რესურსი, რომელიც ასახავდა უმთავრესი დაინტერესებული მხარის, საზოგადოების ინტერესებს ღირსშესანიშნავი ადგილებისა და არტეფაქტების აღდგენის პროცესში. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, დაეხმარება მათ შემდგომი კატასტროფის მიმართ მუდგომის განმტკიცებაში.

ჩვენ წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ის, რომ ხშირ შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საკითხი არ არის ფორმალურად ასახული საგანგებო სიტუაციების მართვის ეროვნულ და ადგილობრივ სისტემებში. თუმცა პირველი მორეაგირების აზრით, მათი ჩართვა გარდაუვალია მემკვიდრეობის გადარჩენის პროცესში, ერთი მხრივ იმიტომ, რომ საფრთხე აარიდონ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც საკუთარი სიცოცხლის ფასად ცდილობს მემკვიდრეობის გადარჩენას და მეორეც იმიტომ, რომ მათ კარგად ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია მემკვიდრეობა დანაკარგთან და ტრავმასთან გამკლავების პროცესში.

„კულტურა ვერ მოიცდის“ – ორივე ორგანიზაციის (ICCROM და პრინც კლაუსის ფონდი) ღრმად გვწამს ამის. 2010 წელს ICCROM-მა იტალიის კულტურის სამინისტროსთან და სხვა პარტნიორებთან ერთად შექმნა კურსი – „კულტურული მემკვიდრეობის პირველი დახმარება კრიზისის დროს“. შემდგომში პროცესში ჩაერთო სმითსონის ინსტიტუტი და პრინც კლაუსის ფონდი, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა „კულტურული მემკვიდრეობის მაშველების“ ქსელი და მათი ინიციატივების მხარდაჭერით უზრუნველყო პოზიტიური ძვრები დარგის განვითარებისთვის.

ამ წიგნის მიზანია, ხელი შეუწყოს პირველადი დახმარების პროცესების სისტემატიზაციას და შემდგომ კვლევებს, აქტივობებსა და ცნობიერების ამაღლებას ამ მიმართულებით. ავტორებს გააზრებული აქვთ, რომ ყველა საგანგებო სიტუაცია გვასწავლის ახალ გაკვეთილს და საშუალებას გვაძლევს, შევავსოთ ნაკლები ადგილები ცოდნასა და პრაქტიკაში. მოწოდებული ინფორმაცია ასახავს სხვადასხვა თვალთახედვას და ცდილობს გააღვივოს ფართო დისკუსია ამ საკითხის გარშემო.

ექვყვარეშეა, რომ კატასტროფის რისკის შემცირება განვითარებასთან დაკავშირებული საკითხია. იმედოვნებ, რომ ეს სახელმძღვანელო და ინსტრუმენტა კრებული, თავიანთი პრაქტიკული რჩევებით, განვითარებისა და მუდგომის მიღწევით, დაგვანახავს მემკვიდრეობის დაცვის ახალ შესაძლებლობებს.

ვებერ ნდორო

გენერალური დირექტორი, ICCROM

ჯემანა ელ ზეინ ხური

დირექტორი, პრინც კლაუსის ფონდი
კულტურისა და განვითარებისთვის

შესავალი

რატომ უნდა დავიცვათ კულტურული მემკვიდრეობა ჰუმანიტარული კრიზისის დროს?

კულტურა ვერ მოიცდის! კატმანდუში, ნეპალში, 2015 წლის გამანადგურებელი მიწისძვრებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ დურბარის ისტორიულ მოედანზე, სალოცავთა ნანგრევებს შორის მლოცველები და მეყვავილეები გამოჩნდნენ. ისინი იქ ტკივილთან და ტრავმასთან გასამკლავებლად დაბრუნდნენ, რათა ნუგეში ეპოვათ ყოველდღიურ რელიგიურ რიტუალებში და განეახლებინათ თავიანთი ტრადიციები. ამან აშკარა გახადა, რომ ნეპალელი ხალხის მოწყვლადობის შესამცირებლად აუცილებელი იყო უძველესი სალოცავებისა და ქალაქის მოედნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სტაბილიზება.

ამ მოვლენის შემდეგ ერთ წელიწადში, მიწისძვრის შემდგომი ძიების და გადარჩენის ოპერაციების დროს, მეხანძრეები იტალიაში ეხმარებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს ნორსიის დაზიანებული ეკლესიიდან სურათ *მაღონა აჟოროხატას* (მგლოვიარე მაღონა) ევაკუაციაში. ნორსიის ეკლესია ამ ოპერაციების შემდგომ, 2 თვეში მომხდარი კიდევ ერთი მიწისძვრის შედეგად სრულად ჩამოინგრა. მეხანძრეებისათვის ამ სურათის გადარჩენა პრიორიტეტი იყო, რადგან იცოდნენ, რომ ნორსიელი ხალხისათვის ღვთისმშობელი გამძლეობისა და სიცოცხლის სიმბოლო იყო, როგორც მონმე არაერთი მიწისძვრისა.

კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად უანგარო და ნებაყოფლობითი ქმედება ჰუმანიტარული კრიზისის დროს მხოლოდ კატასტროფებს არ უკავშირდება. საზოგადოებები, რომელთა ცხოვრებაც მუდმივად მწვავე კონფლიქტებითაა გარემოცული, ხშირად პრიორიტეტად აქცევენ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, მაშინაც კი, როდესაც მათი პირადი უსაფრთხოება რისკის ქვეშაა.

ფოტოები, დოკუმენტები, რელიგიური და პირადი არტეფაქტები, ტრადიციები და ნაგებობები – ნებისმიერი რამ, რაც აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან და მათი იდენტობის შეგრძნებას აყალიბებს, ან რაც მათი საარსებო სახსრების მოპოვებას უწყობს ხელს, მეტად ფასეული ხდება ნგრევისა და იძულებით გადაადგილების დროს. შესაბამისად, დაუშვებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და აღდგენის გადადება და ამ პროცესის საგანგებო სიტუაციის დროს განუვლი ჰუმანიტარული დახმარებისგან გამოყოფა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ქმედებათა საბოლოო მიზანს წარმოადგენს ადამიანთა დახმარება ტრავმის გადატანასა და ჩვეულ ცხოვრებასთან დაბრუნებაში.

რატომ ეს სახელმძღვანელო?

ფართომასშტაბიანი და მრავალდონიანი ჰუმანიტარული კრიზისის დროს კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ბევრი მიზეზის გამო წარმოადგენს რთულ პროცესს. მთავარი მიზეზი არის კულტურული მემკვიდრეობის უგულვებლყოფა ეროვნული და სა-

ერთაშორისო საგანგებო სიტუაციის მართვის სისტემების მიერ. სხვა მიზეზები გამოიკვეთება შემდეგ კითხვებში: თუკი რამდენიმე კულტურული ძეგლი დაზარალდა, საიდან უნდა დავიწყოთ? ვინ უნდა მოგვცეს წვდომა? ვის შეუძლია დახმარება? როდის არის უპრიანი დრო ჩარევისთვის? როგორ უნდა ჩავერიოთ?

წინამდებარე სახელმძღვანელო და ინსტრუმენტა კრებული დეტალურად აღწერს კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების პროცესს: დაუყოვნებელ და ურთიერთდამოკიდებულ ნაბიჯებს, რომლებიც იდგმება საფრთხის ქვეშ მყოფი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტაბილიზებისა და მათი დაზიანების რისკების შემცირებისათვის და მისი აღდგენის ხელშეწყობის მიზნით. პრაქტიკაში გამოცდილი, სამნაბიჯიანი გეგმის დახმარებით ის ადგენს, თუ როდის და როგორ უნდა დავიცვათ საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობა და მიგვანიშნებს, თუ ვის შეუძლია დახმარების გაწევა ასეთი ოპერაციების დროს. წარმოდგენილი ნაბიჯები და ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა შესაძლოა მოერგოს სხვადასხვა ტიპის საგანგებო სიტუაციას და მათ სპეციფიკურ კონტექსტს.

სახელმძღვანელო ფუნქციონირებს, როგორც:

- რესურსი მაშველების, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებისა და მოხალისეთა მოსამზადებლად;
- საშუალება, რომელიც აუმჯობესებს კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციების საგანგებო სიტუაციებისათვის მზაობასა და რეაგირების გეგმებს;
- გზამკვლევი, რომელიც ჰუმანიტარული დახმარებისა და აღდგენის დროს დაეხმარება პირველადი დახმარების ოპერაციების შესრულებაში.
- სახელმძღვანელო განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების ასპექტებს, რომელთა კოორდინირებული განხორციელებაც დაეხმარება დაზარალებული მოსახლეობის მონყვლადობის შემცირებას. იმედი გვაქვს, რომ ამით მხარს დავუჭერთ კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების ჩართვას საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ საგანგებო რეაგირებისა და ჰუმანიტარული დახმარების სისტემებში.

წინამდებარე სახელმძღვანელო და მისი თანმხლები ინსტრუმენტა კრებული ჩამოყალიბების პროცესშია და ავტორებისთვის უაღრესად საინტერესოა მკითხველის მოსაზრებები. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს დარგის აქტუალობა და ხარისხიანი ინფორმაცია მიეწოდოს მას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

აპარნა ტანდონი

კრიზისის დროს კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დაცვის პროგრამის კოორდინატორი, ICCROM

fac@iccrom.org

როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო

წარმოგიდგენთ რჩევებს, რომლებიც დაგეხმარებათ წინამდებარე სახელმძღვანელოსა და თანმხლები ინსტრუმენტთა კრებულით სარგებლობისას.

წიგნის გამყოფები

ყველა გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში იხილავთ ინტერაქტიურ ფერად გამყოფებს, რომლებიც გადაგიყვანთ წიგნის სასურველ სექციაზე.

ჰიპერკავშირი

ლურჯი: გაკავშირებთ დოკუმენტის კონკრეტულ სექციასთან.

ნარინჯისფერი: გაკავშირებთ ლექსიკონთან.



რჩევები: გამოცდილებაზე დაყრდნობილი რჩევა.



გაფრთხილება: საჭიროა ყურადღება, რათა თავიდან აიცილოთ გაუთვალისწინებელი საფრთხეები ან/და შეცდომები.



საკითხათ მხტი: დამატებითი საკითხავი.




მაგალითი: კონკრეტული შემთხვევების დროს გამოვლენილი გამოწვევები, დადებითი პრაქტიკა ან ველზე მიღებული გამოცდილება.



ინტერაქტივი: სცადეთ სავარჯიშო ან აქტივობა.

**კულტურული
მემკვიდრეობის
პირველადი
დახმარება**



რა არის კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება?

კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება განისაზღვრება, როგორც **საგანგებო სიტუაციის** დროს და მის შემდგომ საფრთხის ქვეშ მყოფი **კულტურული მემკვიდრეობის** სტაბილიზაციისა და **რისკების** შემცირებისათვის გადადგმული დაუყოვნებელი და ურთიერთდამოკიდებული ქმედებები. მსგავსი საგანგებო სიტუაციის უშუალო მიზეზი შესაძლოა იყოს **ბუნებრივი** ან **ადამიანის მიერ** შექმნილი საფრთხე, ან ორივე ერთად. პირველადი დახმარება მოიცავს საგანგებო სიტუაციისა და კულტურულ მემკვიდრეობაზე მისი სავარაუდო გავლენების **ანალიზს, ზიანისა და რისკის შეფასებას ადგილზე** და **უსაფრთხოებასა და სტაბილიზებას**.

პირველადი დახმარების საბოლოო მიზანია დაზარალებული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება მასთან დაკავშირებულ საზოგადოებას აღდგენასა და კატასტროფამდე არსებულ მდგომარეობასთან დაბრუნებაში.

ინსტიტუციური საგანგებო ან კრიზისზე რეაგირების გეგმაში კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება არის საგანგებო რეაგირების პროცედურების ნაწილი. ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი კატასტროფების შემდგომ, კულტურული მემკვიდრეობისთვის პირველადი დახმარების განვეას ინყებენ მხოლოდ ოფიციალურად გამოცხადებული საგანგებო ფაზის დასრულების შემდგომ. მიუხედავად ამისა, წინასწარ მომზადება და კოორდინირება მაინც დაგვეხმარება საგანგებო სიტუაციის დროს სწრაფი და ეფექტური პირველადი დახმარების განვეაში.



ტაძრის საგანგებო სტაბილიზება კატმანდუში, ნეპალი, 2015, ფოტო: ICCROM.




როგორ შეგვიძლია აღმოვუჩინოთ პირველადი დახმარება სხვადასხვა ტიპის კულტურულ მემკვიდრეობას საგანგებო სიტუაციისას?

სახელმძღვანელო გამოყოფს სამსაფეხურიან სამოქმედო გეგმის ჩარჩოს ყველა ტიპის კულტურული მემკვიდრეობისათვის პირველადი დახმარების გასანევად რამდენიმე ლოკაციაზე.

გეგმა ეყრდნობა ICCROM-ის საერთაშორისო და მრავალპარტნიორიან კურსს „**კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება კრიზისის დროს**“ (FAC), ასევე მნიშვნელოვან საველე გამოცდილებასა და ინტერდისციპლინარულ თანამშრომლობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის პროფესიონალებთან.

თითოეული საგანგებო სიტუაცია განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ ქმედებები, რომლებიც აღწერილია გეგმის ფარგლებში, უნდა მოერგოს კონკრეტულ კონტექსტს.

კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების სამოქმედო გეგმის ჩარჩო



გეგმის ყველა ეტაპს აქვს თითოეული მოქმედების გეგმა, რომელიც შეიძლება დაიყოს ცალკეულ ქმედებებად.



ეტაპი 1: სიტუაციის ანალიზი

სიტუაციის ანალიზი გვთავაზობს საგანგებო სიტუაციის აღქმის საშუალებას ფართო კონტექსტში. ის პირველადი დახმარების ჯგუფის წევრებს აძლევს საშუალებას, ადგილზე სამოქმედოდ ჩამოაყალიბონ კონტექსტისათვის სპეციფიკური გეგმა. სიტუაციის ღრმა ანალიზი ტარდება საგანგებო ფაზის ბოლოს, რათა გამოიკვეთოს **კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის** საშუალო და გრძელვადიანი საჭიროებები.



ეტაპი 2: ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე

ზიანისა და **რისკის შეფასება** ადგილზე მიყენებული ზიანისა და **კატასტროფის** შემდგომ მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებისა და აღნუსხვის საშუალებას იძლევა. ამ ეტაპის შედეგები გვეხმარება ადგილზე ქმედების პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში.



ეტაპი 3: უსაფრთხოება და სტაბილიზება

უსაფრთხოება და **სტაბილიზება** მოიცავს ქმედებებს, რომლებიც გვეხმარება ზიანისა და რისკების შემცირებაში, რაც ერთი ნაბიჯით გვაახლოებს დაზიანებული მემკვიდრეობის აღდგენასთან. ამ ეტაპზე ქმედებები მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის ერთმანეთისაგან განსხვავდება.

დოკუმენტაცია, განგრძობითი **რისკების მართვა**, **კომუნიკაცია** და **კოორდინაცია** სხვა **პირველ მორეაგირებთან** აუცილებელია ამ ეტაპების წარმატებით გასავლელად. ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა, რომლებიც აღწერილია ამ გეგმაში, გვეხმარება, გამოვავლინოთ კულტურული მემკვიდრეობის მაშველები, ადგილობრივი თემის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციებისათვის საერთო მოქმედების არეალები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და აღდგენის მიზნით განხორციელებული ქმედებები უნდა ემთხვეოდეს ჰუმანურობის, ნეიტრალურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ჰუმანიტარულ პრინციპებს. ამის განხორციელებაში დასახმარებლად, წინამდებარე სახელმძღვანელო გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც შეესაბამება ჰუმანიტარული დახმარების სფეროში აღიარებულ იდეებს.





კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების სახელმძღვანელო პრინციპები

1. ადამიანებზე ფოკუსირებული პირველადი დახმარება

ადამიანთა საჭიროებების პირველ ადგილზე დაყენება და მათ მიერ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და აღდგენის შესაძლებლობების გაძლიერება პირველადი დახმარების სისტემის მიდგომისა და შინაარსის არსებითი ნაწილია.



კრიზისების დროს მემკვიდრეობის ძეგლები ხშირად გამოიყენება, როგორც თავშესაფარი იძულებით გადაადგილებულ ადამიანთათვის. კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარებამ უნდა გაითვალისწინოს მსგავსი საჭიროებები და ხელი შეუწყოს დახმარების სამუშაოებს. ასევე სტატისტიკა მიუთითებს, რომ უმეტესი კატასტროფის დროს ადგილობრივები არიან პირველნი, ვინც რეაგირებენ და იცავენ თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას. მაგალითად, 2012 წლის კონფლიქტის დროს ჩრდილოეთ მალიში, პირად კუთვნილებაში არსებული ხელნაწერები ტრადიციულმა თემთაშორისმა ქსელმა შეინახა და გადაარჩინა. ხშირად საზოგადოებებს აქვთ დროში გამოცდილი გამკლავების მექანიზმები და მდიდარი ცოდნა (მაგ., ტრადიციული სამშენებლო მეთოდები), რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული რეკონსტრუქციისა და აღდგენის დროს.

2. ინკლუზიური დამოკიდებულება და მრავალფეროვნების პატივისცემა

პირველადი დახმარება უნდა იზიარებდეს ინკლუზიურ თვალთახედვას, რათა ხელი შეუწყოს ყველა იმ ელემენტის აღიარებას, რომლებიც შეადგენენ კატასტროფის მიერ დაზიანებულ კულტურულ მემკვიდრეობას



კულტურული მემკვიდრეობის მაშველებმა, როგორც ადამიანებმა და პროფესიონალებმა, შესაძლოა უნებლიეთ მიიღონ სუბიექტური გადაწყვეტილებები, რასაც მოჰყვება კულტურული მემკვიდრეობის შერჩევითი აღიარება და შესაძლოა გამოიწვიოს დაზარალებულ მხარეში ისედაც არსებული უთანასწორობის ზრდა. მაგალითად, ტრადიციულად, ინსტიტუციური რეაგირება ფოკუსირდება მონუმენტურ ან განსაკუთრებული მნიშვნელობის მემკვიდრეობაზე, ხალხური მემკვიდრეობა კი ხშირად დაწყინებულია.

3. კონტექსტს მორგებული რეაგირება

საგანგებო სიტუაციის ფართო კონტექსტის გაგება აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობისთვის ეფექტური პირველი დახმარების გასაწევად.



ყოველ საგანგებო სიტუაციას თავისი კონტექსტი აქვს. კონტექსტური ანალიზი მთავარ მოქმედ პირთა საჭიროებების და მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესაძლებლობების ამოცნობის/იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. კონტექსტის შეფასება ასევე გვეხმარება იმ რისკფაქტორთა გამოვლენაში, რომლებსაც მოცე-





მულ კრიზისში უფრო დიდი ზიანის გამოწვევა შეუძლია კულტურული მემკვიდრეობისათვის. მაგალითისთვის, დაცვის არარსებობამ ძალადობრივი კონფლიქტის პირობებში შეიძლება გაზარდოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სისტემატური დარცვის რისკი.



4. კულტურის და ჰუმანიტარული დახმარებისა და აღდგენის დაკავშირება

კულტურული მემკვიდრეობისთვის პირველადი დახმარების განწვეა უნდა მოხდეს ჰუმანიტარულ დახმარებასთან და აღდგენასთან კავშირში.



აღიარება რა, რომ ნებისმიერი კრიზისის დროს ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა არის პრიორიტეტი, აგრეთვე იმასაც, რომ დაზარალებულ ადამიანებს აქვთ უფლება, მიიღონ დახმარება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი კულტურების სიცოცხლისუნარიანობა, პირველადი დახმარების სისტემა ხაზს უსვამს კულტურული და ჰუმანიტარული პირველადი დახმარებისა და რეაგირების ურთიერთდამოკიდებულებას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა უნდა მოხდეს შესაბამის სამთავრობო და ჰუმანიტარული დახმარების სააგენტოებთან კოორდინაციითა და ახლო თანამშრომლობით. მაგ., ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ წამოწყებული პროგრამები, როგორცაა, ე. წ. ნაღდი ფული სამუშაოსთვის, შესაძლოა გამოვიყენოთ კულტურული მემკვიდრეობის არეალებში ნანგრევების გადასარჩევად და ობიექტებისა თუ შენობის ფრაგმენტების გადასარჩენად.



5. არ ავნო

პირველადი დახმარების ქმედებებმა თავიდან უნდა აიცილოს შემდგომი დაზიანება და ხელი შეუწყოს აღდგენას.



კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, დამატებითი რისკების შეფასების, შემცირებისა და მათთვის მზადების გზით თავიდან აიცილოს შემდგომი დამატებითი დაზიანება. მაგალითისთვის, კოლექციებისათვის ბომბგამძლე დროებითი საცავის მოწყობისას დარწმუნდით, რომ ის დაცულია ისეთი რისკებისგან, როგორცაა ქურდობა ან დატბორვა.

ვის შეუძლია ნებართვის გაცემა კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების დასაწყებად?

უმეტეს შემთხვევებში, დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის მცველი გასცემს პირველადი დახმარების ოპერაციების დაწყების ნებართვას. მცველი შეიძლება იყოს ეროვნული ან ადგილობრივი სამთავრობო დაწესებულება/უნყება, ან რელიგიური ორგანიზაცია.

თუმცა მცველი არ არის ერთადერთი უფლებამოსილი პირი. ოფიციალურად გამოცხადებული საგანგებო სიტუაციის დროს რეაგირების პრიორიტეტები განსაზღვრულია იმ სააგენტოების მიერ, რომლებიც ინციდენტის მართვაზე არიან პასუხისმგებელნი.

ქვეყნის საგანგებო სიტუაციების მართვის კანონები განსაზღვრავს, თუ ვის აქვს უფლებამოსილება, მოახდინოს რეაგირება და უზრუნველყოს წვდომა დაზიანებულ არეალებში. შესაბამისად, წინასწარი კოორდინირება უფლებამოსილ პირთან, რომელიც პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ორგანიზებაზე და ასევე მცველის ნებართვის ქონა აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დაზიანების ოპერაციების დასაწყებად.



მიწისძვრის შემდგომი გაწმენდის ოპერაციები კატმანდუში, ნეპალი, 2015.
ფოტო ტაპაშ პოლ/დრიკ



ვინ უნევს კოორდინირებას საგანგებო რეაგირებას?

ოფიციალურად გამოცხადებული საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, უფლებამოსილი სახელმწიფო პირი, როგორც წესი, ამტკიცებს **საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების კოორდინატორს** ან **ინციდენტის მეთაურს**. ის კი, თავის მხრივ, წინასწარ განსაზღვრული პროცედურის მიხედვით ქმნის **საგანგებო მართვის სისტემას**. მაგალითად, ინდოეთში, **2005 წლის ეროვნული კატასტროფის მართვის კანონის** მიხედვით, კატასტროფების მართვის ეროვნული უწყება კოორდინირებას უნევს ყველა ტიპის, ბუნებრივ და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების შემდგომ რეაგირებას.





იმის მიხედვით, თუ როგორია კატასტროფის მასშტაბი და საჭიროებები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფები, როგორცაა, მაგალითად, სამოქალაქო თავდაცვის ერთეულები, წითელი ჯვრის მოხალისეები, პოლიცია და ჯარი, მოქმედებენ ქვეყნის საგანგებო სიტუაციის მართვის სისტემის ფარგლებში, რათა დაიცვან ადამიანების სიცოცხლე, აღადგინონ კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების საშუალებები და დააკმაყოფილონ სხვა ძირითადი საჭიროებები.

მასშტაბური საგანგებო სიტუაციის დროს ეროვნულმა მთავრობამ შესაძლოა დახმარებისთვის მიმართოს სხვა ქვეყნებს ან საერთაშორისო საზოგადოებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ლიდერობით. გაერო ჰუმანიტარულ რეაგირებას სააგენტოთაშორისი კომიტეტის მეშვეობით ხელმძღვანელობს (IASC), რომელსაც შეადგენენ გაეროსა და საერთაშორისო სააგენტოების ჰუმანიტარულ დახმარებაში ჩართული **მოქმედი პირები**. აღნიშნული კომიტეტი საგანგებო სიტუაციის დადგომიდან 48 საათში თავდაპირველ შეფასებაზე დაყრდნობით ახდენს მის კლასიფიცირებას მასშტაბის, სირთულის, სისწრაფისა და სიტუაციის მართვის ადგილობრივი **პოტენციალის** საფუძველზე.

მეორე ან **მესამე დონის** საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, გაერო გაააქტიურებს კოორდინირებულ რეაგირებას, რამდენიმე სააგენტოს ჩართულობით (გაერო, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები) და ჰუმანიტარულ დახმარებას თემატურად დააჯგუფებს. ასეთ სიტუაციებში ხშირია, რომ ადგილობრივი უწყებები და მათი რეაგირების შესაძლებლობები კრიტიკულად შესუსტებულია. მსგავს სიტუაციაში ადგილობრივი მთავრობა თანამშრომლობს საერთაშორისო სააგენტოებთან, რათა განახორციელოს მდგომარეობის შეფასება და დაფინანსების მოთხოვნა **კლასტერის** შიგნით. ამჟამად კულტურა არ შედის კლასტერების სისტემაში.

თუკი გამოცხადდება, რომ საგანგებო სიტუაცია არის კომპლექსური, გაეროს ჰუმანიტარულმა დახმარებამ მშვიდობისმყოფელ მისიაში შესაძლოა ჩართოს სამხედრო და/ან პოლიციის ძალები.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 155



ვის შეუძლია კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების დაგეგმვა და განხორციელება?

კულტურული მემკვიდრეობის მაშველს შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს პირველადი დახმარების ოპერაციები საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებთან, ჰუმანიტარული სფეროს პროფესიონალებთან, მემკვიდრეობის მფლობელებთან და მოხალისეებთან თანამშრომლობით.

კულტურული მემკვიდრეობის მაშველია ის, ვისაც გავლილი აქვს თეორიული და პრაქტიკული სწავლება საგანგებო სიტუაციების დროს ან უშუალოდ მის შემდგომ საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში. პირველადი დახმარების განევა **მასშტაბური ან კომპლექსური საგანგებო სიტუაციის** დროს მოიცავს საკვების, წყლის, თავშესაფრის, უსაფრთხოების და სხვა. საჭიროებების დაბალანსებას და დაკმაყოფილებას. კულტურული მემკვიდრეობის მაშველს უნდა შეეძლოს გაუმკლავდეს ფიზიკურ, ფსიქიკურ, გარემოსთან და კონკრეტულ დავალებებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

მას უნდა ჰქონდეს ცოდნა და უნარები, სხვადასხვა საგანგებო სიტუაციის კონტექსტში მოახდინოს სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის შეფასება, დოკუმენტაცია, დაცვა და სტაბილიზება. მას უნდა შეეძლოს მუშაობა მულტიდისციპლინარულ ჯგუფებში. იგი შესაძლოა იყოს ადგილობრივი თემის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მართვის სააგენტოების და კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუციების წარმომადგენელი.

ნაიკითხეთ ჩამოთვლილი თვისებები, რათა თქვენი ორგანიზაციიდან ან ადგილობრივი საზოგადოებიდან გამოავლინოთ კულტურული მემკვიდრეობის მაშველის პოზიციისათვის შესაფერისი პირი.



კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების ჯგუფის წევრი, პორტოპრენსი, ჰაიტი, 2010. ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM

კულტურული მემკვიდრეობის მაშველის სამი უმთავრესი თვისება



საზრიანი

- აქვს კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვანი ფორმების შესახებ ცოდნა;
- აქვს საგანგებო სიტუაციის კონტექსტის ცოდნა;
- ფლობს ძლიერ ანალიტიკურ და კრიტიკულ უნარებს.



ადამიანებზე ფოკუსირებული

- არის აქტიური მსმენელი;
- ესმის და პატივს სცემს არსებულ სოციალურ სტრუქტურებს, რწმენასა და ღირებულებებს;
- თამაშობს გუნდურად;
- მგრძნობიარეა ადამიანთა საჭიროებების მიმართ;
- შეუძლია ნდობის მოპოვება.



ქმედებაზე ორიენტირებული

- არის პოზიტიური და პროაქტიული დამოკიდებულების მქონე;
- შეუძლია პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტა;
- აქვს სწრაფად აზროვნების უნარი.



რატომ არის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების კოორდინირება ზოგად საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებასთან?

საგანგებო სიტუაციის დროს დახმარების და აღდგენის პრიორიტეტები იდენტიფიცირებულია წინასწარ ორგანიზებული ეროვნულ ან საერთაშორისო საგანგებო სიტუაციებზე მართვის სისტემების მიერ. ამოცნობილ პრიორიტეტებზე დაყრდნობით, დახმარების განევა ხდება არსებული სისტემების მეშვეობით. უსაფრთხოებისა და დაცულობისათვის მკაცრად კონტროლდება საგანგებო სიტუაციის შედეგად დაზარალებულ ადგილებთან წვდომა.

იმისათვის, რომ მოვხვდეთ საგანგებო სიტუაციის შედეგად დაზიანებულ ადგილას და დავრწმუნდეთ, რომ კულტურული მემკვიდრეობა პრიორიტეტს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე სტრუქტურების ძალისხმევის კოორდინირება საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ერთიან სისტემაში. თუ ეს არ მოხდა, შესაძლოა გაიზარდოს მემკვიდრეობის დაზიანებისა და განადგურების რისკი.



კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების კოორდინირების მაგალითი: ჰაიტი

2010 წლის ჰაიტის მიწისძვრის შემდგომ თვეებში ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუტმა (ISPAN) მონიშნა დაზიანებული ისტორიული ნაგებობები. ნაგებობების დაცვისა და სტაბილიზებისათვის თანხებისა და ადამიანური რესურსის ნაკლებობის გამო, ინსტიტუტის მთავარი მიზანი იყო ნაგებობების დანგრევის თავიდან აცილება და მათი დაცვა მნიშვნელობასა და ფუნქციაზე დაყრდნობით.





ისტორიული ნაგებობების აღნიშვნა ჯაკმელში, პაიტი, 2010.
ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM

ეს ძალიახმევა განხორციელდა კონსტრუქციული შეფასების პარალელურად, რასაც გაეროს სააგენტოების მხარდაჭერით ახორციელებდა საზოგადოებრივი სამუშაოების სამინისტრო. სრული კოორდინირება შეუძლებელი იყო, ძირითადად იმიტომ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ან აღდგენა არ შედიოდა არც ეროვნულ და არც საერთაშორისო საგანგებო რეაგირების გეგმებში. შედეგად, ბევრი ისტორიული ნაგებობა გამოცხადდა საფრთხის მატარებლად და გარკვეული დროის მერე დაანგრის კიდევც.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 155



აღნიშნული ისტორიული შენობა ჯაკმელში, პაიტი, 2010. ფოტო აპარნა ტანდონი, ICCROM



როდის არის კულტურული მემკვიდრეობისთვის პირველადი დახმარების გაწევის შესაფერისი დრო?

საგანგებო სიტუაციის დროს პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასეთი ტიპის ოპერაციების დასრულების შემდგომ შეიძლება დაიწყოს კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება.

მიუხედავად ამისა, საგანგებო და ჰუმანიტარულ დახმარებაში მონაწილე ჯგუფებთან კოორდინაციის მექანიზმები წინასწარ უნდა იქნას ჩამოყალიბებული და გათვალისწინებული ადგილობრივი მთავრობისა და კულტურული ორგანიზაციების მიერ მომზადებულ სათადარიგო გეგმებში.

პრაქტიკაში, პირველადი დახმარების დასაწყებად მართებული დრო დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- საგანგებო სიტუაციის ხასიათსა და ზომაზე; **მასშტაბური ან კომპლექსური** საგანგებო სიტუაციის დროს, როცა ადგილი აქვს ადამიანურ დანაკარგს და მიღებულია მნიშვნელოვანი ზიანი, პირველადი დახმარების ოპერაციების წამოწყება შესაძლოა დაგვიანდეს.
- საგანგებო სიტუაციების შედეგად დაზიანებულ ადგილებთან წვდომაზე: შეიარაღებული კონფლიქტის ან ბირთვული ინციდენტის დროს შეზღუდულია ადგილზე წვდომა, შესაბამისად, შესაძლოა, შეჩერდეს პირველადი დახმარების წამოწყება.
- კულტურული მემკვიდრეობისათვის მიყენებული ზიანის დონეზე და/ან **დაინტერესებულ პირთათვის** (მაგ.: ადგილობრივი, ეროვნული, საერთაშორისო მნიშვნელობის) მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე. ზარალი როდესაც მასშტაბურია, გარე დახმარების აუცილებლობამ შესაძლოა შეაყოვნოს ოპერაციების განხორციელება. ასევე მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის, მაგალითად, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების შემთხვევაში, შესაძლოა აუცილებელი იყოს გარე ექსპერტების მიერ კვლევის ჩატარება, სანამ რაიმე სხვა სახის ქმედება განხორციელდება.
- ადგილობრივ შესაძლებლობებსა და მზაობაზე: იქ, სადაც არსებობს ადგილობრივი გაწვრთნილი პერსონალი და შესაბამისი რესურსები, არსებობს საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზაციებთან კოორდინაციის მექანიზმები, მარტივია კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების პროცესის დაუყოვნებლივ დაწყება სიცოცხლის გადასარჩენი ოპერაციების დასრულების შემდეგ.



კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების ოპერაციების ინიცირება: იტალია და ერაყი

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების დაწყების სწორი დრო დამოკიდებულია საგანგებო სიტუაციის ბუნებასა და მასშტაბზე. მაგალითად, პირველი მიწისძვრის შემდგომ, 2016 წლის 24 აგვისტოს, იტალიის მთიან რეგიონში ძებნისა და გადარჩენის ოპერაციები ათი დღის განმავლობაში გაგრძელდა. მხოლოდ ამ პერიოდის დასრულების შემდგომ შეძლო იტალიის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტმა, კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩაეტარებინა უძრავი და **მოდრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების** თავდაპირველი დაზიანების შეფასება.

ჩრდილოეთ ერაყში 2014 წელს მიზანმიმართულად განადგურებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შეფასება განხორციელდა მოსულის გათავისუფლებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდგომ. ოკუპირებულ სივრცესთან წვდომის არარსებობამ და გაურკვეველმა უსაფრთხოების მდგომარეობამ გათავისუფლების შემდგომ, 2016 წელს, მნიშვნელოვნად შეაფერხა კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების პროცესის წამოწყება.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 155



ზემოთ, მიწისძვრა ცენტრალურ იტალიაში, 2016, ფოტო აპარნა ტანდონი, ICCROM. ქვემოთ, პირველადი დახმარების ოპერაციები. ნიმუდის არქეოლოგიურ ძეგლზე, ჩრდილოეთ ერაყში, 2017. ფოტო ლეილა ხალა




გაითვალისწინეთ: თქვენს რეგიონში გამოცხადდა საგანგებო სიტუაცია. სიტუაცია გაურკვეველია, სიახლეები ზიანის შესახებ კვლავ შემოდის. წინასწარი ანგარიშების მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაზიანებულია რამდენიმე ლოკაციაზე და მოსალოდნელია დანაკარგები. თქვენი რეგიონის მრავალფეროვანი და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა დაკავშირებულია თქვენი ქვეყნის ეროვნულ იდენტობასთან. ისტორიის დაკარგვის საშიშროების არსებობის გამო თქვენ გსურთ დაიწყოთ პირველადი დახმარების პროცესი.

საიდან დაიწყოთ?

გააგრძელეთ კითხვა, რათა გაარკვიოთ

ნაბიჯი 1: სიტუაციის ანალიზი



რა არის სიტუაციის ანალიზი?

სანდო ინფორმაციის შეგროვება საგანგებო სიტუაციის დროს შესაძლოა საკმაოდ რთული იყოს, განსაკუთრებით, თუ მას სხვადასხვა და დაუდასტურებელი წყაროდან იღებთ. ამიტომ, სანამ გადახვალთ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავ ქმედებებზე, შეაფასეთ ვითარება, გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია და მოამზადეთ სტრატეგია პირველადი დახმარების გასაწევად. ამ ნაბიჯის გარეშე, შესაძლოა ჩამოაყალიბოთ არასწორი პრიორიტეტები, რაც გაზრდის მემკვიდრეობის დაზიანების რისკს და შესაძლოა ადამიანთა სიცოცხლეც კი დააყენოს საფრთხის ქვეშ.

უეცარი საგანგებო სიტუაციის ან თანდათან განვითარებადი კრიზისის სისტემატურ შეფასებას ეწოდება სიტუაციის ანალიზი. ის მოიცავს კრიზისამდე და კრიზისის შემდგომი ინფორმაციის შეგროვებასა და ამ ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას, რათა შესაძლებელი გახდეს სავლელ საქმიანობების დაგეგმვა და მყისიერი საჭიროებებისა და მათზე რეაგირების არსებული შესაძლებლობების გამოვლენა.

სიტუაციის ანალიზი ხშირად გამოიყენება ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ. როგორც ნესი, ის გამოიყენება კატასტროფის შემდგომ მყისიერი დახმარების განევის პრიორიტეტების განსასაზღვრად და ასევე **ადრეული აღდგენის** ფაზის დასაწყისში – გრძელვადიანი ჰუმანიტარული საჭიროებების გამოსაკვეთად.



სიტუაციის ანალიზი არის ნაწილი საერთაშორისო კურსისა „კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება კრიზისის დროს“, ამსტერდამი, 2015, ნიდერლანდები.
ფოტო ICCROM

რატომ არის საჭირო სიტუაციის ანალიზი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარებისთვის?

სწრაფად განვითარებადი კრიზისის დროს სიტუაციის ანალიზი გვეხმარება რისკების შემცირებაში და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების შეკავებასა და თავიდან აცილებაში. თუკი ანალიზი ჩატარდება კულტურული მემკვიდრეობის დასაცავი სავსე ოპერაციების დაწყებისთანავე, ის დაგვეხმარება ოპერაციების მდებარეობის, ხანგრძლივობის, მასშტაბისა და მოქმედების არეალის განსაზღვრაში.

კატასტროფამდე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იმის შესახებ, თუ რა ტიპის და მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია დაზიანებული, სიტუაციის ანალიზი დაგვეხმარება ძირეულ კითხვებზე პასუხის გაცემაში, მაგალითად: რა უნდა იყოს **პრიორიტეტული** და როგორ უნდა მოხდეს ჩარევა. ამასთან ერთად ის გვეხმარება, ამოვიცნოთ ის დაინტერესებული და მოქმედი მხარეები, რომელთაც შეუძლიათ ჩასატარებელ სამუშაოებში დახმარება.

კონფლიქტის შედეგად გამოწვეული საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, სიტუაციის ანალიზი აგრეთვე მოიცავს კონფლიქტის შეფასებას, რაც ასევე ცნობილია როგორც **კონფლიქტის ანალიზი** (იხ. გვ. 40).

სიტუაციის ანალიზის შედეგები გამოიყენება კონტექსტს მორგებული, დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სტაბილიზების გეგმის ჩამოყალიბებაში, რომელიც შეიძლება ადაპტირდეს იმ დამატებითი მონაცემების მიხედვით, რომელსაც იძლევა **ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე** (იხ. გვ. 44).



მიწისძვრით დაზიანებული ეკლესია ბოპოლში, ფილიპინები, 2013.

ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM



როგორ დაეხმარა სიტუაციის ანალიზი ზიანის შეჩერებასა და რისკების შემცირებაში კიევში, უკრაინაში, განვითარებული კრიზისის დროს

2014 წლის თებერვალში კიევში სახალხო პროტესტი გაჩაღდა. ქალაქის ცენტრში საპროტესტო აქციის მონაწილეები და პოლიცია რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და კულტურის დაწესებულებების ირგვლივ იყვნენ შეკრებილნი. მიმდინარე სიტუაციის ანალიზზე დაყრდნობით, ვიდრე აქცია ამბოხად გადაიქცეოდა, მოხდა უკრაინის ეროვნული ხელოვნების მუზეუმის პირველი სართულის ევაკუაცია და ძვირფასი არტეფაქტები უსაფრთხო ადგილას იქნა გადატანილი. კოლექციის ნაწილის გადატანასთან ერთად, მუზეუმის თანამშრომლები დაუკავშირდნენ უსაფრთხოების სამსახურებს ვანდალიზმის თავიდან აცილების მოთხოვნით. ამ დროულმა ქმედებებმა გადაარჩინა მუზეუმის კოლექცია მნიშვნელოვანი დაზიანებისაგან, მაშინ, როდესაც მეზობლად არსებული მუზეუმის კოლექციის ნაწილი გაიქურდა ამბოხის დროს.

წყარო: იპორ პოშივაილო, ზეციური ასეულის ეროვნული მემორიალური კომპლექსის, ღირსების რევოლუციის მუზეუმის დირექტორი, კიევი, უკრაინა. კურსის „კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება კრიზისის დროს“ 2015 წლის მონაწილე.




ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა სიტუაციის ანალიზში?

კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების დროს სიტუაციის ანალიზი შესაძლოა ჩაატარონ:

- ჯგუფებმა ან ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ პირველად დახმარებას;
- იმ კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა ან მფლობელებმა, რომელიც საგანგებო სიტუაციის დროს დაზარალდა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც აკონტროლებენ წვდომას საგანგებო სიტუაციის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიასთან და პასუხისმგებელნი არიან საპასუხო ქმედებების პრიორიტეტების გამოკვეთაზე;
- ადგილობრივი საზოგადოების/თემის წარმომადგენლებმა;
- მოხალისეებმა და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

როგორ ჩავატაროთ სიტუაციის ანალიზი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარებისას?

სიტუაციის ანალიზის ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა არის შემდეგი:





ინფორმაციის შეგროვება

კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების დროს ჩატარებული სიტუაციის ანალიზის პირველი ნაბიჯი არის სპეციფიკური ინფორმაციის შეგროვება საგანგებო სიტუაციის ხასიათის, მისი გეოგრაფიული მდებარეობის, დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ტიპებისა და მნიშვნელობის, ზიანის ტიპისა და ჩართული დაინტერესებული და მოქმედი მხარეების შესახებ სპეციფიკური ინფორმაციის შეგროვება.

საგანგებო სიტუაციის კონტექსტი



- 1 რომელ მხარეს, რეგიონს ან ქვეყანას შეეხო? მოიძიეთ ადგილის ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები.
- 2 რამ გამოიწვია საგანგებო სიტუაცია?
- 3 რა არის ის მეორეული **საფრთხეები**, რამაც დაზარალებულ მხარეში შესაძლოა მეტი ზიანი მიაყენოს ამ კულტურულ მემკვიდრეობას?
- 4 რა არის ის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები, რამაც შეიძლება კიდევ უფრო **მონყვლადი** გახადოს მემკვიდრეობა ზიანის მიმართ? მაგალითი: ცუდმა გზებმა შესაძლოა ხელი შეუშალოს დროულ რეაგირებას. ან ადამიანთა მხრიდან კანონისა და წესრიგის უგულებელყოფამ შესაძლოა მემკვიდრეობა ძარცვის მეორეული საფრთხის წინაშე დააყენოს.
- 5 სიტუაციის რომელ საფეხურზე ხართ?
 - ა. საგანგებო სიტუაციამდე არსებული ეტაპი (მაგალითად: გავრცელდა ადრეული გაფრთხილება ვულკანის ამოფრქვევის შესახებ);
 - ბ. საგანგებო სიტუაციის დადგომის ეტაპი (მასობრივი არეულობები დაიწყო, შტორმი ახლოვდება);
 - გ. უშუალოდ ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული საფრთხის შემცველი მოვლენის, მაგალითად, დაბომბვის შემდგომი პერიოდი.



მასშტაბური კატასტროფის დროს მოვლენები შესაძლოა არ განვითარდეს სწორხაზოვნად. მაგალითად, მიწისძვრამ შესაძლოა გამოიწვიოს ხანძარი. ასევე ხანგრძლივი კრიზისის დროს ახალმა კონფლიქტმა შესაძლოა დაარღვიოს არსებული შეთანხმება მშვიდობის შესახებ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, სწორად ამოიცნოთ, არსებული სიტუაციის რომელ საფეხურზე ხართ და ამოქმედოთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.





- 1** რამდენი და როგორი ტიპის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია დაზიანების რისკის ქვეშ? თუ კულტურული მემკვიდრეობის არაერთ ძეგლს ემუქრება საფრთხე, იქონიეთ ყველა მათგანის კოორდინატები. ეს ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ კულტურის სამინისტროების ან ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტების **რეესტრებში/საინვენტარო ბაზებში**.
- 2** ვისთვის რა **მნიშვნელობისაა** კატასტროფის არეალში არსებული კულტურული მემკვიდრეობა? ეს მემკვიდრეობა შეტანილია რეგიონული ან ეროვნული მნიშვნელობის მემკვიდრეობის ნუსხებში?
- 3** არსებობს ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული რწმენა-წარმოდგენები ან დამოკიდებულებები, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პირველად დახმარებაზე? ამ ფაქტორმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ხელმისაწვდომ რესურსებზე და ადამიანებზე, ვისაც შეუძლიათ დახმარების განევა. მაგალითად, 2015 წლის მინისძვრის შემდგომ ნეპალში უცხოელი, არაინდუსი ინჟინრები არ იყვნენ დაშვებულნი ინდუსტურ ტაძრებში ზიანის შესაფასებლად. იმისათვის, რომ დაიგეგმოს პირველადი დახმარების ოპერაციები ადგილობრივი კულტურისა და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებითა და პატივისცემით, საჭიროა შემდეგი აუცილებელი ინფორმაციის მიღება:
 - ა.** ადგილობრივი რელიგიური რწმენები;
 - ბ.** სასურველი სასაუბრო ენა და კომუნიკაციის ფორმები;
 - გ.** მამაკაცთა და ქალთა ჩართულობის როლი კულტურულ მემკვიდრეობაში;
 - დ.** საზოგადოების უმცირესობის ჯგუფის კულტურული მემკვიდრეობის ჩართვა და წარდგენა გარემოში, სადაც დომინირებს უმრავლესობის კულტურული მემკვიდრეობა;
 - ე.** გარე დახმარების მოლოდინი აღდგენის პროცესში.
- 4** როგორი იყო დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობა კრიზისამდე, როგორი იყო მისი ფიზიკური მდგომარეობა და რა იყო მისი სისუსტეები? იყო ის რესტავრირებული? გაიარა კონსერვაციის პროცესი? კარგად იყო დაცული? როგორ იყო დოკუმენტირებული? ყველა ეს ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ორგანიზაციებისგან ან პირებისგან, ვისაც ეხება აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის რესურსების დაცვა და მართვა.
- 5** არსებობს დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის სათადარიგო გეგმა? თუ კი, მოიპოვეთ იმ პირების საკონტაქტო ინფორმაცია, ვინც პასუხს აგებს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებაზე.



მნიშვნელოვანია ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოვლენა და დოკუმენტირება კრიზისამდე პერიოდში, რათა მოგვიანებით, საგანგებო სიტუაციის დროს, შესაძლებელი იყოს ზიანის იდენტიფიცირება. ტრენინგები დოკუმენტაციის შექმნაში, მათ შორის იმაზე, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ ზიანის დოკუმენტაცია ფოტოსურათების მეშვეობით, უნდა ტარდებოდეს ადგილობრივი ორგანიზაციების თანამშრომელთათვის (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ **დაზიანებებისა და კატასტროფების შედეგის/უფექტის აღნუსხვა გვ. 55**).

- 6 რა ტიპის ზიანი მიადგა კულტურულ მემკვიდრეობას ამ რეგიონში? შეაგროვეთ ინფორმაცია ადგილობრივი ცნობილი წყაროებიდან.



საკუთარი რელიგიური რწმენის თანახმად, მოხალისეები ადგილობრივი თემიდან უგულვებელყოფდნენ პირად უსაფრთხოებას და ფეხშიშველნი მუშაობდნენ მიწისძვრის მიერ დაზიანებული ბუდისტური სალოცავების ფრავენების გადასარჩენად ბავანში, მიანმაში. 2016.

ადგილობრივი რწმენები და ტრადიციები ყოველთვის მოახდენენ გავლენას კულტურული მემკვიდრეობის პირველად დახმარებაზე. თუმცა კატასტროფამდე უნდა მოხდეს ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირება იმ რისკების შესახებ, რომლებიც მათ ემუქრებათ პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობის გარეშე პირველადი დახმარების ღონისძიებების ჩატარებისას.

ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM





- 1 ვინ არის დაზარალებულ მხარეში **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების** მფლობელი (ორგანიზაცია/პიროვნება/სოციალური ჯგუფი)? მოიპოვეთ მათი საკონტაქტო ინფორმაცია. შეძლებისდაგვარად დაამყარეთ მათთან კონტაქტი, რათა მიიღოთ წინასწარი ინფორმაცია ნებისმიერი სახის დაზიანების შესახებ.
- 2 ვინ არის ის ადამიანი ან თემი, რომელიც როგორც საარსებო საშუალებაზე, ისეა დამოკიდებული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებულ რესურსზე, ძეგლებზე?
- 3 ვინ აგებს პასუხს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების კოორდინირებაზე და ვინ აკონტროლებს დაშვებას დაზარალებულ ადგილებზე? მოიპოვეთ მათი საკონტაქტო ინფორმაცია და გამოიყენეთ ის საჭიროების შემთხვევაში მოგვიანებით, ადგილზე შეფასების დროს.
- 4 რომელ ადგილობრივ ჯგუფებს ან მოხალისეებს შეუძლიათ დახმარება რისკებისა და ზიანის შეფასებაში და უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ზომების მიღებაში?
- 5 რომელ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებს (მაგ., მებანძრეებს, სამხედროებს თუ სამოქალაქო თავდაცვის პერსონალს) შეუძლიათ კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების პროცესში ჩართვა და შესაბამისად, დახმარების განწვევა?
- 6 როგორი ტიპის რესურსების მონოდება შეუძლიათ დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ პირებს?
- 7 როგორია კომუნიკაცია საგანგებო სიტუაციებში მოქმედ პირებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის?



მოქმედ და დაინტერესებულ პირთა რუკა

მოქმედ პირთა და დაინტერესებულ მხარეთა შორის არსებული კომპლექსური ურთიერთობის გასაგებად, მემკვიდრეობის პირველ დახმარებაში მათი ინტერესებისა და როლების ამოსაცნობად შესაძლოა ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტი აღმოჩნდეს ვიზუალური რუკის/სქემის შექმნა. როგორ? გამოიყენეთ მომდევნო გვერდზე მოცემული მაგალითი, რომელიც გამოკვეთს დაინტერესებულ მხარეებსა და მოქმედ პირებს რელიგიური დანიშნულების კულტურულ ძეგლზე ბომბის აფეთქების შემდგომ ქვეყანა A-ში, სადაც კონფლიქტი მძვინვარებს.





ქვეყანა A-ს სამხედრო ძალები უზრუნველყოფენ სამშვიდობო და კონტრტერორისტულ ოპერაციებს. ამჟამად სამხედრო ძალები აკონტროლებენ ძეგლთან წვდომას.

ძეგლის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი თემის წევრები, ბოლომდე არ ენდობიან სამხედრო ძალებს. მათ მტკიცე კავშირი აქვთ რელიგიურ ძეგლთან და მისი გადარჩენა სურთ.

დამატებითი **დაინტერესებული მხარეები** და **მოქმედი პირები** არიან:

- სიძველეთა დაცვის სახელმწიფო საბჭო, რომელსაც აქვს დაზიანებული რელიგიური ძეგლებისა და ობიექტებისთვის პირველადი დახმარების განვეის პროფესიული უნარი.
- დაზიანებული სალოცავის რელიგიური საბჭო, რომელსაც ცუდი ურთიერთობა აქვს სიძველეთა საბჭოსთან, მაგრამ შეთანხმება აუცილებელია, სანამ სიძველეთა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პირველი დახმარების აღმოჩენის შესახებ.
- კულტურული მემკვიდრეობის კუთხით მომუშავე უცხოური ორგანიზაციები, რომელთაც დაფინანსებისა და ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაუკავშირდა სიძველეთა საბჭო.
- კულტურული მემკვიდრეობის ადგილობრივი სპეციალისტები, რომლებიც იცნობენ ძეგლის ისტორიას, აქვთ ზიანის შეფასების და დაზიანებული მემკვიდრეობის დაცვისა და სტაბილიზაციის ცოდნა და უნარები.





ყველა მოქმედი პირის და დაინტერესებული მხარის მონიშვნით, მათი ინტერესებისა და ურთიერთკავშირების გამოვლენით, რუკა უნდა დაგვეხმაროს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემაში:

- ვის შეუძლია დაგვიშვას დაზიანებულ ძეგლებზე?
- ვის შეუძლია მემკვიდრეობის პირველადი დახმარების დაფინანსება?
- ვის შეუძლია ნებართვის გაცემა პირველადი დახმარების ოპერაციის დაწყებისათვის?
- ვინ უნდა იყოს ჩართული და ვისგან უნდა მიიღოთ რჩევა ადგილობრივი საზოგადოებიდან?
- ვინ ფლობს საჭირო ინფორმაციას იმგვარი რეაგირების მოხდენისათვის, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს კონტექსტს და პატივს სცემს ადგილობრივ ადათ-წესებსა და ტრადიციებს?





რუკა იძლევა დაინტერესებულ და მოქმედ პირთა შორის ძალაუფლებისა და ინტერესების გააზრების შესაძლებლობას, რაც გვეხმარება პოტენციური კონფლიქტისა და არასასურველი კომუნიკაციის თავიდან აცილებაში.



გაანალიზეთ ინფორმაცია

- 1 გაანალიზეთ შეგროვებული ინფორმაცია და გამოავლინეთ კულტურული მემკვიდრეობის ის რესურსები, რომლებიც:
 - ა. ყველაზე მნიშვნელოვანია;
 - ბ. ძლიერ დაზიანებულია;
 - გ. განიცადა გარკვეული ზიანი და უყურადღებოდ დატოვების შემთხვევაში შესაძლოა დაემუქროს საფრთხე, რაც გამოიწვევს შემდგომი დაზიანების რისკს.
- 2 გამოავლინეთ კულტურული მემკვიდრეობის ის ძეგლები, რომლებსაც ესაჭიროება ზიანისა და რისკების შეფასება ადგილზე. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებიც არიან ნაწილობრივ ან ძლიერ დაზიანებულნი და იმყოფებიან მეტი დაზიანების რისკის ქვეშ, უნდა წარმოადგენდნენ პრიორიტეტს ადგილზე შეფასების დროს. ადგილზე შესაფასებელ ძეგლთა სიაში ასევე უნდა შევიდეს ის ძეგლები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენენ და არიან რისკის ქვეშ.
- 3 დაეიქრდით, რა სახის ცოდნა დაგჭირდებათ **ზიანისა და რისკის შეფასებისათვის ადგილზე** (იხ. გვ. 48), რაც ზიანის და რისკის მიმოხილვასთან ერთად შესაძლოა ასევე საჭიროებდეს ღირსშესანიშნავი ადგილისა და მისი ძეგლების უსაფრთხოების ზოგად შეფასებას. მაგალითად, წყალდიდობის შემდგომ ისტორიული ნაგებობის და კოლექციების შესაფასებლად შესაძლოა საჭირო გახდეს შემდეგი პირების დახმარება: სტრუქტურული ინჟინრის, ვისაც აქვს წყლით დაზიანებულ მემკვიდრეობის ძეგლებთან მუშაობის გამოცდილება; კოლექციების მენეჯერის, ვისაც შეუძლია ზიანის, ასევე დაშლისა და ობის რისკების შეფასება. ამასთანავე, ომის შემდგომი შეფასება შესაძლოა მოითხოვდეს დამატებით უსაფრთხოების შემოწმებას, რათა გამოირიცხოს ასაფეთქებელი მოწყობილობების არსებობა.



საგანგებო სიტუაციის დროს შენობათა (მაგ., სკოლების, საავადმყოფოების და სახლების) შეფასება მათი შემდგომი გამოყენებისათვის უნდა იყოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ნაწილი. ეს შეფასებები არ ანიჭებენ პრიორიტეტს ღირსშესანიშნავ ადგილებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. შესაბამისად, ძალისხმევის სინქრონიზების მიზნით, უზრუნველყავით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაწილეობა სიტუაციის ანალიზში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

- 4 არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გააანალიზეთ **გადაუდებელი ქმედებები უსაფრთხოებისათვის** (იხ. გვ. 75), რომელთა განხორციელებაც აუცილებელია: მაგალითად, უნდა გადაიხუროს თუ არა ძეგლი, თუ მის დასაცავად სპეციალურად უნდა გამოიყოს დარაჯი? არამატერიალური მემკვიდრეობის შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რა ტიპის დახმარება სჭირდება თემს კრიზისის დასაძლევად.
- 5 გამოავლინეთ, რა სახის სახარჯი მასალები და აღჭურვილობა (იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 73) დაგჭირდებათ ზიანისა და რისკის შესაფასებლად ადგილზე.
- 6 **მოქმედ და დაინტერესებულ პირთა რუკა** გამოიყენეთ, რათა გაარკვიოთ, რომელ დაინტერესებულ ან მოქმედ პირებს შეუძლიათ მოგცეთ ძეგლთან მუშაობის ნებართვა, დაგეხმარონ ადგილზე მისვლაში, უზრუნველყონ რესურსები, ლოგისტიკა და შემოგთავაზონ ექსპერტული დახმარება საქმეში, როგორცაა:
 - ა. ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე;
 - ბ. უსაფრთხოების და სტაბილიზების ოპერაციების ჩატარება თითოეულ ძეგლზე;
 - გ. თითოეულ ძეგლზე მიმდინარე სამუშაოების შეფასება და მონიტორინგი.
- 7 ადგილობრივი მოსახლეობის სასურველ საკომუნიკაციო ენაზე ან კომუნიკაციის სასურველ ფორმაზე დაყრდნობით, დაისახეთ **სტრატეგიები** საგანგებო სიტუაციებში მოქმედ პირებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, მედია ჯგუფებთან და დაზარალებულ თემთან საკომუნიკაციოდ.



დაგეგმეთ პირველადი დახმარება ადგილზე

შეგროვებული ინფორმაციის გაანალიზების შემდგომ შედეგების მიხედვით ჩამოაყალიბეთ კულტურული მემკვიდრეობისათვის პირველადი დახმარების განწვევის სტრატეგიული გეგმა, რომელშიც ხაზს გაუსვამთ შემდეგ საკითხებს:

- 1 ადგილობრივი ოპერაციების მოსალოდნელი ხანგრძლივობა, მასშტაბი, მოცულობა, ხარჯი და მიზნები.
- 2 ჩართული ორგანიზაციების, საგანგებო სიტუაციებში მოქმედი პირების, კულტურული მემკვიდრეობის პირველი მორეაგირებისა და მოხალისეთა ჯგუფების როლები და პასუხისმგებლობები.
- 3 ოფიციალური ნებართვები და კონსულტაციები თემის წევრებთან, რაც საჭიროა ადგილზე შეფასების დასაწყებად და უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ზომების მისაღებად.
- 4 **კომუნიკაციის გეგმა:** კომუნიკაციის რა საშუალებები იქნება გამოყენებული? ვინ იქნება კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი?
- 5 საჭირო სამზადისი და რესურსები ადგილზე სამუშაოდ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ კრიზისამდე შექმნილი დოკუმენტაცია და სამუშაოების დაწყებისათვის საჭირო სახარჯი მასალებისა და აღჭურვილობის სია.
- 6 რა ტიპის ტრენინგი ან საორიენტაციო შეხვედრები იქნება საჭირო მოხალისეებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებისათვის პირველადი დახმარების დაწყებამდე?
- 7 უსაფრთხოებისა და ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები პირველადი დახმარების განხორციელებისათვის.
- 8 შეფასების ფორმა და კრიტერიუმები: ვინ ჩაატარებს შეფასებას? როგორ?
- 9 მონიტორინგის რეჟიმი: ვინ ჩაატარებს მას? რა დროში?



გაითვალისწინეთ, რომ ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე მოგცემთ მეთ დეტალურ ინფორმაციას, რამაც შესაძლოა შეცვალოს თქვენ მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა პირველადი დახმარების განხორციელებისათვის.





რა არის კონფლიქტის ანალიზი?

კონფლიქტის ანალიზი არის ინსტრუმენტი, რომელიც გვეხმარება კონფლიქტის გამომწვევი ძირეული მიზეზების და აგრეთვე იმ მაკროეციონებელი ასპექტების ამოცნობაში, რომლებმაც შესაძლოა ფარული კონფლიქტი ძალადობრივ კონფლიქტში გადაზარდოს. ერთი ასეთი მიზეზი შესაძლოა იყოს კულტურული მემკვიდრეობის განზრახ მიზანში ამოღება.

როგორ უნდა ჩატარდეს კონფლიქტის ანალიზი?

ქვემოთ მოკლედ არის წარმოდგენილი კონფლიქტის ანალიზის სამსაფეხურიანი მეთოდი: ის ეყრდნობა გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის რეკომენდაციებს და შესაძლოა იყოს გამოყენებული კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარებისა და აღდგენის პრიორიტეტების განსასაზღვრად.

1. კონფლიქტის მიზეზების ანალიზი. იმისათვის, რომ გავიგოთ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, აუცილებელია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების/სისუსტეების გაანალიზება. ეს ანალიზი უნდა აერთიანებდეს მრავალ თვალთახედვას და მოიცავდეს:

- ა. ფართო კონტექსტურ ანალიზს (კონფლიქტის ისტორია, ფიზიკური და დემოგრაფიული მახასიათებლები, სტრუქტურული უთანასწორობები);
- ბ. დაძაბულობისა და კონფლიქტის წყაროების რუკას, რაც შესაძლოა მოიცავდეს კულტურულ სიმბოლოებსაც;
- გ. კავშირების ამოცნობას დაძაბულობის წყაროებს შორის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის კულტურის სექტორში.





2. მოქმედ პირთა ანალიზი. ეხება მათ, ვინც გავლენას ახდენენ კონფლიქტზე ან კონფლიქტმა მოახდინა მათზე ზემოქმედება. ეს საფეხური ფოკუსირდება მოკლევადიანი ინტერესების ანალიზზე, რაც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა. კონფლიქტში პირდაპირ და არაპირდაპირ ჩართული ყველა მოქმედი პირის სიას;
- ბ. ყველა მოქმედი პირის ინტერესების, ურთიერთობების, შესაძლებლობების, სამშვიდობო გეგმის და სტიმულების ანალიზს;
- გ. ვიზუალურ რუკას.

შენიშვნა: ისეთი კონფლიქტის ანალიზისათვის, რომელშიც კულტურული მემკვიდრეობაცაა ჩართული, ნაბიჯი 2 უნდა მოიცავდეს ინტერესებისა და ფსონების რუკას დაზიანებულ მემკვიდრეობასთან მიმართებით.

3. კონფლიქტის დინამიკის ანალიზი. მოიცავს იმის აღბათობის შეფასებას, კონფლიქტი გაძლიერდება, იკლებს, თუ შეინარჩუნებს სტაბილურობას და ამასთანავე გრძელვადიანი მაპროვოცირებელი ფაქტორების შეფასებას. ის უნდა მოიცავდეს:

- ა. ხანგრძლივი ტრენდების ანალიზს;
- ბ. მოკლევადიანი მოსალოდნელი მაპროვოცირებელი ფაქტორების შეფასებას;
- გ. იმ ფაქტორების შეფასებას, რომლებმაც შესაძლოა ააჩქაროს ან შეანელოს კონფლიქტის დინამიკა (გაითვალისწინეთ ინსტიტუციები და პროცესები);
- დ. კონფლიქტის სცენარების შექმნას.

შენიშვნა: **ადრეული აღდგენის** ფაზაში (იხ. გვ. 126) კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული რისკების გასაანალიზებლად ეს ნაბიჯი უნდა მოიცავდეს იმის შეფასებას, თუ როგორ აღიქვამენ კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენ ოპერაციას კონფლიქტის მხარეები.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 158



რა მოჰყვება სიტუაციის ანალიზს?

საგანგებო სიტუაციის შეფასოვ ჩაატარეთ **სიტუაციის ანალიზი** დაინტერესებულ პირებთან, თემის წარმომადგენლებთან და საგანგებო სიტუაციებში მოქმედ მხარეებთან ერთად; გამოავლინეთ მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის რესურსები, რომელმაც განიცადა ზიანი და შემდგომი დაზიანების რისკის წინაშეა.

რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი?

ამის გასაგებად განაგრძეთ კითხვა.

ნაბიჯი 2

მოვლენის შემდგომი ზიანისა და რისკის შეფასება კდგილზე



რა არის მოვლენის შემდგომი ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე?

სიტუაციის ანალიზი გვეხმარება, ამოვიცნოთ ის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მოითხოვს სწრაფ ინსპექტირებას ადგილზე. ეს პროცესი ცნობილია, როგორც **მოვლენის შემდგომი ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე**.

ამ შეფასების პროცესისათვის მემკვიდრეობის ძეგლების შერჩევა ემყარება მათ **მნიშვნელობას**, ზიანის დონეს და შემდგომი დაზიანების პოტენციურ რისკს.

ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე მოიცავს ვიზუალურ ინსპექტირებას და ზიანისა და დანაკარგის დოკუმენტაციას. ეს დაგეხმარებათ უშუალო რისკების შეფასებაში, რომლებმაც შესაძლოა მეტად დააზიანონ კულტურული მემკვიდრეობა. კრიზისამდე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ის გამოითვლის ფიზიკური ზიანის მასშტაბებს და იმას, თუ რისი გადარჩენა არის შესაძლებელი. ასევე აფასებს დანაკარგებს, მაგალითად, თუ როგორი გავლენა იქონია კატასტროფამ ადამიანებზე, მათ შემოსავალსა და ინფრასტრუქტურაზე.

მნიშვნელოვანია კრიზისის შემდგომი ინტეგრირებული რისკისა და ზიანის შეფასების ჩატარება ყველა ტიპის (**მოდრავი**, **უძრავი** და **არამატერიალური**) კულტურული მემკვიდრეობისათვის. ამ ნაბიჯის გამოტოვებამ შესაძლოა მიგვიყვანოს დროის და რესურსების არაეფექტურად გამოყენებამდე და აღდგენის საჭიროებების არასწორად გათვლამდე. შეფასების ჩატარება აუცილებელია, რადგან ის გავლენას მოახდენს ადგილზე ქმედებების განსახორციელებელ **სტრატეგიულ** გეგმაზე, ქმედებების, რომლებიც გამოიკვეთა სიტუაციის ანალიზის დროს.



გუნდი ახორციელებს ზიანისა და რისკის შეფასებას ადგილზე პანუშან დოკას სახახლის მუზეუმში, კატმანდუ, ნეპალი, 2015. ფოტო: ICCROM



რატომ არის საჭირო ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე?

დაზიანებული ღირსშესანიშნავი ადგილების პირველადი შემოწმება ადგილზე საშუალებას გაძლევთ, ღირსშესანიშნავი ადგილის/ძეგლის/ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებით შეაგროვოთ მეტი ინფორმაცია, რისი მოპოვებაც ან გადამოწმებაც არ იყო შესაძლებელი სიტუაციის ანალიზის დროს.

ადგილზე შეფასება საშუალებას იძლევა:

- შეფასდეს დაზიანებული მემკვიდრეობის და მისი გარემოს ფიზიკური მდგომარეობა და გამოვლინდეს უსაფრთხოებისა და სტაბილიზების საჭირო ქმედებები.
- აღინიშნოს, როგორი გავლენა იქონია კატასტროფამ დაინტერესებულ პირთა ფართო ჯგუფზე, ადგილობრივ თემთან, ადგილობრივ ლიდერებთან, სუვენირების გამყიდველებთან ან ახლო მდებარე სასტუმროების მმართველებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით.
- გამოვლინდეს მყისიერი რისკები და მათი შერბილების გზები;
- გამოითვალოს ძეგლისათვის სპეციფიკური სავარაუდო ხარჯები უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ქმედებებისათვის და სრული აღდგენისთვის.

ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე შესაძლოა გამოყენებული იყოს კულტურული მემკვიდრეობისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენისა და აღდგენისთვის აუცილებელი სახსრების მოსაპოვებლად. ასეთი შეფასება დაგეხმარებათ **კატასტროფის შემდგომი საჭიროებების შესაფასებლად**. ეს წარმოადგენს მრავალსექტორულ შეფასების მეთოდს, რომელიც ეხმარება დაზარალებულ მთავრობებს ფართომასშტაბიანი კატასტროფის პირდაპირი თუ გრძელვადიანი შედეგების/ეფექტების და აღდგენის აუცილებლობების გამოვლენაში.



ზოგიერთ ქვეყანას აღდგენის საჭიროებების შეფასებისათვის თავისი მეთოდები აქვს. კრიზისის შემდგომი საჭიროებების შეფასება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანა დახმარებას სთხოვს საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგ., გაეროს.

როგორ მოახდენდით ზიანისა და რისკის ინტეგრირებულ შეფასებას ადგილზე?

ქვემოთ მოცემულია ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა მოძრავი (ობიექტები და კოლექციები), უძრავი და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის ზიანისა და რისკის ინტეგრირებული შეფასებისათვის ადგილზე.

ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა კატასტროფის შემდგომი ზიანისა და რისკის შესაფასებლად ადგილზე





მომზადება

სიტუაციის ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენეთ იმისთვის, რომ:

1 მოიპოვოთ ნებართვა და კონტაქტები

მოიპოვეთ ნებართვა მცველებისაგან, საგანგებო რეაგირების კოორდინატორისგან ან ინციდენტის მეთაურისგან, რათა გქონდეთ წვდომა ძველთან. მოიპოვეთ იმ თანამშრომლების ან მზრუნველების საკონტაქტო ინფორმაცია, ვისაც აქვს ცოდნა დაზიანებული მემკვიდრეობისა და მისი კატასტროფამდე არსებული მდგომარეობის შესახებ.

2 მოამზადეთ გუნდი. შეკრიბეთ და მოამზადეთ გუნდი, რათა მოახდინოთ ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე. გუნდი უნდა იყოს შექმნილი საფრთხის შემცველი მოვლენის ხასიათიდან, საგანგებო სიტუაციის მასშტაბიდან და დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ტიპოლოგიიდან გამომდინარე.

ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციის დროს შეფასება შესაძლოა განხორციელდეს რამდენიმე ადგილას მოხალისეებისა და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების (მაგ.: არქიტექტორების, კონსტრუქტორების, მუზეუმმცოდნეების, კონსერვატორების და ანთროპოლოგების) მიერ.

საგანგებო სიტუაციის ხასიათიდან და მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, სამხედრო ძალებს და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფის წევრებს (მაგ., სტრუქტურული უსაფრთხოების ინჟინრებს) შეუძლიათ ამგვარ შეფასებაში მონაწილეობის მიღება. დამატებით მასშტაბური და კომპლექსური კატასტროფის დროს მათ შეუძლიათ შეფასების ჩასატარებლად ლოგისტიკური დახმარების აღმოჩენა.

მნიშვნელოვანია, რომ შემფასებელი ჯგუფები თანმიმდევრული დოკუმენტაციის შექმნაში იყვნენ გაწვრთნილნი, რაც გულისხმობს შემდეგს:

- ა. შეფასებათა ფორმების ერთგვაროვან გამოყენებას და შენობის გეგმის/ჩანახატის შედგენას რისკებისა და ზიანის ჩასანიშნად;
- ბ. ფოტოების გადაღების სტანდარტულ წესზე წინასწარ შეთანხმებას, მაგ., ახლო და შორი ხედით, რათა აისახოს დაზიანების ან დანაკარგის სპეციფიკური ტიპი;
- გ. ზიანის ამსახველი ტერმინების წინასწარ განსაზღვრულ და ზუსტ გამოყენებას (მაგ.: ძლიერი, საშუალო ან მსუბუქი), ეს ეხება ობიექტების, ნაგებობების და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ზიანის აღწერას.

დ. წინასწარ შეთანხმებული ფორმატების გამოყენებას ზიანისა და დანაკარგის მონაცემების შეგროვებისათვის, რაც მარტივად გასაგები იქნება საგანგებო სიტუაციაში მოქმედი პირების, დონორებისა და ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

სტანდარტიზებული დოკუმენტაციის მაგალითებისათვის, ასევე ზიანისა და რისკის შეფასების ფორმების ნიმუშებისთვის იხილეთ ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 15

ადგილზე შეფასების გუნდების ორიენტაციის პროცესი უნდა მოიცავდეს პროცედურებს, რომლებიც ეხება პირად უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, მოხალისეები, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ, უნდა იცნობდნენ მოცემული რეგიონის სოციალურ და კულტურულ კონტექსტს და უნდა შეეძლოთ კომუნიკაცია დაზარალებულებთან მათსავე ენაზე.

3 შეგროვეთ კატასტროფამდე არსებული მონაცემები

შეგროვეთ შემდეგი კატასტროფამდე არსებული დოკუმენტები:

- ა.** რუკა, რომელზეც მითითებულია დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის გეოგრაფიული კოორდინატები;
- ბ.** ღირსშესანიშნავი ადგილის რუკა (ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 11) ან უახლესი სატელიტური ფოტო, თუ ის ხელმისაწვდომია;
- გ.** თუკი შესაძლებელია, მოიძიეთ შენობის გეგმები ან შექმენით გეგმის ჩანახატი;
- დ.** სააღრიცხვო დოკუმენტაცია, სადაც აღწერილია შენობის, ობიექტის ან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების ტიპი, ნუმერაცია და ადგილმდებარეობა.
- ე.** დაზიანებული ღირსშესანიშნავი ადგილების, ობიექტების და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კატასტროფამდე გადაღებული ფოტოები (ფართო კუთხით).




გაითვალისწინეთ, რომ მონაცემების ტიპი და მნიშვნელობა დიდად განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის მემკვიდრეობა დაზიანდა. ერთი კონკრეტული კულტურის სფეროში მომუშავე ორგანიზაციისათვის, როგორცაა მუზეუმი, დეტალური გეგმა და საინვენტარო დოკუმენტაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დიდი მასშტაბის რუკა გეოგრაფიული კოორდინატებით. როგორც, მაგალითად, დიდ ფართობზე განვითარებული კატასტროფის დროს ინდივიდუალური შენობების ცალკეული გეგმები შესაძლოა ზედმეტად დეტალური იყოს შეფასების პროცესისათვის.



1-A

ქომაკლევისა და შსაფრთხილების მამბა

რისკის მართვის დამამბება კალკეთის სასახლისათვის, უდითკური



მამბის ლეგენდა

- S კორინტული საკომოდიოლო კაფეთი
- V კომოდიოლო საკომოდიოლო კაფეთი
- V საბლანტიო კომოდიო/ მუბუბი
- V სასახლის მუბუბი
- MMEI
- ფაბი კორკაბო სასახლო
- კომოდიოლო
- მუბ მუბა სასახლო
- უაფრთხილების მუბუბი
- ფაბა
- უაფრთხილების მუბუბი
- ფაბა

თაკორი: 27-01-09
 კომპლუბი მამბის აფორი: DAKSHATI, M. KIDYOR
 მამბის რედაქციოტი: რიპოტი კომბუბ

ღიბსქესქესქესი ტეკლის რუკის ნემუბი, ქალაქის სსახლე, უდაბური, ინდოეთი, 2009.
 ფლტ: რაბიტ კვიცილე

4 ინსტრუმენტები და აღჭურვილობა

დაზიანებისა და რისკის დოკუმენტაციისათვის შეაგროვეთ ხელსაწყოები, როგორცაა; ფოტოაპარატი სათადარიგო ბატარეებით და კონტექსტს მორგებული და ადვილად გამოსაყენებელი ინტეგრირებული ზიანისა და რისკის შეფასების ფორმა იხ. ინსტრუმენტთა კრებული გვ. 14.

საფრთხის შემცველი მოვლენის ხასიათიდან გამომდინარე, შეაგროვეთ პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა, მაგალითად, დატბორილი ადგილის შესაფასებლად დაგჭირდებათ წყალგაუმტარი ფეხსაცმელი და დამცავი პირბადეები მიკროფილტრებით, რათა თავიდან აიცილოთ ინფექციები. იხილეთ პირადი დამცავი აღჭურვილობის ზოგადი სია ინსტრუმენტთა კრებულში (გვ. 10).

5 ლოგისტიკა და კომუნიკაციის საშუალებები

მოამზადეთ ადგილზე შეფასების სავარაუდო ბიუჯეტი შემდეგი ხარჯების გათვალისწინებით:

- ა. ტრანსპორტირება
- ბ. საცხოვრებელი
- გ. საჭმელი და სასმელი წყალი
- დ. დაცვა და უსაფრთხოება
- ე. კომუნიკაციის საშუალებები
- ვ. ხელსაწყოები ინფორმაციის ჩასანერად შეფასების პროცესის დროს
- ზ. სახარჯი მარაგი თავდაპირველი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის: ბანრები, ნიშნები, გამაფრთხილებელი ლენტები, ბრეზენტი და სხვ.
- თ. პერსონალი

წინასწარი გაანგარიშების მომზადების შემდეგ მოიძიეთ აუცილებელი თანხები და უზრუნველყავით ზემოთ ჩამოთვლილის ორგანიზება.



ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციის დროს, როდესაც დაზიანებულია რამდენიმე ძეგლი, მოაწყვეთ სავლელ ოფისი, რომელიც იმუშავებს როგორც საკოორდინაციო ცენტრი და ოპერაციების ბაზა შემფასებელი ჯგუფებისათვის.



6 გეგმის კოორდინირება

მოახდინეთ თქვენი გეგმის კოორდინირება რეგიონში მომუშავე სხვა საგანგებო სიტუაციაში მოქმედ პირებთან და სტრუქტურებთან. ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებრივი ნაგებობების სტრუქტურული უსაფრთხოებისა და გამოყენების შეფასებები შესაძლოა ჩატარდეს ერთსა და იმავე დროს. ასეთი ნაგებობებია, როგორც წესი, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები და კულტურული მემკვიდრეობის ნაგებობები.

ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოებმა შეიძლება შექმნან დროებითი თავშესაფრები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ღია სივრცეებში. მათი სამუშაო შესაძლოა დაემთხვეს ადგილზე შეფასებას და კულტურული მემკვიდრეობის სტაბილიზებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაბიჯებს.



იქ, სადაც პირველადი დახმარების დროს მემკვიდრეობის ძეგლები გამოიყენება დროებითი თავშესაფრების მოსაწყობად, გაიარეთ კონსულტაცია მცველებთან, რათა მიაწოდოთ ინფორმაცია ძეგლის უსაფრთხოდ გამოყენებასთან დაკავშირებით.



ძველის ინსპექტირება

- 1 გაიარეთ ღირსშესანიშნავი ადგილის/ძველის ტერიტორიაზე, მის ირგვლივ და გაარკვიეთ, შესაძლებელია თუ არა ყველა ადგილთან წვდომა. გეგმაზე მონიშნეთ შესასვლელი პუნქტები.
- 2 იპოვეთ, მონიშნეთ და თუ აუცილებელია, მოამზადეთ ძველთან უსაფრთხო წვდომის გზები, განსაკუთრებით იმ ადგილამდე, სადაც ტრანსპორტს შეუძლია მისვლა და გაჩერება. ასევე იპოვეთ უსაფრთხო გასასვლელები, ევაკუაციის მარშრუტები ძველიდან უსაფრთხო ზონამდე იმ შემთხვევებისათვის, თუ აუცილებელი გახდა ძველის სწრაფად დატოვება.
- 3 თუ ნაგებობას აქვს თვალსაჩინო დაზიანებები, კონსულტაცია გაიარეთ კონსტრუქციული (სტრუქტურული) უსაფრთხოების ინჟინერთან. თუ შიგნით შესვლა უსაფრთხოა, მონიშნეთ უსაფრთხო შესასვლელი შენობის გეგმაზე. თუკი გეგმა არ არის ხელმისაწვდომი, შექმენით გეგმის ჩანახატი.



არ მიუახლოვდეთ კედელს მანძილზე, რომელიც უტოლდება მის სიმაღლეს, სანამ მისი სტაბილურობის თავდაპირველი შეფასებები არ ჩატარებულა. შორს დაიჭირეთ თავი არაკარკასული საყრდენი ფრონტონიანი კედლებისგან, რომლებიც სხვა კედლებზე მაღალია და ხშირად გაცილებით სუსტი (იხ. ფოტო).



ფრანტონის ქვეშ კედელი, გუჯრათი, ინდოეთი, 2015 ფოტო: როპიტ ჯივიასუ

- 4 გამოავლინეთ ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები; კონსტრუქცია კარკასულია თუ არაკარკასული, საყრდენი? როგორი სახის სახურავი აქვს? ეს დაგეხმარებათ გაიგოთ, შენობის რომელი ელემენტებია ყველაზე სუსტი და რის შესახებ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია მოხალისეებს და კულტურული მემკვიდრეობის მასშველებს.
- 5 საგანგებო სიტუაციის მართვის ადგილობრივი მენეჯერების დახმარებით გამოავლინეთ უსაფრთხო სამუშაო და საცავი ადგილები ძეგლის ტერიტორიაზე ან მასთან ახლოს, სადაც მოხალისეებს და პირველადი დახმარების სხვა ჯგუფებს შეეძლება ძეგლის უსაფრთხოებისა და სტაბილიზების სამუშაოების ჩატარება.




მიწისძვრის მიერ დაზიანებული არაკარკასული სტრუქტურა, იტალია, 2017. ფოტო: ეისუკე ნიშიკავა

- 6 გამოავლინეთ და ჩაინიშნეთ საბაზისო მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის (მაგ., ელექტრობისა და წყლის მიწოდება) დაზიანებები. თუ თქვენამდე ეს არ გაუკეთებიათ, გადაკეთეთ ელექტრობის, ბუნებრივი აირისა და წყლის სადენები. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა დაგჭირდეთ სუფთა წყალი და ელექტრობა, რათა მოგვიანებით მოახდინოთ ობიექტების სტაბილიზება ადგილზე.
- 7 გაარკვიეთ, არის თუ არა ძეგლზე არასასურველი ან სახიფათო ნარჩენები ან ქიმიკატები, რომლებიც საჭიროებს გატანას. ამ შემთხვევაში მონიშნეთ მათი ლოკაცია რუკაზე. ასეთ დროს საჭირო ხდება სტიქიის შემდგომი ნარჩენებისა და ნაგვის მართვაში განვრთნილი პროფესიონალების მოხმობა. ამავე დროს შეამოწმეთ, აქვს თუ არა ნაგებობას დაზიანებული ნაწილები ან დეკორატიული ელემენტების ფრაგმენტები, რომლებიც საჭიროებს გადარჩენას. მონიშნეთ მათი მდებარეობა ძეგლის რუკაზე.

მოახდინეთ უძრავი მემკვიდრეობის ზიანის დოკუმენტაცია

- 1 არქეოლოგიური ძეგლის შემთხვევაში, მონიშნეთ დაზიანებები ძეგლის რუკასა და შენობის გეგმაზე, ფასადების ნახაზებსა და ჭრილებზე (არსებობის შემთხვევაში); სხვა შემთხვევაში, მონიშნეთ დაზიანებები გეგმის ჩანახატზე, ძეგლთან ან ნაგებობასთან ყოფინიას ჩაინიშნეთ მხოლოდ მნიშვნელოვანი დაზიანებები; დრო შეზღუდული იქნება და აუცილებელია ქმედებების პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, რათა უპირველესად ძალები მიმართოთ მნიშვნელოვანი საფრთხეებისაკენ. მაგალითად, ჩაინიშნეთ კედლის ნაწილები, რომლებიც ჩამოშლის პირასაა გადახრილობის, გამობურცულობის, განცალკევების ან ღრმა ბზარების არსებობის გამო. ტიპური ზიანის შესახებ, რომელიც სხვადასხვა საფრთხის შედეგად შეიძლება მიადგეს მემკვიდრეობის ძეგლებს, მეტი ინფორმაცია იხილეთ ინსტრუმენტთა კრებულში, გვ. 28.



გეგმის, ფასადის და ჭრილის ჩანახატის ნიმუში, რომი, 2018 ფოტო: ეისუკე ნიშიკავა

- 2 დაზიანებული ნაგებობების შემთხვევაში, ჩაინიშნეთ მხოლოდ გარეთა დაზიანებები უსაფრთხო დისტანციიდან, სანამ ექსპერტი მოგცემთ ინტერიერის დათვალიერების ნებართვას.
- 3 გადაიღეთ კონტექსტის ამსახველი ფოტოსურათები (მთელ სიგანეზე ან სიმაღლეზე) და ფოტოს ნომერი მიუთითეთ ძეგლის რუკაზე/შენობის გეგმაზე. აღწერეთ დაზიანების ტიპი, მდებარეობა და მისი მოცულობა შეფასების ფორმაზე.

- 4 გამოავლინეთ ის შენობები (ღირსშესანიშნავი ადგილის/ტერიტორიული ძეგლის შემთხვევაში) ან ოთახები (ერთი შენობის შემთხვევაში), რომლებსაც ყველაზე მეტად დაუზიანდა სტრუქტურული და არასტრუქტურული ელემენტები და მონიშნეთ მათი მდებარეობა შენობის გეგმაზე. მოამზადეთ ცალკეული შეფასებების ფორმები ყველა ნაგებობისათვის და გამოიყენეთ ისინი, რათა აღწეროთ ზიანის ტიპი და მოცულობა. თუკი შესაძლებელია, გადაიღეთ დაზიანების ფოტოები და მისი ნომერი დაიტანეთ შენობის გეგმაზე.
- 5 გაესაუბრეთ ღირსშესანიშნავი ადგილის ახლოს მცხოვრებ ან მის ტერიტორიაზე მომუშავე ადამიანებს, მათ შესაძლოა ჰქონდეთ ღირებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის ნანგრევების ქვეშ, ან როგორი იყო ძეგლის მდგომარეობა თქვენს მისვლამდე.
- 6 მოახდინეთ ეკონომიკური ზარალის აღნუსხვა – მაგალითად, დანაკარგი შემოსავლისა, რომელიც მიიღებოდა ბილეთების გაყიდვით.

უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის რისკისა და ზიანის შეფასების ფორმების მოსამზადებელი გზამკვლევი და ნიმუშები იხილეთ ინსტრუმენტების კრებულში, გვ 15.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და კოლექციების დაზიანების აღნუსხვა

- 1 ამოიცანით და შენობის გეგმაზე ან გეგმის ჩანახატზე მონიშნეთ იმ ოთახის ან ადგილის ადგილმდებარეობა, რომელშიც განთავსებულია დაზიანებული მემკვიდრეობის ობიექტები.
- 2 გამოიყენეთ კატასტროფამდე შექმნილი **რეესტრი/საინვენტარო ნუსხა** და თქვენივე ვიზუალური შეფასებით განსაზღვრეთ დაზიანებული ობიექტების რაოდენობა და მასალა, მაგალითად, ქვა, ხე, ქალღიბი ან მეტალი. ეს ინფორმაცია უნდა დაიტანოთ თქვენს ზიანისა და რისკის შეფასების ფორმაში.
- 3 სცადეთ, ამოიცნოთ ზიანის ტიპი და მოცულობა. მაგალითად, ჩაინიშნეთ, არის თუ არა ობიექტები გატეხილი ან დეფორმირებული. შეამოწმეთ, ობიექტები სველია, მშრალი, მიწიანი თუ დამწვარი. ჩაინიშნეთ თქვენი დაკვირვებები შეფასების ფორმაში.
- 4 ჩაინიშნეთ, დგანან თუ არა ობიექტები სახიფათო მასალების (ქიმიური ან ადამიანების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების) საფრთხის წინაშე.
- 5 გადაუღეთ ფოტო დაზიანებულ ობიექტებს. თუ ობიექტებს იპოვით ერთ ან რამდენიმე გროვად, გადაუღეთ ყველა გროვას თითო ფოტო ფართო კუთხით. ჩაინიშნეთ ფოტოს ნომერი შეფასების ფორმასა და შენობის გეგმაზე.



დაზიანებული ქანდაკებები ჰანუშან დოკაში, კატმანდუ, ნეპალი, 2015
ფოტო აპარხა ტანდონი, ICCROM



არამატერიალურ მემკვიდრეობაზე კატასტროფის შედეგების აღნუსხვა

გაესაუბრეთ თემის წარმომადგენელ შესაბამის ჯგუფებს (რელიგიურ ლიდერებს, ქალთა ჯგუფებს, ხანდაზმულებს, რეწვის ასოციაციებს და სხვ.) და მათთან ერთად განიხილეთ, თუ რა ტიპის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა დაზიანდა და როგორ.



გამოიყენეთ თქვენ მიერ სიტუაციის ანალიზის დროს შედგენილი **მოქმედ და დაინტერესებულ პირთა რუკის** მონაცემები, რათა განსაზღვროთ შესაბამისი ჯგუფები მსგავსი კონსულტაციისათვის.

- 1 დარწმუნდით, რომ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე საუბრისას თემის წარმომადგენლები ყურადღებას არ ამახვილებენ მხოლოდ დიდ ფესტივალებსა ან დღესასწაულებზე. გაითვალისწინეთ **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ იუნესკოს 2003 კონვენციის** მიერ შემოთავაზებული კატეგორიები: ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები (მათ შორის ენა); საშემსრულებლო ხელოვნება; ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები; ბუნებასა და სამყაროსთან დაკავშირებული ადგილობრივი ცოდნა და ადათ-წესები და ტრადიციული ხელოვნება.

შეფასება უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ზეგავლენის ქვეშ მყოფი არამატერიალური მემკვიდრეობის მახასიათებლები, მასთან წვდომა და მისი გადაცემა. სამივე მათგანი ერთმანეთთან დაკავშირებულია.

- ჩაინიშნეთ მატერიალური რესურსები, რომლებიც არამატერიალურ მემკვიდრეობასთან არის დაკავშირებული (მაგ.: ადგილები, ღირსშესანიშნავი ადგილები, ობიექტები, კოსტიუმები და ინსტრუმენტები). მატერიალური რესურსების შეფასება ყველაზე მარტივია. ამისათვის წინა სექციაში აღწერილი მეთოდები შეგიძლიათ გამოიყენოთ.



ხშირად მატერიალური რესურსების დაზიანება არ ისახება არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე. მაგალითად, რიტუალი შესაძლოა ჩატარდეს სხვა ადგილას, ფესტივალი კი – ახალი კოსტიუმებით. თუმცა არ დაივიწყოთ სხვა სახის დანაკარგები, მაგალითად, ბაზრებთან და ხელსაწყობთან წვდომის დაკარგვა შესაძლოა ნიშნავდეს ოსტატთა შემოსავლის დაკარგვას.

- ისაუბრეთ ადამიანებთან, მათ შორის შემსრულებლებთან, პრაქტიკოსებთან, სულიერ ლიდერებთან და ხანდაზმულებთან. შეფასებამ უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზე, თუ რა ბედი ეწიათ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებს. მაგალითად, კატასტროფამ შეიძლება გამოიწვიოს მცოდნე ადამიანების გარდაცვალება ან გადასახლება, რამაც შესაძლოა გაართულოს ცოდნის ან ტრადიციების გადაცემის პროცესი. გადასახლების შედეგად შესაძლოა მკურნალებსა და მღვდლებს შეეზღუდოთ რიტუალების ჩასატარებლად წმინდა ადგილებთან მისვლა.
- გამოავლინეთ და შეაფასეთ ტრადიციები და ცოდნის ფორმები. შეფასების ეს ეტაპი ყველაზე რთულია და მოითხოვს იმის ცოდნას, თუ როგორ ვითარდებოდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტულად ეს ტიპები. ეს მოგცემთ საშუალებას, განსაზღვროთ, თუ როგორ შეცვალა ის კატასტროფამ და ივარაუდოთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კატასტროფამ მათზე დროთა განმავლობაში. ხშირად კატასტროფამ შეიძლება გამოიწვიოს არათუ ცოდნის სრულიად დაკარგვა, არამედ არამატერიალური მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ცვლილება.

მაგალითად, კონკრეტული მსვლელობა შესაძლებელია კვლავ მოენწყოს, მაგრამ ის არ გაჰყვება ძველ მარშრუტს; ან ადგილობრივ ისტორიებს შესაძლოა კვლავ მოჰყვნენ, თუმცა განსხვავებულად, მასში შეიძლება ჩართონ კატასტროფის მოვლენები. აუცილებელია, რომ კატასტროფის შემდგომმა შეფასებამ გაითვალისწინოს მსგავსი ცვლილებები, რაც არ არის აუცილებლად ნეგატიური და შესაძლოა მიუთითებდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და მისი მატარებლების გამძლეობაზე.

არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე კატასტროფის გავლენის შესაფასებლად გამოსაყენებელი ნიმუში იხილეთ ინსტრუმენტთა კრებულში (გვ. 22).












მყისიერი რისკების შეფასება და აღნუსხვა

კატასტროფის შემდგომი რისკის შეფასება გვეხმარება მყისიერი რისკების ამოცნობაში სწრაფად ცვალებადი საგანგებო სიტუაციის დროს. მისი საშუალებით გვიადვილდება რისკის შესამცირებელი ქმედებების განსაზღვრა და მომზადება, სანამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გამოუსწორებელ დანაკარგს განიცდის.

რისკების შეფასების ქმედებათა თანმიმდევრობა მოცემულია ქვემოთ:

- 1 ამოიციანთ შესაძლო საფრთხეები (ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული), რაც შესაძლოა დაემუქროს ადამიანთა სიცოცხლეს ან/და მიაყენოს ზიანი მატერიალურ და არამატერიალურ მემკვიდრეობას.

გაითვალისწინეთ **პირველადი** და **მეორეული** საფრთხეები. მაგალითად, მიწისძვრა არის პირველადი საფრთხე და მან შესაძლოა გამოიწვიოს მეორეული საფრთხეები, როგორცაა: ცუნამი, წყალდიდობა ან ვანდალიზმი. თუკი ამ საფრთხეთა წყარო ლოკალიზებულია, დაადგინეთ მათი მდებარეობა ღირსშესანიშნავ ადგილთან/შენობასთან/ადგილობრივ თემთან მიმართებით.

| პირველადი საფრთხე | მეორეული საფრთხე |
|---|--|
| ბუნებრივი საფრთხეები | |
|  მიწისძვრა | ხანძარი, მეწყერი, ცუნამი, გრუნტის გათხელება |
|  წყალდიდობა | მეწყერი, ობი/სოკო, გამომარილება, კოროზია |
|  ცუნამი | ხანძარი, წყალდიდობა |
|  ქარიშხალი/ტორნადო | ხანძარი, ქარით გამოწვეული დაზიანებები |
|  ხანძარი | წყლით დაზიანება, ობი/სოკო, გამომარილება, კოროზია |
|  ვულკანი | ხანძარი, მეწყერი, მიწისძვრა |
| ადამიანის მიერ გამოწვეული | |
|  საომარი მოქმედებები | ხანძარი, დაბომბვა, დანგრევა |
|  ტერორიზმი | ხანძარი, დაბომბვა |
|  ვანდალიზმი | დანგრევა, ძარცვა |



2 ამოიცანით ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური სისუსტეები, რომლებიც მემკვიდრეობას საფრთხის ქვეშ აყენებს. ეს სისუსტეები შეიძლება ამოიცნოთ შემდეგნაირად:

ა. გამოიყენეთ თქვენ მიერ **სიტუაციის ანალიზის** დროს შეძენილი ცოდნა, რათა გაიგოთ, როგორ და რატომ დაზიანდა მემკვიდრეობის ძეგლები და თუ დგანან მეორეული საფრთხის წინაშე. მაგალითად, ცუდად მოვლილ ისტორიულ ნაგებობას, რომელიც დაზიანდა ქარიშხლისგან, შესაძლოა კვლავ ემუქრებოდეს მეორეული საფრთხე, როგორცაა: ხანძარი და წვიმა. ძეგლის არასაკმარისი მოვლა-პატრონობა შესაძლოა გამოწვეული იყოს არაერთი სოციალური ან ეკონომიკური ძირეული მიზეზით, როგორცაა: სახსრების ნაკლებობა ან შემთხვევა, როდესაც მემკვიდრეობა უმცირესობის თემის საკუთრებაა.

ბ. ზიანის ჩანიშვნის დროს დააკვირდით, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ძეგლის ამ ტიპს მეტი მეორეული საფრთხე ემუქრებოდეს, მაგალითად, სველი ობიექტი, დამზადებული ორგანული მასალისგან, უფრო მიდრეკილია ობის ან მღრღნელების ინვაზიებისკენ.

გ. ადგილზე შეფასების დროს ჩაინიშნეთ ის აქტივობები ძეგლზე და მის ირგვლივ, რამაც შესაძლოა შექმნას ან გაზარდოს რისკები და მოწყვლადობა. მაგალითად: თავშესაფრების ორგანიზებამ მემკვიდრეობის ძეგლის მახლობლად, ღია სივრცეებში შესაძლოა ის ძარცვის ან ვანდალიზმის რისკის ქვეშ დააყენოს; ძეგლის მახლობლად სავლელ სამზარეულოს მოწყობა ხანძრის რისკს აჩენს.

გაესაუბრეთ მოქმედ და დაინტერესებულ პირებს ადგილზე, რათა შეაფასოთ საფრთხეების, წინააღმდეგობებისა და საჭიროებების მათეული აღქმა. მოქმედი და დაინტერესებული პირები შესაძლოა იყვნენ ძეგლის მენეჯერები, მცველები, დაცვის თანამშრომლები და მეზობლები.

დ. არამატერიალური მემკვიდრეობისათვის გაითვალისწინეთ სოციალური პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს ცოდნის გადაცემაზე, მასთან წვდომაზე ან არამატერიალური მემკვიდრეობის პრაქტიკაზე. მაგალითად: ცოდნა შესაძლოა არ დაზარალდეს, მაგრამ მასობრივმა გადასახლებამ ან ბაზრებთან წვდომის არქონამ შესაძლოა ახალგაზრდა თაობას დაუკარგოს კონკრეტული ტრადიციების ათვისების ინტერესი ან შესაძლებლობა.

3 მყისიერი რისკების შეფასებისათვის აუცილებელია რისკების განაცხადის მომზადება.

რისკების განაცხადი ხსნის, თუ როგორ ახდენს მყისიერ გავლენას სხვადასხვა ტიპის კულტურულ მემკვიდრეობასა და ადამიანთა უსაფრთხოებაზე პირველადი ან მეორეული საფრთხეების კავშირი დაუცველობასა და რისკებთან შეხების სხვადასხვა ხარისხთან.

მაგალითად: ჭერის ბზარებმა შესაძლოა გამოიწვიოს ძლიერი წვიმის დროს წყლის ჟონვა და ისტორიული ინტერიერისა და მოხატულობის დაზიანება; ან ღობეებისა და დაცვის სისტემების არქონამ შესაძლოა გაზარდოს მონასტრის გაძარცვის რისკი.

რისკების განაცხადის მომზადებისას გაითვალისწინეთ ყველა შესაძლო კავშირი **სისუსტეებსა** და **პირველად და მეორეულ საფრთხეებს** შორის, რამაც შესაძლოა გაზარდოს კატასტროფის ნეგატიური შედეგები (იხ. ნახაზი).

შესაბამისად, განაცხადის მომზადებისთვის დაგჭირდებათ გარკვეული დრო, თუმცა ეს სამუშაო შესაძლოა ძეგლიდან შორს ჩატარდეს ინფორმაციის შეგროვების პროცესის განმავლობაში.





ტოპუკუს მიწისძვრისა და ცუნამის შედეგები იაპონიაში

2011 წლის 11 მარტს იაპონიის ყველაზე დიდი კუნძულის, ჰონშუს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე 9.0 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. მას მოჰყვა ძლიერი ცუნამი, რომელმაც წყლით დაფარა აღმოსავლეთი იაპონია და სენდაის ნაწილი, მათ შორის აეროპორტი და არაერთი ტრადიციული დასახლება. მიწისძვრამ ასევე დააზიანა კაშხალი, რამაც დატბორვა გამოიწვია. ამობრუნდა კონტეინერები, საიდანაც წყალში ჩაიღვარა ნავთობი. შედეგად გაჩნდა ხანძარი, ატომურ ელექტროსადგურზე კი აფეთქება მოხდა.



ცუნამის შედეგად დაზარეული შენობა, წვრევა აღმოსავლეთ იაპონიაში, 2011, ფოტო: შიავის პრეფექტურის გამგეობა

ამ შემთხვევაში, მიწისძვრა პირველადი საფრთხე იყო, რომელმაც მეორეული საფრთხეები გამოიწვია, მათ შორის, მიწისძვრის მომყოლი ბიძგები, ცუნამი, წყალდიდობები, ხანძრები და ატომურ ელექტროსადგურზე აფეთქება. ზღვასთან სიახლოვე და გეოგრაფიული მდებარეობა იაპონიაში მიწისძვრისა და ცუნამის მომეტებულ საფრთხეს ქმნის. ტერიტორიაზე ნავთობის ტანკერებისა და ატომური რეაქტორის არსებობამ კი ხანძრისა და რადიაციის სახით დამატებითი საშიშროება გააჩინა. ამ საფრთხის შემცველ მოვლენათა ერთობლიობით გამოწვეული კატასტროფების შედეგად 19 000 ადამიანი დაიღუპა, ათასობით ადამიანი კი უსახლკაროდ დარჩა; განადგურდა სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის ობიექტები, მათ შორის გზები და ელექტროსადგურები. ამასთან, აღირიცხა კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების 700-ზე მეტი შემთხვევა. მიწისძვრის შედეგად კულტურული მემკვიდრეობის არაერთმა





შენობამ მცირე და საშუალო კონსტრუქციული დაზიანება განიცადა. ცუნამით დაზარალებულ ადგილებში განადგურდა ისტორიული და ხალხური არქიტექტურის ნიმუშები და კოლექციები.

საზღვრიდან მოშორებით, ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე, რომელსაც ცუნამი ვერ მისწვდა, ჰესის ნგრევით გამოწვეული დატბორვის შედეგად არქეოლოგიური საცავი და მოძრავი მემკვიდრეობის სხვა ობიექტები დაზიანდა. მოძრავი ძეგლები ასევე დაზიანდა ბირთვული რადიაციის შედეგად, რამაც, თავის მხრივ, ამ ობიექტების აღდგენა შეაფერხა. ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის გამო დაზარალებულ ტერიტორიაზე არსებული მემკვიდრეობის ობიექტების დასველებული ორგანული მასალა დაობებისა და სხვა სახის ბიოდეგრადირების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 160



- 4 რისკის შესახებ ყოველი დასკვნის მომზადებისას რისკის დონე (დაბალი, საშუალო, მაღალი) განსაზღვრეთ პირველადი და მეორეული საფრთხეებისა და მათი შესაძლო ზეგავლენის მიხედვით. მაგალითად, მიწისძვრის მომყოლი ბიძგების შედეგად კონსტრუქციული ბზარების გამო ნაგებობების ნგრევის შესაძლებლობა მაღალია. შედარებით დაბალია ნგრევის რისკი ძლიერი წვიმის და სახურავიდან წყლის უმნიშვნელო გაჟონვით გამოწვეული მცირე დატბორვის შემთხვევაში.

იხილეთ ინსტრუმენტთა კრებული; ფორმებისა და სხვა რესურსებისათვის, რომლებიც დაგეხმარებათ გადაუდებელი რისკების შეფასებაში, იხ. გვ. 14.



მონაცემების შეგროვება

- 1** ყველა ტიპის მემკვიდრეობის ობიექტის ადგილზე შეფასების შემდეგ სისტემატურად გააციფრეთ შეფასების ფორმები და ჩანახატები. ამით თავიდან აიცილებთ მონაცემების დაკარგვას და ადვილად შეძლებთ ინფორმაციის გამოსაყენებლად შესაფერისი ფორმატით გავრცელებას. მონაცემთა გაციფრება, სულ მცირე, დღეში ერთხელ უნდა დაგეგმოთ. ამისათვის, სავსელ სამუშაოს დაწყებამდე, მოამზადეთ გაციფრების მეთოდი და განსაზღვრეთ ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა. მემკვიდრეობის თითოეულ კომპონენტსა და ფასეულობას მინიჭებული უნდა ჰქონდეს კოდი, რაც მათ მარტივად იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს იხ. ინსტრუმენტთა კრებული გვ. 42.
- 2** დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუები: შეაგროვეთ ინტერვიუების ჩანაწერები და შეინახეთ ისინი სხვა მონაცემებთან ერთად. აუცილებლად მიუთითეთ წყაროს სახელი, თარიღი, ადგილი, და თუ შესაძლებელია, პირის საკონტაქტო ინფორმაცია.
- 3** ჩამოტვირთეთ ფოტოები თქვენი ფოტოაპარატიდან და დაუკავშირეთ ისინი შენობის გეგმის ციფრულ ასლს. ნაშაღეთ ფოტოს ავტომატური სახელწოდება ან ნომერი და მის ნაცვლად მიუთითეთ ფაილის სახელი, რომელშიც მოკლე კოდებით მითითებული იქნება დაზიანებული ობიექტის ადგილმდებარეობა, დაზიანების თარიღი და დონე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ შეფასება რამდენიმე ადგილზე ტარდება და/ან შეფასების პროცესი სხვადასხვა ეტაპზეა. დარწმუნდით, რომ ფაილებისთვის მინიჭებული სახელები და კოდები თანმიმდევრულია და ისინი გასაგებია შეფასებისა და მონაცემთა შეგროვების პროცესებში ჩართული ყველა პირისათვის.
- 4** დაუკავშირეთ შეფასების ფორმების მონაცემები ძეგლის რუკას, შენობის სართულების გეგმასა და ზიანის ამსახველ ფოტოებს და გაართიანეთ ისინი ცალკე ფაილში.
- 5** თუ ადგილზე ამ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა არ მოგეცათ, მოამზადეთ რისკის შესახებ დასკვნები და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიუთითეთ რისკის დონე.
- 6** შეაგროვეთ, კატეგორიებად დაყავით და სტანდარტულ მონაცემთა ბაზაში შეინახეთ ადგილზე მოპოვებული მონაცემები, რათა ისინი ადვილად ხელმისაწვდომი და საანალიზოდ მოსახერხებელი იყოს.



კომპილაციისა და ვიზუალიზაციის ინსტრუმენტი

ნაგებობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების საცავების ველზე დოკუმენტირებაში დაგეხმარებათ მობილურ ტელეფონში ან პლანშეტზე ჩამოტვირთული **გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა – გის (Geographical Information Systems/GIS)**. ზიანისა და რისკის შეფასების ფორმების შევსება ინტერნეტის გარეშე მომუშავე GIS-ის აპლიკაციაშიც შეიძლება. ასევე შესაძლებელია ფოტოების მიხედავით ფორმებზე და ამგვარად, ყველა ფორმისა და ფოტოს ერთად შენახვა. ფორმებისა და ფოტოების ცენტრალურ ბაზაში გადატანას მობილური ტელეფონის ინტერნეტთან დაკავშირების შემდეგ შეძლებთ. ყველა აპლიკაცია, რომელსაც მონაცემების ჩანერის, კომპილაციისა და ვიზუალიზაციის მიზნით შეარჩევთ, საჭიროების მიხედვით უნდა ადაპტირდეს. ზიანის შეფასების ჯგუფი ველზე მუშაობის დაწყებამდე უნდა მომზადდეს, რათა სწორად შეძლოს აპლიკაციის გამოყენება.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 155



შეფასების ანგარიშის მომზადება

ველზე ჩატარებული სამუშაოს შედეგებზე დაყრდნობით მოამზადეთ შეფასების ერთიანი ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა:

- დაზიანებულ ფასეულობათა მნიშვნელობა (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/კოლექცია /ტრადიცია);
- კონფლიქტის ან კატასტროფის ხასიათი. რა მოხდა? როდის? რა ზეგავლენა იქონია მან კულტურულ მემკვიდრეობაზე?
- მოძრავი ან უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის დაზიანებისა და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე კატასტროფის შედეგის აღწერა. მოკლედ უნდა აღინეროს ზიანის ტიპი, მდებარეობა (რუკაზე, ადგილის გეგმაზე, შენობის გეგმაზე ან გეგმის ჩანახატზე მითითებით) და სავარაუდო გამომწვევი მიზეზები. დაზიანების ყველა შემთხვევა ილუსტრირებული უნდა იყოს ერთი ფოტოსურათით. არამატერიალური მემკვიდრეობის აღწერაში შეიძლება მიუთითოთ, თუ რომელ ასპექტზე მოახდინა ზეგავლენა კატასტროფამ: მატერიალურ ელემენტებზე, ადამიანებზე და/თუ ცოდნაზე/ტრადიციაზე.

- დანაკარგი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ადამიანურ დანაკარგს ან საშემოსავლო და/ან ინფრასტრუქტურულ დანაკარგებს; ასევე დანაკარგების გრძელვადიან უარყოფით ზეგავლენას კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებულ ობიექტებზე.
- რისკის განაცხადები, რომლებიც ეყრდნობა კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ტიპის ობიექტების წინაშე არსებული საფრთხეების, სისუსტეებისა და რისკების შესახებ მონაცემებს და შემდგომი რისკების იდენტიფიკაციას.
- კულტურული მემკვიდრეობის თითოეული ობიექტის უსაფრთხოებისა და სტაბილიზების გადაუდებელი ღონისძიებები ადგილზე.
- კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებული ობიექტების უსაფრთხოებისა და სტაბილიზებისათვის აუცილებელი რესურსები შესაბამის განრიგთან ერთად.

ანგარიშში მითითებული უნდა იყოს სავსე შეფასების თარიღი, ავტორ(ებ)ი, პროცესში ჩართული ყველა ადამიანის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია და მათი მოვალეობები. ასევე უნდა ჩაინეროს გამოკითხულ პირთა სახელები.



ადგილზე განსახორციელებელი ქმედებების გეგმის განახლება

ზიანისა და რისკის შეფასების გაერთიანებული ანგარიში შეიძლება დაეფუძნოს **სიტუაციის ანალიზის პროცესში ძველის ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზების მიზნით იდენტიფიცირებული ღონისძიებების** განხორციელების გეგმას (იხ. გვ. 39). იგი განსაკუთრებით სასარგებლოა ცალკეულ ობიექტებზე განსახორციელებელი ქმედებების პრიორიტეტების გამოსაყოფად, მაგალითად, საფარის გარეშე დარჩენილი, დაზიანებული კონსტრუქციული ელემენტებისთვის დროებითი გადახურვის მოსაწყობად. ის ასევე გამოიყენება კულტურული მემკვიდრეობის თითოეული დაზიანებული ობიექტის სტაბილიზებისათვის საჭირო რესურსებისა და სპეციალიზებული ცოდნის განსასაზღვრად.



კატასტროფის შემდგომი საჭიროებების შეფასება (PDNA)

კატასტროფის შემდგომი საჭიროებების შეფასების (PDNA) მიზანია საჭიროებების შესწავლა და აღდგენის გეგმის შემუშავება, რომლის საფუძველზეც მოთხოვნილი იქნება ერთიანი საგანგებო დაფინანსება (მაგ., მოთხოვნა მყისიერი ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად). მისი





გამოყენება ასევე შეიძლება ეროვნულ დონეზე ადდგენის პრიორიტეტებისა და საჭირო დაფინანსების ოდენობის განსასაზღვრად. გამომდინარე იქიდან, რომ თანხების მოძიება PDNA-ის გათვალისწინებით უნდა დაიწყოს, ის ჩვეულებრივ კატასტროფიდან 4 ან 6 კვირაში ტარდება.

PDNA-ის უშუალო შედეგია ანგარიში, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან – **საჭიროებების შეფასებისა** და **ადდგენის გეგმისგან**. მასში სხვადასხვა დარგობრივი, მათ შორის კულტურის სფეროს, ანგარიშია გაერთიანებული.

PDNA მთავრობის ხელმძღვანელობით და გაეროს პარტნიორობით ერთად ტარდება. კონტექსტისა და მთავრობის **პოტენციალზე** კატასტროფის ზეგავლენის გათვალისწინებით, მთავრობამ შეიძლება გაეროს მიმართოს პროცესის წარმართვის თხოვნით. შეფასება მზადდება ორგანიზაციების, თემებისა და ცალკეული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების, დაზარალებული თემების, ადგილობრივი ლიდერების (ოფიციალური ტრადიციული და რელიგიური), უსაფრთხოების ოფიცრებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით.

უმეტესად PDNA-ის კულტურის მიმართულებაზე მუშაობას მთავრობა და იუნესკო (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) წარმართავენ კულტურის სხვადასხვა სფეროს ექსპერტებით (არქიტექტორები, ინჟინრები, მუზეოლოგები, ანთროპოლოგები, არქეოლოგები და სხვ.) დაკომპლექტებულ ჯგუფთან ერთად.

კულტურის შეფასების შესახებ თავი შეტანილია PDNA-ის სამოქმედო პრინციპების სოციალურ კომპონენტში.

PDNA და მისი მიმართება კულტურული მემკვიდრეობის დარგში პირველადი დახმარების ღონისძიებებთან.

სიტუაციის ანალიზისა და **ადგილზე ზიანისა და რისკის შეფასების** PDNA-სთან მიმართება დამოკიდებულია თითოეული მათგანის ჩატარების დროზე. ნებისმიერი მათგანი შეიძლება გამომდინარეობდეს მეორისგან, იმის მიხედვით, თუ რომელი სრულდება პირველად. ვინაიდან ფიქსირებული განრიგი არც პირველადი დახმარების შემთხვევაში არსებობს და არც PDNA-ის დროს, ეს მიმართება ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული იქნება.

წყარო: ელვე ხელტერი, აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკისმცოდნეობის სკოლა ლონდონის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 160





უკეთ მოემზადეთ ადგილზე მოვლენის შემდგომი ზიანისა და რისკის შესაფასებლად

გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

- მოამზადეთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სია და შეამოწმეთ, გაქვთ თუ არა რუკა მათი გეოგრაფიული კოორდინატების მითითებით?
- გაქვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ კრიზისამდე არსებული ინფორმაცია, კერძოდ, მათი საინვენტარიზაციო უწყისები, შენობის გეგმები, ფოტოები და მდგომარეობის შესახებ ანგარიშები?
- მზად გაქვთ ზიანისა და რისკის შეფასების ფორმა, რომელიც სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის არის ადაპტირებული?
- შეარჩიეთ კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტები და კრიზისული სიტუაციების მენეჯერები, რომლებიც ზიანისა და რისკის შეფასების ჩატარებას შეძლებენ?
- გამოცადეთ ფორმა გუნდთან ერთად და ჩამოაყალიბეთ ინფორმაციის შეგროვებისა და ვიზუალიზაციის სისტემა?
- ჩატარეთ მოსამზადებელი ინსტიტუციური სამუშაო ადგილზე კატასტროფის შემდგომი ზიანისა და რისკის შეფასებების ჩასატარებლად საჭირო დაფინანსების უზრუნველსაყოფად?
- დაუკავშირდით საგანგებო მართვის ადგილობრივ სამსახურს და შეთანხმდით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უსაფრთხოების შეფასების მიზნით კოორდინირებულად მუშაობაზე?

რა მოჰყვება ზიანისა და რისკის შეფასებას ადგილზე?


თქვენს რეგიონში საგანგებო სიტუაციის შემდგომ კულტურული მემკვიდრეობის მაშველებთან ერთად განახორციელეთ **სიტუაციის ანალიზი** და მოახდინეთ **ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე**. ორივე ეს ნაბიჯი კოორდინირებული იყო საგანგებო სიტუაციაში მოქმედ პირებთან და მასში დაინტერესებული მხარეები და ადგილობრივი თემი მონაწილეობდა. შედეგად, თქვენ შეძელით პრიორიტეტების გამოყოფა და ნაგებობების, ობიექტებისა და არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვა და სტაბილიზება.

როგორი უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი?

განაგრძეთ კითხვა, რათა გაარკვიოთ.

მესამე ნაბიჯი

უსაფრთხოება და სტაბილიზაცია



რას გულისხმობს უსაფრთხოება და სტაბილიზაცია?

ლონისძიებებს, რომლებიც რისკის შემცირების გზით დაზიანებული მემკვიდრეობის მდგომარეობის სტაბილიზაციასა და შემდგომი ზიანისა და დანაკარგის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზაციის ღონისძიებებს უწოდებენ.

ეს ღონისძიებები დროებითია და საგანგებო სიტუაციაში დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სრულმასშტაბიანი საკონსერვაციო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელი სამუშაოს ჩატარებას გულისხმობს.

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზაციის ღონისძიებები დამოკიდებულია კონტექსტზე და ყოველთვის ერთნაირი თანმიმდევრობით არ ხორციელდება. ჩარევა წარმატებული რომ იყოს, აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მათი სტაბილიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების სათანადოდ დოკუმენტირება.



გადაუდებელი სტაბილიზაცია პრაქტიკაში, ვორქშოპის დროს, შოუფში, ლიბანი, 2014.
ფოტო: ICCROM-ATHAR

უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციისკენ მიმართული ძირითადი ღონისძიებები მოიცავს:

- დაზიანებული ძეგლისა და კოლექციის შემოღობვას;
- დროებითი გადახურვის მოწყობას შენობის ელემენტების, ფრაგმენტებისა და ობიექტებისათვის (იხ. ინსტრუმენტა კრებული, გვ. 73).
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების **კატასტროფის შემდგომ ევაკუაციას** შედარებით უსაფრთხო დროებით სივრცეში.



- დაზიანებული კოლექციების, შენობის ფრამენტების და დეკორაციის **გადარჩენას**, რაც მოიცავს ობიექტების გადარჩევას და სტაბილიზებას ზედაპირული გასუფთავებით და/ან გაშრობას;
- **უსაფრთხო და დაცული დროებითი საცავის** უზრუნველყოფას ევაკუირებული ობიექტებისათვის;
- შენობის ან ნაგებობის **გამოშრობას** დატბორვის შემდეგ;
- კედლის ან სხვა მზიდი ელემენტების **ბიჯებით გამაგრებას** დროებითი ფიქსაციისთვის.



არამატერიალური მემკვიდრეობის უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ღონისძიებები განსხვავდება ზემოთ აღწერილი ღონისძიებებისგან. არამატერიალური მემკვიდრეობის შემთხვევაში მეტი მნიშვნელობა ენიჭება კატასტროფის შემდეგ საფრთხის ქვეშ მყოფი ტრადიციისა და ცოდნის შენარჩუნებას. დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. თავი არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

ვის შეუძლია უსაფრთხოებისა და სტაბილიზების სამუშაოს შესრულება?

განვრთნილ კულტურული მემკვიდრეობის მაშველებს და კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც საგანგებო სიტუაციაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება აქვს, შეუძლიათ უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების იდენტიფიცირება, პრიორიტეტებიზაცია და მათ განხორციელებაში დახმარება. მათ შორის არიან კონსერვატორები, არქეოლოგები, კურატორები, არქივის თანამშრომლები, ინჟინრები, არქიტექტორ-რესტავრატორები, ანთროპოლოგები და არამატერიალური მემკვიდრეობის სპეციალისტები.



გაეროს შვიდობისყოფილები სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობისას ხელულების ცენტრში, ჰაიტი, 2010. ფოტო: ICCROM

სამხედრო პერსონალი, მებანძრეები, სამძებრო და სამაშველო ჯგუფები ხშირ შემთხვევაში განვრთნილნი არიან საგანგებო სიტუაციაში ნაგებობების სტაბილიზების სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ მათ შეიძლება არ ჰქონდეთ სათანადო ცოდნა ისტორიული ნაგებობებისა და მათი ნგრევის თავისებურებების შესახებ; ამიტომ შეეცადეთ, ისარგებლოთ ინჟინერ-კონსტრუქტორისა და არქიტექტორ-რესტავრატორის რჩევით. კატასტროფის შემდგომი ევაკუაციისა და გადარჩენის ოპერაციებში თქვენს დახმარებას შეძლებენ საგანგებო რეაგირების ჯგუფები. ობიექტზე შეზღუდული წვდომის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ ნაგებობა არ არის უსაფრთხო, ობიექტების გადარჩენას სამხედროები ან მებანძრეები შეძლებენ სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით.

ფართომასშტაბიან ოპერაციებში აქტიურად უნდა ჩაერთონ მოხალისეები და ადგილობრივები. მათ ადგილზე უნდა გაიარონ წვრთნა, რათა შესაბამისი ზედამხედველობით შეძლონ უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზების ოპერაციების განხორციელება, რაც შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტირებას, ობიექტების ტრანსპორტირებას, ნაშაღის გადარჩევას, **დროებითი გამაგრების ბიჯების** აწყობასა და ინვენტარიზაციას.

საგანგებო სიტუაციები ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაბამისად, თითოეული მათგანი სპეციფიკურ რეაგირებას მოითხოვს. ამიტომ ცალკეული ღონისძიებების განსახორციელებლად მითითებები მომზადებულ მოხალისეებსაც სჭირდებათ. პირველადი დახმარების დროულად და თანმიმდევრულად განხორციელების მიზნით აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტების, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებისა და მოხალისეების კატასტროფამდე განვრთნა.





პირველადი დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში: ტრენინგი ხმელთაშუა ზღვისპირეთში – პროექტი PROMEDHE

PROMEDHE (ხმელთაშუა ზღვისპირეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა კატასტროფების დროს) იტალიის სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის მულტიპარტნიორული ინიციატივაა, რომელიც ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალური დირექტორატის (General Directorate of the European Commission for Civil Protection and Humanitarian Aid/DG ECHO) მიერ ფინანსდება. ინიციატივის ფარგლებში ორგანიზაცია ICCROM ხმელთაშუა ზღვის რეგიონის 5 ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების, სამოქალაქო თავდაცვის და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტების შერეული ჯგუფებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად მიიწვიეს. სწავლება მიზნად ისახავდა ბუნებრივი კატასტროფების შემდგომ კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების შესაძლებლობების განვითარებასა და სტანდარტული სამოქმედო პროცედურების ჩამოყალიბებას. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა თავიანთ ქვეყნებში ჩაატარეს ეროვნული სამუშაო შეხვედრები სამოქალაქო უსაფრთხოების და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტებისა და სხვა მოხალისეებისათვის, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათი ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერებას ამ დარგში.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 163



ჩიტა-დი-კასტელო, იტალია, 2017. ფოტო: PROMEDHE და ICCROM

როგორ უნდა განვახორციელოთ მოძრავი და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზების ღონისძიებები?

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზების ღონისძიებები კონტექსტის მიხედვით განისაზღვრება და შესაბამისად, სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებულია. თუმცა ქვემოთ მოცემული პუნქტები დაგეხმარებათ სპეციფიკური ღონისძიებების განხორციელებაში განურჩევლად მემკვიდრეობის ობიექტის და საგანგებო სიტუაციის ტიპისა.

ძეგლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ღირსშესანიშნავ ადგილზე მდებარე მოძრავი და უძრავი მემკვიდრეობის სტაბილიზაციის ღონისძიების დაწყებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ ადგილზე შესვლა უსაფრთხოა. აუცილებელია პერსონალის **ინფორმირება** რისკების შესახებ და შესაბამისი პირადი დამცავი აღჭურვილობის (ინსტრუმენტების კრებულში იხ. გვ. 10) მიწოდება. ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები დაგეხმარებათ დარწმუნდეთ, რომ ძეგლზე მუშაობის დაწყება უსაფრთხოა.

- 1 აავთ უსაფრთხოების ბარიერები.** ადგილზე ზიანისა და რისკის შეფასების დამთავრების შემდგომ კორდონით გამოყავით ყველა საფრთხის შემცველი სივრცე; დაზიანებული ძეგლის ან კოლექციის გარშემო მოაწყვეთ დაცვის და უსაფრთხოების ბარიერები.



ბარიერები და ლენტები ემსახურება ადამიანების გაფრთხილებას და ძლიერ დაზიანებული კელუსის დაცვას, ფილიპინები, 2013. ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM



კონსტრუქციული ან საყრდენის გარეშე დარჩენილი ელემენტის ჩამონგრევის საფრთხის შემთხვევაში, ამ ელემენტის გარშემო მოაწყვეთ წრიული ბუფერული ზონა ისე, რომ მისი რადიუსი ელემენტის სიმაღლის ტოლი იყოს.

- 2 **შეამონმეთ კომუნალური მომსახურების სისტემების მუშაობა.** სადაც შესაძლებელია, შეამონმეთ, უსაფრთხოა თუ არა ბუნებრივი აირის, ელექტრობისა და წყლის წერტილების გამოყენება.
- 3 **დააყენეთ ნიშნები.** დააყენეთ შესაფერისი ნიშნები გამოყოფილ ადგილებთან. ნიშნები უნდა იყოს დიდი ზომის, ადვილად დასანახი და ყველასათვის გასაგები.
- 4 **უსაფრთხო მარშრუტები.** განსაზღვრეთ ძეგლზე მისასვლელი ბილიკები და მარშრუტები, მონიშნეთ ისინი ძეგლის რუკაზე და შენობის გეგმაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). განმინდეთ გზა ნანგრევებისგან, თუ ეს უსაფრთხოა, რათა შესაძლებელი გახადოთ ძეგლთან მიახლოება. ეს შეიძლება გულისხმობდეს არამდგრადი, საყრდენის გარეშე დარჩენილი არაკონსტრუქციული ელემენტების, მაგ., გადახურვის ფილების, საკვამურებისა და ხის პანელების მოხსნას, ან იატაკის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, თუკი ის ბევრ ადგილას გაუვალაია.



ისტორიული ნაგებობიდან საყრდენის გარეშე დარჩენილი ელემენტების ან ფრაგმენტების მოხსნამდე აუცილებელია მათი მდებარეობისა და ტიპის, ასევე ზიანის დონის დოკუმენტირება. გადაიღეთ ფოტოები (ერთი ახლო და ერთი შორი ხედით) და მონიშნეთ ელემენტების მდებარეობა ძეგლის/შენობის რუკაზე. თუ არ ხართ დარწმუნებული, როგორ მოხსნათ უსაფრთხოდ კონსტრუქციული ელემენტი, რჩევისათვის მიმართეთ ინჟინერ-კონსტრუქტორს.

- 5 **მოაწყვეთ დროებითი გადახურვა.** კონსტრუქციის ჩამონგრევის შემთხვევაში, მოშიშვლებული, გახსნილი სტრუქტურები და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, რომლებზე წვდომაც შეზღუდულია, შემდგომი ღონისძიებების განხორციელებამდე დროებით უნდა დაიფაროს. დროებითი საფარის მოწყობის შესახებ იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 73.
- 6 **ღიად დატოვების შემთხვევაში, დუღაბისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის შემადგენელი ორგანული მასალების მდგომარეობა შეიძლება სწრაფად გაუარესდეს.** კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაფარვა **დროებითი ზომაა**, რომელმაც არ უნდა გასტანოს რამდენიმე დღეზე მეტხანს.

7 გაიტანეთ სახიფათო ნარჩენები. ბუნებრივი კატასტროფის ან კონფლიქტის შემდგომ მემკვიდრეობის ძეგლებზე შესაძლოა იყოს ნარჩენები, როგორცაა: ასაფეთქებელი ნივთიერებები, ქიმიკატები, ბენზინი და ცეცხლგამძლე მასალები. ასეთ შემთხვევაში კონსულტაცია გაიარეთ იმ სამსახურის ექსპერტთან, რომელიც ამგვარი მასალების უსაფრთხო მოშორებაზეა პასუხისმგებელი.



როგორ ვაქციოთ დატბორილი ადგილი უსაფრთხოდ?

დატბორვის შემთხვევაში ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე უნდა მოიცავდეს წყლის მოწოდების თაობაზე კონსულტაციას წყალმომარაგების კლასიფიკაციის შესაბამის ექსპერტებთან. საჭიროა მათი რჩევა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა მაგალითად: არის თუ არა წყალი სუფთა და დასაღვეად უსაფრთხო, ნაცრისფერი ან შავი? თუ წყალი ნაცრისფერია ან შავი, ბიოლოგიური დაბინძურების შანსი მაღალია, რადგან ის შესაძლოა შეიცავდეს ქიმიკატებს. ამ შემთხვევაში, ექსპერტთან კონსულტაციის საფუძველზე მნიშვნელოვანია ძეგლის დეზინფიცირება, დაბინძურებული ისტორიული მასალების განცალკევება და მათი მოთავსება ჰერმეტიკ კონტეინერებსა და პოლიეთილენის პარკებში.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 163

8 დარწმუნდით, რომ სველი სტრუქტურები და ზედაპირები გამომშრალია

თუ შენობა, ნაგებობა, ან დეკორატიული ზედაპირი წყლის შედეგად საგრძნობლად დაზიანდა, საჭიროა მისი გამომშრობა, რათა თავიდან ავიცილოთ:

- ა. ხის ელემენტების ლპობა;
- ბ. ნაპრალები;
- გ. ობის გაჩენა;
- დ. დალაქავება;
- ე. მარილების მიგრაცია.

არ სცადოთ ძველი ნაგებობების ზედმეტად სწრაფად გაშრობა. სისველის დონის სწრაფმა ცვლილებამ შეიძლება დააზიანოს ხის თხელი ელემენტები, გაზარდოს მარილების მიგრაცია კედლებში და გამოიწვიოს ნალესობაში ბზარების გაჩენა.



სველი ნაგებობებისა და ზედაპირების გასაშრობად:

- შეამონმეთ და განმინდეთ გაჭედილი დრენაჟის მილები. დახრილ ზედაპირებს მოაშორეთ ნარჩენები, რომლებიც შეიძლება წყლის დენას აფერხებდეს.
- დაგროვილი წყლის მოსაცილებლად გამოიყენეთ სათლები და ტუმბოები.



კრიტიკული ზიანი, სავარაუდოდ, ისეთ ნაგებობებს მიადგება, რომლებშიც წყლის დინების სიჩქარე მაღალია (მაგალითად, ფერდობებზე ან ჰესთან ახლოს), ასევე, სადაც წყლის დონე შენობის შიგნით 1 მეტრს აღემატება (აღემატებოდა), ან იქ, სადაც მზიდი კედლები ალიზისგან არის ნაგები. ასეთ შემთხვევებში, დახმარება სთხოვეთ ინჟინერ-კონსტრუქტორს, რათა განსაზღვროთ კონსტრუქციული დაზიანება ან კონსტრუქციული სტაბილიზების საჭიროება წყლის ამოტუმბვამდე.

- გაიტანეთ ტალახი და ნარჩენები, რადგან ისინი აკავებენ სისველეს და ანელებენ გაშრობას. არ დაელოდოთ ტალახის ამოშრობას. ტალახი უფრო მარტივი და უსაფრთხო მოსაშორებელია, როდესაც ის სველია.
 - არ გამოიყენოთ სანმენდი საშუალებები, რომლებიც აკავებს სისველეს ან ხელს უშლის მის მოძრაობას ისტორიულ მასალებში.
 - გაიტანეთ სველი ხალიჩები და იატაკის/კედლების საფარი.
 - გადაადგილეთ ავეჯი კედლებიდან მოშორებით და ჩამოსხენით კედელზე დაკიდებული ნივთები, რათა დააჩქაროთ გაშრობის პროცესი (**კატასტროფის შემდგომი ევაკუაციის** შესახებ იხ. გვ. 82).
 - თუ შესაძლებელია, მოაშორეთ სველ ბათქაშთან არსებული მეტალის ელემენტები, რათა თავიდან აიცილოთ ლაქების გაჩენა და დაჟანგვა.
 - დარწმუნდით, რომ ღიობები, რომლებიც გჭირდებათ შენობის გაშრობისათვის, არ არის დაბლოკილი. მეტი ინფორმაციისათვის იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 92.
- 9 გამოყავით** და მოაწყვეთ სივრცეები სამუშაოდ და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების, ფრაგმენტებისა და დეკორატიული ელემენტების დროებით შესანახად.

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზების სხვა ღონისძიებები

თქვენი გუნდის დახმარებით შეაგროვეთ აუცილებელი სახარჯი მასალები და გაატარეთ უსაფრთხოებისა და სტაბილიზების სხვა ღონისძიებები. ისინი შეიძლება მოიცავდეს:

- კატასტროფის შემდგომ ევაკუაციას;
- გადარჩენის სამუშაოს;
- ისტორიული ნაგებობების გადაუდებელი სტაბილიზაციის სამუშაოს.

თითოეული ღონისძიების შესახებ დეტალურად იხილეთ მომდევნო თავები.

დაზიანებული ძეგლის გარშემო შეიძლება საჭირო გახდეს უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ერთდროულად რამდენიმე სახის ღონისძიების განხორციელება.

კატასტროფის შემდგომი ევაკუაცია

კატასტროფის შემდგომი ევაკუაცია საჭიროა, როდესაც შენობა ან ნაგებობა, რომელშიც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები მდებარეობს, საფრთხისშემცველია, თუმცა საკმარისად სტაბილურია იმისთვის, რომ ობიექტების ევაკუაცია განხორციელდეს. ევაკუაციის პროცესი მოიცავს **დოკუმენტირებას**, **შეფუთვასა** და **ტრანსპორტირებას** დროებით უსაფრთხო ადგილამდე.

კატასტროფის შემდგომი ევაკუაციის დროს შეიძლება საჭირო გახდეს მეხანძრეთა და/ან სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის დახმარება, რადგან მათ აქვთ გავლილი საფრთხისშემცველი შენობებიდან ადამიანების ევაკუაციისთვის საჭირო წვრთნა. თუმცა მათ აუცილებლად დასჭირდებათ მითითება, თუ რისი ევაკუაცია უნდა მოხდეს და საიდან, ასევე როგორ უნდა მოეპყრონ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს და სხვ.





კატასტროფის შემდგომი ევაკუაცია ჰანუმან დოკას სასახლის მუზეუმში: ნეპალი

2015 წლის მიწისძვრის შემდგომ კატმანდუში, ნეპალში, მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ზიანის გამო, ჰანუმან დოკას სასახლის ნაწილები, სადაც მუზეუმი იყო განთავსებული, საფრთხის შემცველად გამოცხადდა. მუზეუმის თანამშრომლებმა ოქროს ტახტრევისა და სხვა მნიშვნელოვანი არტეფაქტების ევაკუაციისთვის ნეპალის ჯარის დახმარება ითხოვეს. ევაკუაციის დროისთვის არ არსებობდა საინვენტარო დოკუმენტაცია, რომელშიც მითითებული იქნებოდა ყველა ობიექტის მდებარეობა.

ამის გამო, სამხედროებმა იმაზე მეტი დრო დახარჯეს მალალი ღირებულების ობიექტების ლოკალიზებისათვის, ვიდრე უსაფრთხოების ნორმები ითვალისწინებდა. ევაკუაციისას მათ გაუჭირდათ ტახტრევის კარში გატანა, რის გამოც ობიექტის დაშლა მიუხდათ.

მუზეუმის დირექტორი და დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელი პირი ადგილზე უწევდნენ დახმარებას ევაკუაციაში მონაწილე პირებს და



ნეპალელი სამხედროები მუზეუმიდან ობიექტის ევაკუაციისას.
ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM

ოფიციალურად იბარებდნენ გამოტანილ ობიექტებს. ევაკუირების შემდეგ, ოქროს ტახტრევიანი და სხვა ობიექტები რამდენიმე დღით, შედარებით უსაფრთხო ადგილის მოძებნამდე, სასახლის შიდა ეზოში შეინახეს. სამხედროები მათ 24 საათის განმავლობაში იცავდნენ.





მიღებული გამოცდილება

- კატასტროფის შემდგომ ევაკუაციას უკეთ მომზადებული რომ შეხვდეთ, მაშველებისთვის მზად უნდა გქონდეთ შენობის გეგმების რამდენიმე ასლი, რომლებშიც მკაფიოდ იქნება მითითებული ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტთა მდებარეობა და ზომები. თუმცა ობიექტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით გეგმები ყოველთვის უნდა იყოს კონფიდენციალური და მხოლოდ პირველადი რეაგირების ჯგუფებისთვის იყოს ხელმისაწვდომი;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ევაკუაცია უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ დროებით, უსაფრთხოდ შესანახად არსებობს სივრცე და მობილიზებულია ოპერაციისათვის საჭირო ლოგისტიკა.
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებისა და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტებისთვის უნდა ჩატარდეს წინასწარი ტრენინგი საგანგებო სიტუაციის დროს ობიექტების შეფუთვის, დოკუმენტირებისა და ტრანსპორტირების შესახებ.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 168



როგორ უნდა განხორციელდეს კატასტროფის შემდგომი ევაკუაცია?

ქვემოთ მოცემული კატასტროფის შემდგომი ევაკუაციის ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა აღებულია კატასტროფამდე საგანგებო ევაკუაციის სახელმძღვანელოდან – „საფრთხის ქვეშ მყოფი მემკვიდრეობის კოლექციების საგანგებო ევაკუაცია“. გაიხსენეთ, რომ ობიექტების ევაკუირების გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მოვლენის შემდგომ ზიანისა და რისკის შეფასებას ადგილზე.





ნებართვა

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ევაკუაციამდე მოიპოვეთ ნებართვები მცველებისაგან და დარწმუნდით, რომ ისინი ან სხვა თანამშრომლები ადგილზე იმყოფებიან და შეძლებენ ოპერაციის განმავლობაში რჩევის მოცემასა და ზედამხედველობას.



დოკუმენტირება. აუცილებელია ოფიციალური ნებართვის მიღება, რომლითაც დადასტურდება, რომ მცველმა X რაოდენობის კულტურული მემკვიდრეობის მაშველს მისცა X რაოდენობის ობიექტის უსაფრთხო ადგილზე გადატანის ნებართვა (მიუთითეთ ზუსტი ადგილმდებარეობა და გეოგრაფიული კოორდინატები). დოკუმენტზე უნდა იყოს მცველის ხელმოწერა. მასში ასევე მითითებული უნდა იყოს სხვა მნიშვნელოვანი დეტალები, კერძოდ: თარიღი, დრო და ადგილი.



მომზადება

1 შექმენით გუნდი, რომელიც ევაკუაციას უზრუნველყოფს. მასში უნდა გაერთიანდეს ყველა კოლექციის ევაკუაციის წარმართვაზე პასუხისმგებელი ყველა ოფიციალური პირი. აირჩიეთ გუნდის ლიდერი, ვინც შეძლებს ოპერაციის მიზნების ახსნას და შემდეგი სახის სპეციფიკური დავალებების განაწილებას, კერძოდ:

- დოკუმენტირება;
- შეფუთვა;
- ობიექტების ტრანსპორტირება;
- დროებითი საცავის მოწყობა;
- ლოგისტიკა, კერძოდ, სახარჯი მასალები, წყალი, საკვები და სხვა;
- კომუნიკაცია გუნდთან, გარეშე მოქმედ და დაინტერესებულ პირებთან.

2 ადგილზე ზიანისა და რისკის შეფასების შედეგების საფუძველზე განსაზღვრეთ და მოამზადეთ:

- უსაფრთხო ევაკუაციის მარშრუტი ობიექტების ტრანსპორტირებისთვის დაზიანებული შენობის შიგნით და მის გარეთ.
- გადასარჩევი და შესაფუთი სივრცე** ან ოთახი, რომელიც საკმარისია სულ მცირე 2 სამუშაო ადგილის მოსაწყობად, სადაც შესაძლებელი იქნება ობიექტების გადარჩევა, დოკუმენტირება და შეფუთვა.
- უსაფრთხო ადგილი** ობიექტების შესანახად – ადგილზევე ან სხვაგან.



უსაფრთხო საცავის შერჩევისას დარწმუნდით, რომ ის:

- დაიტევს ყველა გადატანილ ობიექტს;
- სუფთაა და არ არის ბიოდამაზიანებლებით დაავადებული ან ობით დაზიანებული;
- კარგად ნიავედება და არ არის ნესტიანი;
- დაცულია ქურდობისა და ვანდალიზმისგან;
- მისადგომია და არსებობს მარშრუტი, რომლის გამოყენებას შეძლებთ ობიექტების ტრანსპორტირებისას;
- საჭიროების შემთხვევაში, მასში ობიექტების დატოვება განუსაზღვრელი პერიოდით უნდა იყოს შესაძლებელი.



3 ინფორმაციისა და დოკუმენტების შეგროვება

- ა. მოიპოვეთ **პრიორიტეტული ობიექტების სია**, რომელთა ევაკუაციაც პირველ ყოვლისა უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დოკუმენტირებაზე პასუხისმგებელ ჯგუფს სთხოვეთ, გაეცნონ ადრინდელ ჩანაწერებს და მოამზადონ ობიექტების სია მათი ღირებულების, მონყვლადობის, შეფუთვისა და ტრანსპორტირების სიმარტივის მიხედვით. ამგვარი სიის არარსებობის შემთხვევაში, მცველებთან და თანამშრომლებთან კონსულტაციით შეადგინეთ პრიორიტეტული ობიექტების ჩამონათვალი (იხ. ინსტრუმენტთა კრებული გვ. 48).
- ბ. მოიპოვეთ იმ შენობის გეგმის ასლები, საიდანაც უნდა განხორციელდეს ობიექტების ევაკუაცია. **ადგილმდებარეობის კოდების** გამოყენებით გამოყავით და მონიშნეთ ობიექტების მდებარეობა სართულების გეგმებზე. კოდების არარსებობის შემთხვევაში, დოკუმენტირებაზე პასუხისმგებელმა ჯგუფმა უნდა შექმნას **ადგილმდებარეობის ახალი კოდები**, რომლებიც თანმიმდევრული და მარტივად გასაგები იქნება (ახალი კოდების შექმნის შესახებ იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 42).
- გ. შენობის გეგმაზე ადგილმდებარეობის კოდების დატანის შემდეგ ახალი კოდებით აღნიშნეთ სივრცეები და ობიექტები, თუ ამისთვის საკმარისი დრო გაქვთ. კოდები ადვილად დასანახი უნდა იყოს.

დ. ევაკუაციის მიზნით ჩაატარეთ ინვენტარიზაცია. გამოიყენეთ ძველი დოკუმენტაცია, თუ ასეთი არსებობს. თუ საინვენტარიზაციო უწყისი წინასწარ არ გაქვთ მომზადებული, შეგიძლიათ წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით მოამზადოთ:

| ნომერი | ყოფილი ნომერი | მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი | ობიექტის ტიპი | მასალა | ზომები: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე | წონა | თავდაპირველი ადგილმდებარეობის კოდი | ფოტოს ან საართულის ნომერი | ახალი მდებარეობა | ფოტო ან საართულის ნომერი |
|--------|---------------|---|--|---|---|---|---|--|------------------|--|
| | | აღმავალი ნუმერაციის პირველდანი ბოლოს გადაადგილებულ ობიექტამდე აღნიშნავს გადაადგილებული ნივთების ნომერს. | ამ ველში იწერება უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც ობიექტს საევაკუაციოდ ენიჭება. | აქ მოკლედ აღწერეთ ობიექტი. მაგ. - შეშვული ხელნაწერი, ქანდაკება, ქურჭული და სხვ. | რისგან არის დამზადებული ობიექტი. მაგ. - მინა, კერამიკა, ლითონი. | მიუთითეთ ობიექტის თავდაპირველი ადგილმდებარეობის კოდი. | ეს ველი უნდა შეიცოს ობიექტების უსაფრთხო ადგილზე გადატანის შემდეგ. | ყველა ფოტოსურათი და შენობის გეგმა უნდა იყოს დანომრილი. | | მიუთითეთ ობიექტის წონა. თუ სასწორი არ არის ხელმისაწვდომი, წონის მისათითებლად გამოიყენეთ სიმბოლოები, კერძოდ, *; თუ ობიექტის გადატანას ერთი ადამიანიც მარტოვედ შეძლებს, ჩასვით *, თუ 2 ადამიანი საჭირო **, ხოლო თუ მის გადასატანად სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა საჭირო, ჩასვით ***. |

- შეაგროვეთ კოლექციების შესაფუთად და ტრანსპორტირებისთვის საჭირო სახარჯი მასალები (მასალების სიის ნიმუშისთვის იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 67).**
- მოამზადეთ სამუშაო სივრცეები** ძველის მდებარეობის ადგილზე, უსაფრთხო ნაწილში (იდენტიფიცირებული უნდა იყოს ადგილზე ზიანისა და რისკის შეფასების ჩატარებისას), სადაც შეძლებთ ობიექტების გადარჩევას, დოკუმენტირებასა და შეფუთვას.



ამოღება



დოკუმენტირება. ობიექტების გადასარჩევ და შესაფუთ ადგილზე გატანამდე, მათი ადგილმდებარეობის კოდი მიუთითეთ გადასატანი ყუთის იარლიყზე ან ისე დაგეგმეთ, რომ ერთი პირი გაჰყვეს ტრანსპორტირების ჯგუფს და საინვენტარიზაციო უწყისში ჩაწეროს ადგილმდებარეობის კოდები.



შეფუთვა და გადაადგილება



1 გადაიტანეთ ობიექტები გადასარჩევ და შესაფუთ ადგილზე; გადარჩიეთ ისინი მასალის ტიპის მიხედვით.

ა. ყველა ობიექტს მინიჭეთ **უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი**. ეს ნომერი განსხვავდება ადგილმდებარეობის კოდისგან, რადგან იგი აღნიშნავს მოცემულ ადგილზე მდებარე ინდივიდუალურ ობიექტს. დანომრეთ ობიექტები მზარდი ციფრებით ან გამოიყენეთ ასოებისა და ნომრების კომბინაცია.



როგორ შექმნათ საიდენტიფიკაციო ნომერი

სხვა ადგილზე გადატანამდე ობიექტს მიანიჭეთ უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რათა ევაკუირებისას გააკონტროლოთ მისი გადაადგილება. დარწმუნდით, რომ დანომვრის სისტემა მარტივი და უნიფიცირებულია და იგი პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის გასაგებია; შეიძლება მხოლოდ ნომრების გამოყენება აღმავალი თანმიმდევრობით, მაგალითად, 01.02 ან ასოებისა და ნომრების (e.g. A001, A002) კომბინაცია (მეტი ინფორმაციისათვის იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 43).

- ბ. იარლიყი, რომელზეც ადგილმდებარეობის კოდი და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერია მითითებული, ობიექტის გადასატანად გამოყენებულ მეორე რიგის გადასატან მასალას, ნივთს, მაგ., მუყაოს, ლანგარს ან ინდივიდუალურ ყუთს მიამაგრეთ.
- გ. შეავსეთ **ევაკუაციის საინვენტარიზაციო უწყისი** და ჩანიშნეთ თავდაპირველი ნომერი (იგულისხმება ობიექტის ნომერი, რომელიც მიენიჭა ინსტიტუციაში შემოსვლის დროს და რომელიც ჩანიშნულია **შემოსულობათა რეესტრში**), თუ მითითებულია ობიექტზე, აგრეთვე მიუთითეთ მასალა, ზომა, წონა და სხვა ინფორმაცია.
- 2 გადაიტანეთ ობიექტები, რომელთა იარლიყები მეორე რიგის გადასატან ნივთზეა მიმაგრებული, წინასწარ მომზადებულ სამუშაო სივრცეში და შეფუთეთ ისინი (იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 49). დარწმუნდით, რომ **ევაკუაციის საინვენტარიზაციო უწყისის** ასლი შევსებულია და თან ახლავს შეფუთულ ობიექტებს.



ნეპალის ეროვნული მუზეუმი, ნეპალი, კატმანდუ, 2016. ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM

- 3 ობიექტების შეფუთვისას დარწმუნდით, რომ იარლიყი უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრითა და ადგილმდებარეობის კოდით ადგილზეა. იარლიყები შეფუთვაზეც უნდა იყოს (დამატებითი ინფორმაციისათვის ინსტრუმენტთა კრებულში იხ. მითითებები ობიექტების შეფუთვის შესახებ).



ობიექტების შეფუთვა ნებალის ეროვნულ მუზეუმში, კატმანდუ, ნეპალი, 2016:
ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM



- 4 დარწმუნდით, რომ დოკუმენტირებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის **სულ მცირე ერთი წევრი ავებს გადაადგილების** მონიტორინგის ფორმას და ასე აკონტროლებს ობიექტების განთავსებას სხვადასხვა ყუთში. ამგვარი ფორმით უნდა დადასტურდეს, რომ ყველა ობიექტი გადავიდა დროებით საცავში. მოამზადეთ გადაადგილების მონიტორინგის ფორმის რამდენიმე ასლი.

გადაადგილების მონიტორინგის ფორმა

| ნომერი | ყუთის ნომერი | ნივთების საერთო რაოდენობა ყუთში | მოპყრობის/ტრანსპორტირების ინსტრუქციები | გადამტანი | გატანის თარიღი | კურიერის/სატრანსპორტო საშუალების ნომერი | მიღების თარიღი | ყუთის ნომერი | ყუთში ნივთების საერთო რაოდენობა | მიმღები |
|--------|--------------|---------------------------------|--|------------------------|----------------|---|----------------|--------------|---------------------------------|--------------------|
| 1 | 12 | 20 | შინა: მუყეფაირთ ფრთხილად | კურატორი, აბდულ ჰამიდი | 25 იანვარი | xxx 256 | 25 იანვარი | 12 | 20 | xxx ხაყუბის მგველი |
| - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |

- 5 შეფუთული ობიექტები მზადაა ახალ ადგილზე ტრანსპორტირებისთვის. შეფუთვაში უნდა იყოს საევაკუაციო საინვენტარიზაციო უწყისის ასლები და გადაადგილების მინიტორინგის ფორმა.



გადატანა

გუნდის წევრების ნაწილის მიერ ობიექტების ადგენაზე, დოკუმენტირებასა და შეფუთვაზე მუშაობის პარალელურად, სხვა წევრები შეიძლება დროებითი საცავის მომზადებით დაკავდნენ.

- 1 დაიწყეთ ფიქრი ობიექტების ახალ სივრცეში განლაგების საუკეთესო ვარიანტებზე.
- 2 მიანიჭეთ ობიექტებს გადატანის კოდები: საჭიროების მიხედვით გადაადგილეთ არსებული ავეჯი და მიანიჭეთ ადგილმდებარეობის კოდები კარადებს და თაროებს, რათა შეძლოთ ობიექტების ახალი მდებარეობის აღრიცხვა. ეს აუცილებლად ობიექტების ახალ სივრცეში გადატანამდე უნდა მოხდეს (დამატებით იხ. ინფორმაცია დროებით საცავში გადატანის კოდების მომზადების შესახებ, ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 41).



დროებითი საცავი ცენტრალურ იტალიაში, 2017. ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM

- 3 თუ საგანგებო ევაკუაციის დროს შესაძლებელია ავეჯის მოპოვება (მაგ., თაროები) ვერ ხერხდება, ობიექტები არსებული შეფუთვით უნდა დააწყოთ იატაკზე. გამოიყენეთ ქვესადგამები ან/და წყალგაუმტარი ბრეზენტი, რათა კონტეინერი უშუალოდ არ ეხებოდეს იატაკს. თუ იყენებთ ქვესადგამებს, დარწმუნდით, რომ ადგილი არ აქვს მავნებლებით დაავადებასა და ობით დაზიანებას.

- 4 ახალ, დროებით საცავში ოფიციალურად ჩაიბარეთ ობიექტები, რისთვისაც გამოიყენეთ გადაადგილების მონიტორინგის ფორმა. შემდეგ შეამოწმეთ საგანგებო ევაკუაციის საინვენტარიზაციო უწყისი და გამოყავით ობიექტები მასალის ტიპისა და ზომის მიხედვით.

დააწყვეთ შეფუთული ობიექტები თაროებზე ან სუფთა ქვესადგამებსა თუ სხვა არსებულ ავეჯზე. ეცადეთ, არ მოათავსოთ მარტივად დასაზიანებელი ობიექტები იატაკზე და ადგილი მიუჩინოთ ოთახის სიღრმეში, რთულად მისაწვდომ ადგილას. დიდი ან მძიმე ობიექტები უნდა მოთავსდეს ერთად, ოთახის ბოლოს, რათა გათავისუფლდეს ადგილი მცირე ზომის ობიექტების შესატანად.

- 5 ახალ საცავში ყველა ობიექტის ფიზიკური მდებარეობის დოკუმენტაციისათვის მისი ყუთისა და თაროს ნომერი შეიტანეთ ინვენტარიზაციის „ახალი ადგილმდებარეობის“ გრაფაში.

- 6 მიიღეთ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რათა ახალი დროებითი საცავი დაცული იყოს ქურდობისა და ვანდალიზმისგან. საჭიროების შემთხვევაში, დაიქირავეთ მცველები.



ტერიტორიაზე, სადაც კონფლიქტი აქტიურ ფაზაშია, მნიშვნელოვანია სიტუაციის მუდმივი მონიტორინგი, რათა გქონდეთ საკმარისი დრო ობიექტების გადასატანად.



ანგარიში

მცველებს მიაწოდეთ განახლებული საინვენტარიზაციო დოკუმენტაცია, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს ობიექტთა ახალი მდებარეობა. ასევე წარადგინეთ ანგარიში, რომელშიც მოკლედ იქნება აღწერილი ევაკუაციის პროცესის ყველა ეტაპი. ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს: ძირითადი საევაკუაციო ღონისძიებების ამსახველი ფოტოები, ობიექტების შესაფუთად გამოყენებული მასალისა და განუული ხარჯების შესახებ დეტალური მონაცემები, ასევე ევაკუაციის პროცესში ჩართული გუნდის წევრების საკონტაქტო ინფორმაცია. მას ხელს უნდა აწერდეს გუნდის ლიდერი, რომელიც ოპერაციას ხელმძღვანელობს.



მონიტორინგი

შეიმუშავეთ ახალი სივრცის დალაგებისა და მონიტორინგის სტანდარტული პროცედურა, რათა დაიცვათ ობიექტები მავნებლებისგან, ხანძრისგან, წყლისგან და აგენტებისგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ დაზიანება.



გადარჩენა

კატასტროფის შემდგომი ევაკუაციის დასრულების შემდეგ საჭიროა დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სტაბილიზება. გადარჩენა გულისხმობს საფრთხის შემცველი მოვლენის მიერ დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების, მშენებლობის ფრაგმენტებისა და დეკორატიული ელემენტების სისტემატურ აღდგენას.

მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა მოიცავს ევაკუაციას, რომლის ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობაც კატასტროფის შემდგომი ევაკუაციის მსგავსია, თუმცა პროფესიულ ჩარევამდე შემდგომი დაზიანების შესაჩერებლად ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის მასალის გადარჩევასა და სტაბილიზების დამატებით ღონისძიებებს. ისტორიული ნაგებობის სრული ან ნაწილობრივი ჩამონგრევის შემთხვევაში, ასევე გათვალისწინებულია ნაშალის გადარჩევა თავდაპირველი ქვის, აგურისა და ხის ელემენტების შენარჩუნებისა და მომავალში მათი რეკონსტრუქციისათვის გამოყენების მიზნით.

საგანგებო სიტუაციის ტიპის გათვალისწინებით, შეიძლება აუცილებელი გახდეს ევაკუაციისა და გადარჩენის ერთდროულად განხორციელება, ან დაზიანების არარსებობის შემთხვევაში, დეკონტამინირების მიზნით კატასტროფის შემდგომი ევაკუაცია.



პორტ-ო-პრენსი, ჰაიტი, 2010, ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM



დატბორილი ისტორიული არქივის გადარჩენა: ჩილე

2016 წლის ივნისში არასებონურ მძიმე წვიმას სანტიაგოდან 250 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქ ტალკას არაერთ ნაწილში წყალდიდობა მოჰყვა. დრენაჟის გაუმართაობის გამო დაიტბორა ტალკას უნივერსიტეტის შენობის სარდაფში მდებარე დოკუმენტების ცენტრი, სადაც მნიშვნელოვანი კოლექციები, ძველი ხელნაწერები და ორიგინალური მუსიკალური პარტიტურები ინახებოდა. წვიმის გადაღებამდე წყლის დონემ 50 სანტიმეტრს მიაღწია. ყველა წიგნი და ხელნაწერი, რომელიც ქვედა თაროებზე ინახებოდა და იატაკზე ყუთებში იყო მოთავსებული, დასველდა. სულ დაზიანდა 5000 წიგნი და ხელნაწერი.

ვენტილატორებისა და ტენის ამლები მოწყობილობის დამონტაჟებამდე სარდაფიდან წყალი ამოტუმბეს და იატაკები გააშრეს. ობიექტების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით გაშრობამდე მათი გაყინვა გადაწყდა. ობიექტები დაახარისხეს სისველის ხარისხის მიხედვით და გააშრობად ან გასაყინად დაალაგეს.

ხილის გადამზიდავი კომპანიისაგან ითხოვეს მაცივარი ავტომობილები და საყინულეები. სველი წიგნები ფრთხილად მოათავსეს განცალკევებით, ინდივიდუალურ პოლიეთილენის პარკებში და ყუთებში გადაიტანეს გასაყინად. წიგნები სატვირთოებით გადაიტანეს საყინულე მოწყობილობამდე, სადაც ისინი 10 თვის განმავლობაში -24 გრადუს ტემპერატურაზე ინახებოდა.

გაყინული წიგნები, ნაწილ-ნაწილ გამოიღეს საყინულიდან და ფრთხილად გახსნეს. საბოლოოდ ყველა წიგნი და ხელნაწერი გაიხსნა და გაშრა. კატასტროფის დაგეგმვისა და სწრაფი რეაგირების დახმარებით ყველა ობიექტის აღდგენა წარმატებით მოხერხდა.

წყარო: მარია სესილია როდრიგეს მორენო, მთავარი კურატორი, ქალაქისა და წიგნების ლაბორატორია, კონსერვაციისა და აღდგენის ეროვნული ცენტრი, ბიბლიოთეკების, არქივებისა და მუზეუმების დირექცია, ჩილე.


იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 168

სველი წიგნების გვერდებს შორის საშრობი ქაღალდის მოთავსების პროცესი, ეროვნული საკონსერვაციო-სარესტავრაციო ცენტრი, ჩილე, 2016. ფოტო: მარიელა არივადა



როგორ უნდა განახორციელოთ გადარჩენა?

გადარჩენის ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა





ნებართვა

გადარჩენის ოპერაციების ჩასატარებლად და გადარჩენილი ობიექტების უსაფრთხო სივრცეში გადასატანად – ადგილზე ან მის გარეთ – გაიარეთ კონსულტაცია დაინტერესებულ პირებთან და მოიპოვეთ ნებართვა (სასურველია წერილობითი ფორმით)



მომზადება

- 1 გუნდის ინფორმირება:** შექმენით გუნდი, რომელიც ჩართული იქნება გადარჩენის ოპერაციაში და
 - დარწმუნდით, რომ ყველა წევრისათვის გასაგებია, ძეგლის რომელ ნაწილში არ შეიძლება შესვლა;
 - განუმარტეთ გუნდის წევრებს გადარჩენის ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა;
 - აირჩიეთ გუნდის ლიდერი, ვინც ზედამხედველობას გაუწევს გადარჩენის ოპერაციას.

დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად და მათი ცოდნისა და ინტერესის სფეროს მიხედვით გაუნაწილეთ სამუშაო დავალებები, კერძოდ: **დოკუმენტირება, ამოღება, გადარჩევა, სტაბილიზება, შეფუთვა, ტრანსპორტირება, ლოგისტიკა და კომუნიკაცია.** თუ არ გყავთ საკმარისი რაოდენობის სპეციალისტები, მოამზადეთ მოხალისეები და მიეცით მათ დავალებები, რომლებიც არ მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას.

- 2 შეაგროვეთ სახარჯი მასალები** გადასარჩენი ობიექტის ტიპის, ზიანისა და საფრთხის შემცველი მოვლენის ხასიათის მიხედვით. მაგალითად, თუ ობიექტები ორგანული მასალისგანაა დამზადებული და სველია, გასაშრობად დაგჭირდებათ პოლიესტერის ბადე. სახარჯი მასალების მომზადებისას გაითვალისწინეთ ზიანისა და რისკის ადგილზე შეფასების შედეგები (ზოგადი ჩამონათვალისთვის იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 70).
- 3 მოამზადეთ სივრცე:** მოამზადეთ სივრცე სტაბილიზებისათვის საჭირო სამუშაოებისთვის და დარწმუნდით, რომ დაზიანებული ობიექტების დასამუშავებლად საკმარისი ადგილია. თითოეულ სამუშაო პუნქტში ერთი სახეობის სამუშაო უნდა ჩატარდეს. მაგალითად, ერთსა და იმავე პუნქტში ნუ ჩატარებთ სველი მეთოდით და მშრალი მეთოდით წმენდას, რადგან ამან შეიძლება სველი ობიექტების დამატებით დაბინძურება ან მშრალი ობიექტების დასველება გამოიწვიოს და ამგვარად კიდევ უფრო დააზიანოს ობიექტები.





4 დოკუმენტირება: შეიმუშავეთ დოკუმენტირებისა და ობიექტების თვალყურის დევნების სისტემა, რომელიც უნდა მოიცავდეს სამ ძირითად კომპონენტს, ესენია:

- ა. იმ ადგილის აღრიცხვის** სისტემა, საიდანაც ობიექტები უნდა იყოს ამოღებული. თუ ხელი მიგინვდებათ შენობის სართულების გეგმასთან, გამოიყენეთ ის სივრცეების იდენტიფიცირებისთვის და ისარგებლეთ გეგმაზე მოცემული დანომვრის სისტემით. თუ ეს უკანასკნელი გაუგებარი ან არათანმიმდევრულია, შექმენით ადგილმდებარეობის ახალი კოდები (ადგილმდებარეობის კოდების შედგენის შესახებ იხილეთ ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 42).
- ბ.** თუ შენობა ან ნაგებობა მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოინგრა და ობიექტები ნაშალის ფენის ქვეშ მოიყოლა, ობიექტების ადგილმდებარეობის დასადგენად შექმენით ბადე. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ზომის. თუ ნაშალი ერთ ძეგლში რამდენიმე ადგილზეა, შეადგინეთ საჭირო რაოდენობის ბადე და მის თითოეულ უჯრედს უნიკალური ნომერი მიანიჭეთ. შემდეგ მოიძიეთ ისინი ძეგლის რუკაზე, სადაც მითითებულია ჩრდილოეთი. მოცულობითი არქეოლოგიური ძეგლის შემთხვევაში გადარჩენის ოპერაციები რამდენიმე ადგილას ტარდება. ასეთ დროს ბადე შეიძლება დაიტანოს რუკაზე, რომელიც **გეოსაინფორმაციო სისტემების (GIS) ინსტრუმენტთან** იქნება დაკავშირებული (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 11).
- გ. ამოღებული ობიექტების დანომვრის სისტემა** (იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 43). ობიექტების მიუკერძოებლად დათვლისა და თვალყურის დევნების მიზნით შექმნილი სისტემაა, რომლის გამოყენებითაც თითოეულ ობიექტსა და მის ნაწილებს უნიკალურ საიდენტიფიკაციო ნომერს მიანიჭებთ.
- დ. ობიექტების გადარჩენის სააღრიცხვო ფორმა.** ეს ფორმა გამოიყენება გადარჩენილი ობიექტების რაოდენობის აღსანიშნად და გადარჩენის ოპერაციის შესრულებისას მათი გადაადგილების მონიტორინგის მიზნით. მასში ასევე მოცემულია ობიექტთან დაკავშირებული დამხმარე მონაცემები, კერძოდ: ობიექტის ფოტოსურათის, სანყისი ინვენტარიზაციის დროს მინიჭებული და შენობის გეგმის ნომრები. ფორმაში შეიძლება გამოიყოს სამი ნაწილი, რომელთაგან თითოეული შეიცავს ოპერაციის სხვადასხვა ეტაპზე, კერძოდ: 1) ამოღებისას 2) გადარჩევისა და სტაბილიზებისას 3) შეფუთვისა და გადატანისას (მაგალითებისთვის იხილეთ შემდეგი გვერდი).

1 ამოღება

| ნომერი | საწყისი ადგილმდებარეობა | მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი | ადრინდელი ნომრები |
|--------|-------------------------|-----------------------------------|-------------------|
| | | | |

აღმავალი თანმიმდევრობით (პირველიდან ბოლოსკენ) დანომრეთ გადაადგილებული ობიექტები. აქ მოცემულია გადარჩენილი ობიექტების რაოდენობა.

ობიექტისთვის მინიჭებული უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი.

2ა გადარჩევა და სტაბილიზება

| მფლობელი/ორგანიზაცია | საწყისი ადგილმდებარეობის კოდი | ობიექტის ტიპი | მასალა | ზომები: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე |
|----------------------|-------------------------------|---------------|--------|---------------------------------|
| | | | | |

ამ ველში მოცემული უნდა იყოს გადარჩენილი ობიექტის საწყისი ადგილმდებარეობის კოდი. იგი შეიძლება მიუთითებდეს ბადის ნომერზე ან იყოს თაროს, ოთახის და სართლის ნომრების კომბინაცია – შერჩეული სისტემის შესაბამისად.

ობიექტის მოკლე აღწერა.

მითითებული უნდა იყოს მასალა, რომლისგანაც ობიექტია დამზადებული, მაგ., მინა, კერამიკა, მეტალი, ტექსტილი და სხვ.



2ბ გადარჩევა და სტაბილიზება

| წონა | ფოტოსურათის ან ნახაზის ნომერი | ზიანის ტიპი | ჰქონდა თუ არა ჩატარებული კონსერვაცია (უნდა შეივსოს სტაბილიზების დროს) | სტაბილიზებისთვის საჭირო სამუშაოები ჩაატარა |
|------|-------------------------------|-------------|---|--|
| | | | | |

თუ თითოეული ობიექტის ცალკე ფოტოს გადასაღებად დრო არასაკმარისია, გადაიღეთ ობიექტების ჯგუფური ფოტოები. ფოტოებზე უნდა ჩანდეს ობიექტების საიდენტიფიკაციო ნომრები. ეს ველი შეიძლება შეივსოს გადარჩევის ეტაპზე ან დროებით საცავში ხელთ არსებული დროის მიხედვით.

ობიექტის ფიზიკური მდგომარეობა, ზიანის ტიპი და დონე.

ამ ველში მითითებულია ობიექტზე ჩატარებული სტაბილიზებისათვის საჭირო სამუშაოები, მაგალითად, სველი და მიწაში ჩაფლული ობიექტი დროებით საცავში გადატანამდე წყალში უნდა გავლეთ. ამგვარი სამუშაო კონსერვაციის სპეციალისტმა ან განვრთნილმა კულტურული მემკვიდრეობის მასშველმა უნდა ჩაატაროს.

მიუთითეთ ობიექტის წონა. თუ არ გაქვთ სასწორი, გამოიყენეთ სიმბოლოები, როგორცაა +, მაგალითად, თუ ობიექტის გადატანას მარტივად შეძლებს ერთი ადამიანი, გამოიყენეთ +, თუ 2 ადამიანია საჭირო, დასვით ++, ხოლო თუ გადასატანად სპეციალური აღჭურვილობა ან ტექნიკაა საჭირო, მიუთითეთ +++.

3 შეფუთვა და გადატანა

| გადამტანი | თარიღი | გადატანის კოდი |
|-----------|--------|----------------|
| | | |

ამ ველში მითითებული უნდა იყოს გადატანის კოდი, რომელიც ობიექტს ახალ, დროებით საცავში გადატანისას ენიჭება. ეს ველი ყველა ობიექტის გადატანის შემდეგ უნდა შეივსოს.



ამოღება

კონსტრუქციული ნაწილების ჩამოშლის შემთხვევაში, ისტორიული შენობის ფრაგმენტები და ობიექტები შეიძლება ბეტონის მძიმე ფენის ან ნაშალის ქვეშ ჩაიმარხოვს. ასეთ შემთხვევაში, ობიექტების ამოღებასთან დაკავშირებით რჩევის მისაღებად მიმართეთ საგანგებო რეაგირების კოორდინატორს ან ინციდენტის მეთაურს. შეიძლება დაგჭირდეთ მძიმე მანქანები (მაგ., ექსკავატორი). სთხოვეთ რჩევა მანქანის ოპერატორს და ინჟინერ-კონსტრუქტორს, რათა დარწმუნდეთ თქვენი ქმედებების უსაფრთხოობაში.



ობიექტების ფრთხილად და სისტემატურად ამოღება მოითხოვს გარკვეულ უნარებსა და მოთმინებას; ყოველთვის იმუშავეთ ნყვილებად, რათა ამოღების პროცესში თავიდან აიცილოთ პირადი ტრავმისა და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების საშიშროება.

ნაგებობის ნაწილიდან ან ბადიდან ობიექტების ამოსაღებად:

- თავდაპირველად აიღეთ მცირე, მშრალი და დაუზიანებელი ობიექტები;
- მყიფე და დაზიანებული ობიექტების ამოსაღებად და ტრანსპორტირებისათვის მზად გქონდეთ დამცავი საშუალებები (მაგ.: მძიმე მუყაო ან ხის დაფები);
- დარწმუნდით, რომ მძიმე და დიდი ზომის ობიექტების ამოღებისას ადგილზეა, სულ მცირე, 2 ადამიანი და ობიექტის დასაღებად გაქვთ შესაბამისი საშუალებები;
- თუ ობიექტი გატეხილია, ყველა ნატეხი შეაგროვეთ და შეინახეთ ერთად. მოათავსეთ ობიექტი და გატეხილი ნაწილები ერთ კონტეინერში, გამჭვირვალე პოლიეთილენის პარკში;
- ობიექტები შეინახეთ მათ შესაწავ ნივთებთან (მაგ., ჩარჩოები, ბუდეები და ყუთები) ერთად;
- თქვენ მიერ შემუშავებული დოკუმენტაციის ფორმის შესაბამისად, მიუთითეთ ობიექტის საწყისი ადგილმდებარეობის ნომერი, მიანიჭეთ მას ახალი ნომერი და დაწერეთ ამოღებულ ობიექტთა რაოდენობა.



არ ამოიღოთ ფრაგმენტები ბადის რამდენიმე უჯრედიდან ერთდროულად, რათა ადგილმდებარეობის აღრიცხვისას თავიდან იქნას აცილებული შეცდომები.



ობიექტების ამოღება გადარჩენის ოპერაციის დროს, პორტ-ა-პრენსი, პაიტი, 2010, ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM



ისტორიული სტრუქტურული ფრაგმენტებისა და ელემენტების ამოღება

ისტორიული ნაგებობების ფრაგმენტების, ზედაპირებისა და ადგილზე (in-situ) არსებული ხელოვნების ნიმუშების ამოღებას შეიძლება დიდი დრო და ფრთხილი მიდგომა დასჭირდეს. თქვენი სამუშაო სივრცისა და მეთოდოლოგიის მოსამზადებლად გამოიყენეთ **ზიანისა და რისკის შეფასება ადგილზე** (იხ. გვ. 65).

ისტორიული მასალების ამოღებამდე გაითვალისწინეთ შემდეგი გარემოებები:

- ნაშალისა და მასალის ფრაგმენტების ტიპები, რომლებიც შეიძლება დაგხვდეთ ადგილზე;
- თავდაპირველი სამშენებლო მასალის და დეკორატიული ელემენტებისა და ადგილზე (in-situ) არსებული ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელობა;
- თავდაპირველი ნაგებობის ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რომელი სახის სამშენებლო მასალა არ არის არსებითად მნიშვნელოვანი ან არ არის ავთენტიკური? რომელი ნაწარმების ხელახლა გამოყენება, ჩანაცვლება ან გადაყრაა შესაძლებელი?
- **სტაბილიზებისათვის** საჭირო რა სახის ქმედებები არის საჭირო ფრაგმენტების საცავში შენახვამდე?





იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ისტორიული ფრაგმენტების ამოღება, ამოღებამდე აუცილებლად აღრიცხეთ მათი თავდაპირველი მდებარეობა. დოკუმენტაცია გვხმარება კონსტრუქციული ელემენტების ან ადგილზე არსებული მემკვიდრეობის ძეგლების თავდაპირველი მდებარეობის გარკვევაში, რაც აუცილებელია რესტავრაციის დროს მათი ადგილზე დაბრუნებისა და რეინტეგრირებისთვის. ის ასევე აგარიდებთ ამოღების პროცესში ფრაგმენტების დაკარგვის ან მოპარვის საფრთხეს. შექმენით ადგილმდებარეობის კოდი იმ ბადის მიხედვით, საიდანაც ამოიღეთ ფრაგმენტები; თუ შესაძლებელია, წარმოადგინეთ ვიზუალური დოკუმენტაციაც.

ფრაგმენტების ამოღების შემდეგ შეგიძლიათ მიჰყვეთ მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გადარჩენის ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობას.



გადარჩევა

პრიორიტეტების გამოყოფას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გადარჩენის ფართომასშტაბიანი ოპერაციების ჩატარებისას, რადგან ასეთ შემთხვევებში უმოკლეს დროში ათასობით ობიექტების ამოღება და კატეგორიებად დაყოფა ხდება საჭირო მათი შემდგომი დამუშავების მიზნით. ყველაზე ეფექტურად ამ სამუშაოს შესრულება გადარჩევის სისტემის შემუშავებით შეიძლება.

კულტურული მემკვიდრეობის მასალების გადარჩევა გულისხმობს გადარჩენილი ობიექტების სტაბილიზების ღონისძიებების დახარისხებასა და პრიორიტეტების მიხედვით განაწილებას შემდეგ სამ კრიტერიუმზე დაყრდნობით:

- კულტურული მემკვიდრეობის **დაზიანების დონე**;
- ადგილზე დატოვების შემთხვევაში **შესაძლო ზიანის რისკი**;
- ობიექტის ან ნაგებობის **ღირებულება და მნიშვნელობა**.

ობიექტების ღირებულების დადგენა რთულია. საგანგებო სიტუაციისას უმჯობესია ღირებულების შეფასება **სიტუაციის ანალიზისა** იხ. გვ. 32 და **ადგილზე ზიანის და რისკის შეფასების** იხ. გვ. 42) დროს ჩატარდეს. იგი უნდა ეყრდნობოდეს ადრინდელ ინსტიტუციურ მონაცემებს, როგორცაა საინვენტარო კატალოგები ან **შემოსულობათა რეესტრი** (იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 55), სადაც განმარტებულია, როგორ უნდა გადაარჩიოთ ობიექტები, თუ მათი ღირებულება უცნობია.

კულტურული მემკვიდრეობის მასალების გადარჩევის ეტაპები:

- 1 ერთმანეთისგან განაცალკევეთ დაზიანებული და დაუზიანებელი ობიექტები.** ასევე საჭიროა მშრალი და სველი ობიექტების განცალკევება. ობიანი ობიექტები ცალკე შეინახეთ პოლიეთილენის პარკებსა და კონტეინერებში. დარწმუნდით, რომ ობიექტების გადარჩევისას თითოეულ მათგანზე მიმაგრებულია საწყისი ადგილმდებარეობის კოდი.



გადარჩენილი ობიექტების დალაგება, კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება კრიზისის დროს – კურსის ფარგლებში შესრულებული სავარჯიშოს ნაწილი, ვაშინგტონი, 2016, ფოტო: ICCROM და სმითსონის ინსტიტუტი

- 2 დაავჯუფეთ ობიექტები მათი ფიზიკური მდგომარეობის, მასალისა და საჭირო დამუშავების ტიპის მიხედვით.** მაგალითად, ქალაქისგან ან ტექსტილისაგან დამზადებული ობიექტები, რომლებიც მშრალია, მაგრამ განმენდას საჭიროებს, ერთად უნდა შეინახოთ. ასევე ერთად უნდა ინახებოდეს მსხვრევადი კერამიკისა და მინის დაუზიანებელი ობიექტები.

- 3 მიანიჭეთ უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი** თითოეულ ობიექტს. გადარჩევის დასრულების შემდეგ მოათავსეთ იარლიყი უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრით და ადგილმდებარეობის კოდით ობიექტის გადასაზიდ, გადასატან ნივთზე.



გადარჩენილი სურათი იარლიყით, რომელზეც მითითებულია საიდენტიფიკაციო ნომერი და თავდაპირველი მდებარეობა, იტალია, 2017 ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM



- 4 დოკუმენტირება.** შეავსეთ **ობიექტის გადარჩენის სააღრიცხვო ფორმის** შესაბამისი ნაწილები (იხ. გვ. 94) შემდეგი სახის მონაცემებით: იდენტიფიცირება, თავდაპირველი მდებარეობა, ზომები და მდგომარეობა (იხ. გვ. 97).





თუ სტაბილიზების სამუშაო კულტურული მემკვიდრეობის მასალების ადგილიდან გადატანას მოითხოვს, ფორმის შესავსებად კი ცოტა დრო გაქვთ, დარწმუნდით, რომ:

- ყველა ობიექტს მინიჭებული აქვს **უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი** (იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 42).
- ყველა ობიექტს, შესაფუთ საშუალებასა და კონტეინერს აქვს იარლიყი, რომელზეც მითითებულია მინიჭებული ნომერი.
- მინიჭებული უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი (იხ. კრებული, გვ. 42), თავდაპირველი მდებარეობა, მასალის ტიპი და წონა ჩანიშნულია **ობიექტის გადარჩენის სააღრიცხვო ფორმაში** (იხ. გვ. 94).

თუ ამოღებული ობიექტი არ არის დაზიანებული, შეავსეთ ფორმა, შეფუთეთ და **გადაიტანეთ** სპეციალურად მომზადებულ დროებით საცავში (იხ. გვ. 105).



სტაბილიზება

გადარჩევის შემდეგ აუცილებელია დაზიანებული ობიექტების სტაბილიზება, რაც შეიძლება განხორციელდეს ადგილზე ან სხვაგან, წინასწარ მომზადებულ სუფთა სივრცეში. სტაბილიზებისათვის საჭირო სამუშაოები ამოღებული მასალების შემდგომი დაზიანების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.



სამუშაო ადგილი ობიექტის სტაბილიზებისთვის და მშრალი ზედაპირების გასაწმენდად, პორტ-ლ-პრენსი, ჰაიტი, 2010. ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM

სტაბილიზების სამუშაო მოიცავს შემდეგ ორ საფეხურს:

- 1 ზედაპირის განმენდა.** საფრთხის შემცველი მოვლენის შედეგად შეიძლება დარჩეს მტვერი, ქვარტლი, ქუჩყი და **დამაბინძურებლები**, რომლებმაც ობიექტის ზედაპირზე მოხვედრისას შეიძლება მისი შემდგომი დაზიანება გამოიწვიოს. თუ ობიექტი სველია და მასზე დამაბინძურებლები აღმოჩნდება, იგი სუფთა წყლით უნდა გაირეცხოს.

ზედაპირის განმენდის ტიპი დამოკიდებულია საფრთხის ხასიათზე, ზიანის დონესა და მასალაზე/მასალებზე, რომლისგანაც დამზადებულია ობიექტი. დაადგინეთ ობიექტის შემადგენლობა და განსაზღვრეთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს სტაბილიზებისათვის საჭირო ქმედებებმა მის სტრუქტურულ მთლიანობაზე, იფიქრეთ კრიტიკულად და შეარჩიეთ სტაბილიზების ყველაზე მისაღები გზა.

- 2 დოკუმენტირება.** შეინარჩუნეთ ადგილმდებარეობის კოდი და სტაბილიზების დროს მინიჭებული უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. სტაბილიზებისათვის საჭირო სამუშაოების დასრულების შემდეგ შეავსეთ **ობიექტის გადარჩენის სააღრიცხვო ფორმის** (იხ. გვ. 94) შესაბამისი ველები.

მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სტაბილიზების ყველაზე გავრცელებული ღონისძიებების დეტალური მითითებები იხ. ინსტრუმენტთა კრებულში (გვ. 56); ქვეთავის სახელწოდება: დაზიანებული მოძრავი მემკვიდრეობის ძეგლების სტაბილიზება.



შეფუთვა და გადაადგილება

ამოღების, გადარჩევის, სტაბილიზებისა და დოკუმენტირების (ადგილზე ჩატარების შემთხვევაში) შემდეგ ობიექტები უნდა მომზადდეს გადატანისა და შენახვისთვის.

- 1 შეფუთვა.** დამატებითი ზიანის თავიდან ასაცილებლად და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მშრალი ობიექტები შენახვამდე უნდა დაიფაროს დამცავი ფენით (ბამბის ზენრით ან ღრუბლით). სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შეფუთვისათან დაკავშირებით იხ. ინსტრუმენტთა კრებული (გვ. 49).





თუ ობიექტების სტაბილიზება ადგილზე შეუძლებელია, შეფუთეთ ისინი უსაფრთხოდ იმ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის, სადაც სტაბილიზების სამუშაო უნდა ჩატარდეს. ობიექტებს გადაუღეთ ფოტოები და მიამაგრეთ იარაღიები უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდების მითითებით. ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს შეფუთვამდე, რათა სტაბილიზების ადგილას ადვილად მოხერხდეს ყველა ობიექტის ამოცნობა.

დარწმუნდით, რომ სველი ან ნოტიო ობიექტები სათუთად არის შეფუთული, რათა ტრანსპორტირების დროს თავიდან აიცილოთ სხვა ობიექტების დაზიანება და სწრაფი გაშრობა. შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ მაცივარ-საბარგოები, რათა გადაადგილოთ, გაყინოთ სველი ობიექტები ან მათი ლიოფილიზაცია მოახდინოთ.

2 იარაღიების მიმაგრება და ობიექტის გადარჩენის სააღრიცხვო ფორმის შევსება.

- ა. შეფუთულ ობიექტებს მიამაგრეთ იარაღიები, რომლებზეც მითითებული იქნება წინა ეტაპზე მინიჭებული უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრები. იარაღი ადვილად შესამჩნევი უნდა იყოს და კარგად უნდა იყოს მიმაგრებული. თუ ყუთში ერთზე მეტი ობიექტია მოთავსებული, საჭიროა ობიექტების რაოდენობისა და თითოეული მათგანის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითება.
- ბ. შეავსეთ **ობიექტის გადარჩენის სააღრიცხვო ფორმა** (იხ. გვ. 94) და გადაადგილების მონიტორინგის ფორმა (იხილეთ მაგალითი ქვემოთ).

გადაადგილების მონიტორინგის ფორმა

| ნომერი | ყუთის ნომერი | ნივთების საერთო რაოდენობა ყუთში | მოპყრობის/ტრანსპორტირების ინსტრუქციები | გადამტანი | გატანის თარიღი | კურიერის/სატრანსპორტო საშუალების ნომერი | მიღების თარიღი | ყუთის ნომერი | ყუთში ნივთების საერთო რაოდენობა | მიმღები |
|--------|--------------|---------------------------------|--|------------------------|----------------|---|----------------|--------------|---------------------------------|--------------------|
| 1 | 12 | 20 | მინა: შეუქმარი ფრთხილად | კურატორი, აბდულ მაშიდი | 25 იანვარი | xxx 256 | 25 იანვარი | 12 | 20 | xxx საცავის მკველი |
| - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |

- 3 ყუთებში ჩანყობისას ობიექტების მდებარეობას სადოკუმენტაციო გუნდის ერთი წევრი მაინც უნდა ადევნებდეს თვალყურს. თითოეული ფორმის, სულ მცირე, ერთი ასლი ობიექტთან ერთად უნდა იქნას გადატანილი საცავამდე.
- 4 ობიექტების ყუთებში მოთავსებისას მძიმე ნივთები დააწყვეთ ყუთის ძირში, მსხვრევადი ნივთები კი მათ ზემოთ მოათავსეთ. ყუთები არ უნდა იყოს გადავსებული. ყველა ობიექტის შეფუთვის შემდეგ შეგვიძლებათ მათი ტრანსპორტირება დროებით საცავში.



გადატანა

კატასტროფის შემდგომი ევაკუაციის ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობის მსგავსად, ეს ეტაპი მოიცავს ობიექტების გადაადგილებას უსაფრთხო, დროებით საცავში – ძეგლის ტერიტორიაზე ან მის გარეთ. მაშინ, როდესაც გუნდის წევრების ნაწილი ობიექტების გადარჩენაზე მუშაობს, სხვები შეიძლება დროებითი საცავის მოწყობით დაკავდნენ. ობიექტებს გადატანამდე საჭიროა საცავის დასუფთავება და დეზინფიცირება. ახალ შესანახ სივრცეში ყველა ობიექტის გადატანის შემდეგ ობიექტების გადარჩენის სააღრიცხვო ფორმაში შეიტანეთ გადატანის კოდები.



ცენტრალურ იტალიაში 2016-2017 წლების მიწისძვრების შემდეგ გადარჩენილი და ევაკუირებული ობიექტების შესანახი დროებითი საცავები, ფოტო: აპარნა ტანდონი, ICCROM



ანგარიში

მცველებისათვის მოამზადეთ ოპერაციის სრული ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ოპერაციის მოკლე აღწერა;
- მთავარ ქმედებათა შესრულების ამსახველი ფოტოსურათები;
- სტაბილიზებისათვის საჭირო ქმედებების ტიპი და გამოყენებული მასალები;
- განახლებული მონაცემებით შევსებული **ობიექტების გადარჩენის სააღრიცხვო ფორმა** (იხ. გვ. 94);
- განუული ხარჯები;
- აღდგენის საჭიროებები;
- ოპერაციაში ჩართული გუნდის წევრების საკონტაქტო ინფორმაცია;
- გუნდის ლიდერის სახელი, ხელმოწერა და საკონტაქტო ინფორმაცია.





მონიტორინგი

მცველებთან კონსულტაციით შეადგინეთ საცავის პერიოდული შემოწმებისა და დასუფთავების გეგმა.

ისტორიული შენობების გადაუდებელი სტაბილიზება

შენობის ან ნაგებობის გადაუდებელი სტაბილიზება მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს დაზიანების პროცესის დროებით შეჩერებას და კონსტრუქციული გაუმართაობით გამოწვეული ჩამონგრევის ან მდგომარეობის შემდგომი გაუარესების რისკების შემცირებას. ეს ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ნაგებობის აღდგენა სრულიად ან ნაწილობრივ შესაძლებელია, ან თუ ადგილობრივებს ნაგებობის ირგვლივ არსებული ტერიტორიის გამოყენება სურთ. გადაუდებელი სტაბილიზების აუცილებლობა შეიძლება დადგეს, თუ ნაგებობას აქვს ღირებული ინტერიერი ან მასში დაცულია ღირებულების მქონე უძრავი მემკვიდრეობა, მაგ., ფრესკები, საფლავები ან მოზაიკა.

აღსანიშნავია, რომ მიღებული ზომების მიუხედავად, ნაგებობის საწყისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია. **აღდგენის გარდამავალ ან ადრეულ ეტაპებზე** გრძელვადიანი გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული.



გადაუდებელი სტაბილიზების სამუშაო სპეციალიზებულ ცოდნას მოითხოვს. სამუშაოს ჩატარებამდე რჩევითვის მიმართეთ ინჟინერ-კონსტრუქტორს, რომელიც იცნობს რეგიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

რატომ არის მნიშვნელოვანი გადაუდებელი სტაბილიზება?

რაც უფრო დაზიანებული და მოუვლელია ნაგებობა, მით მაღალია მისი შემდგომი დაზიანებისა და ნგრევის რისკი. შესაბამისად, ამგვარი ნაგებობები ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

საფრთხის შემცველი მოვლენის შემდგომ ნაგებობა შეიძლება ჩამოინგრეს ან საფრთხის შემცველი გახდეს, თუ:

- დარღვეულია მისი **კონსტრუქციული მთლიანობა** და **დატვირთვა** (ჩვეულებრივი ან გამორჩეული) მიწის დონემდე ვეღარ ვრცელდება;
- ნაგებობის ნაწილობრივი ნგრევა ადგილობრივად იწვევს **ჭარბ დატვირთვას**;

- შიდა კონსტრუქციული ელემენტები გარემოსგან დაუცველია, მაგალითად, კედლის ზედაპირის დაზიანების გამო კედლის შიდა ელემენტი მოშიშვლებულია.

დროული ჩარევა მნიშვნელოვანია იმ სახის საფრთხის შემცველ მოვლენათა შემდეგ, რომლის განმეორება დროის მოკლე მონაკვეთშია შესაძლებელი. მაგალითად, სტაბილიზების ღონისძიებების განხორციელება აუცილებელია მიწისძვრის შემდგომ, რადგან თანმდევმა ბიძგებმა შეიძლება მეტად დააზიანოს ობიექტი და ზოგიერთ შემთხვევაში, ნაგებობის სრული ნგრევა გამოიწვიოს. ისტორიული ნაგებობების უსაფრთხოების შეძლებისდაგვარად სწრაფად უზრუნველყოფა ასევე მნიშვნელოვანია ციკლონისკენ მიდრეკილ ან კონფლიქტურ რეგიონებში.



ბაგანი, მიანმა, 2016, ფოტო: ICCROM





კონსტრუქციული მთლიანობის შენარჩუნების მნიშვნელობა: მიაწმა

2016 წლის 24 აგვისტოს მიაწმას ქალაქ ჩაუკში მომხდარმა 6.8 მაგნიტუდის მიწისძვრამ მიმდებარე ბაგანის არქეოლოგიურ უბანზე არაერთი ძეგლი დააზიანა. მიწისძვრა წვიმის სეზონის დასაწყისში მოხდა. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ჩანს, რომ ძეგლების კონსტრუქციული ნაწილების შემდგომი დაზიანების შეკავება უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზების გადაუდებელი ღონისძიებების საშუალებით მოხერხდა.

სტრუქტურული არაერთგვაროვნებით გამონვეული ნგრევა

მიწისძვრამდე სულეიმანის სალოცავის კამარა ნაწილობრივ ჩამოინგრა, რის შემდეგაც საყრდენის გარეშე დარჩენილი ელემენტების სტაბილიზება არ მომხდარა. ამის გამო შენობის სტრუქტურული ერთგვაროვნება დაირღვა. 2016 წლის მიწისძვრის დროს კამარა სრულად ჩამოინგრა. ამ მასშტაბის დაზიანების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა საყრდენგამოცლილი ელემენტებისთვის დროებითი გამაგრების ბიჭვების მოწყობით ან მათი მოცილებით.



ბაგანი, მიაწმა, 2016, ფოტო: ევენ კრეტ

ნაშალით გამონვეული დატვირთვა

ნანგრევების გროვამ კიდევ უფრო გააძლიერა მიწისძვრისგან დასუსტებულ ნაგებობაზე არსებული დატვირთვა. საჭირო იყო ნაშალის დაუყოვნებლივ მოშორება, მით უმეტეს, რომ მოსალოდნელი იყო წვიმა. სველი ნამტვრევები ნაგებობაზე კიდევ უფრო ძლიერ დატვირთვას იწვევდა. ასეთ სიტუაციებში პრობლემის დროებითი გადაწყვეტა გულისხმობს ნანგრევების ბრეზენტით დაფარვას მათ საბოლოო გატანამდე. ბრეზენტი კარგად უნდა იყოს დამაგრებული.



სულეიმანის ტაძარი ბაგანში, მიაწმა, 2016, ფოტო: ევენ კრეტ

შიდა სტრუქტურული ელემენტებისა და დეკორატიული ზედაპირების მოშივრება





სახურავსა და სახურავის წყალგამძლე სისტემებში აღმოჩნდა ხვრელები და ბზარები, რამაც შენობაში წყლის ჩასვლა და სერიოზული დაზიანებები გამოიწვია. ღარები გატეხილი ან ნატეხებით გაჭედილი იყო, რაც სახურავიდან წყლის მოცილებას აფერხებდა. დაზიანებული კედლები მგრძნობიარეა წვიმის მიმართ, განსაკუთრებით, თუ ტალახის დუღაბს ეხება. სამწუხაროდ, ძლიერი წვიმის გამო, შენობის ნგრევა გაგრძელდა შემდგომ კვირებშიც.

წყარო: ევენ კრეტ, Architecture Environnement et Cultures Constructives – CRATerre, Grenoble.



ბავანი, მიანმა, 2016, ფოტო: ევენ კრეტ



ბზარები ტაძრის სახურავში, ბავანი,

მიანმა, 2016, ფოტო: ევენ კრეტ




ხვრელები პავლას სახურავის წყალგამძლე სისტემაში ბავანში, მიანმა, 2016, ფოტო: ევენ კრეტ



როგორ ხორციელდება გადაუდებელი კონსტრუქციული სტაბილიზების ღონისძიებები?

აქ აღწერილია ისტორიული ნაგებობების გადაუდებელი სტაბილიზების რამდენიმე ძირითადი ღონისძიება. სტაბილიზებამდე აუცილებლად დარწმუნდით, რომ **თქვენი** და **ძეგლის უსაფრთხოება** უზრუნველყოფილია.

ქვემოთ მოცემულია ისტორიული შენობებისა და ნაგებობების, მათ შორის დაუცველი არქეოლოგიური მასალის გადაუდებელი სტაბილიზების ქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა.





მომზადება

- 1 საგანგებო სტაბილიზების სამუშაოს ჩასატარებლად მიიღეთ მცველების და საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სამსახურის კოორდინატორის ნებართვა.
- 2 შექმენით გუნდი, რომელშიც გაერთიანდებიან ინჟინერ-კონსტრუქტორი, არქიტექტორი, განვრთნილი მუშები და მოხალისეები. არქიტექტორსა და ინჟინერს უნდა ესმოდეთ კულტურული მემკვიდრეობის შენობებისა და ნაგებობების მნიშვნელობა. გუნდში შეიძლება ასევე იყვნენ ადგილობრივი ისტორიკოსები ან ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, რომლებიც იცნობენ ადგილობრივი მშენებლობის სტილსა და გამოყენებულ მასალებს.

ოპერაციებში მონაწილეობა შეუძლიათ სამხედრო ძალების წარმომადგენლებს და მეხანძრეებს, რომლებსაც ჩვეულებრივ გავლილი აქვთ შესაბამისი წვრთნა ნაგებობების გადაუდებელ სტაბილიზებაში. ზოგიერთ ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის შესახებ კანონმდებლობა მეხანძრეებისა და სამხედრო პერსონალის მიერ ამ პროცესის გაკონტროლებას ან ჩატარებასაც მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი ინფორმირება ნაგებობისა და მემკვიდრეობის ელემენტების მნიშვნელობის შესახებ.

- 3 კრიტიკული კონსტრუქციული ან არაკონსტრუქციული დაზიანების ლოკალიზების მიზნით ძეგლის ნახაზებთან და შენობის სართულების გეგმებთან ერთად გამოიყენეთ **ზიანისა და რისკის შეფასების ანგარიში** (იხ. გვ. 65). ჩაატარეთ სიღრმისეული ტექნიკური შეფასება, რათა დაადგინოთ ზიანის ტიპი და მისი გამომწვევი მიზეზი. შეფასება შეიძლება მოიცავდეს საძირკვლის მდგომარეობისა და დატვირთვის ტიპების მიმოხილვას.
- 4 გამოყავით სამუშაოდ, სახარჯი მასალის შესანახად და ჭამისთვის უსაფრთხო ადგილები. მონიშნეთ ისინი ადგილის რუკაზე და განათავსეთ სპეციალური ნიშნები.
- 5 თუ ნაგებობაში შესვლა უსაფრთხოა, განსაზღვრეთ ადგილზე (in-situ) დეკორატიული ელემენტების, მაგ., კრამიტის ან ხის იატაკის, ფრესკებისა და მოზაიკის, გადაუდებელი სტაბილიზების სამუშაოს ჩატარებამდე გადახურვის ან დაცვის საჭიროება. ასევე გამოყავით ღირებული აქსესუარები, მაგ., ხალიჩები, სურათები და ნაქარგები, რომელთა **ვეაკუირება** (იხ. გვ. 79) აუცილებელია სტაბილიზების პროცესის დაწყებამდე.
- 6 გადაუდებელი სტაბილიზაციის ღონისძიებების შემუშავებამდე კონსულტაცია გაიარეთ ინჟინერ-კონსტრუქტორთან და მოამზადეთ ნახაზები. ნახაზების მიხედვით მოამზადეთ მასალების სპეციფიკაცია და საჭირო აღჭურვილობის სია.



- 7 გაიარეთ კონსულტაცია მცველებთან და განუმარტეთ მათ შენობა-ნაგებობის სტაბილიზების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებები. მიანოდეთ მათ ინფორმაცია ღონისძიებების ხანგრძლივობისა და განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური თუ ადამიანური რესურსების შესახებ. საჭიროებისამებრ, მოითხოვეთ მცველებისა და ადგილობრივების დახმარება **ევაკუაციის** (იხ. გვ. 82) პროცესში და დეკორატიული ელემენტების დაცვაში.
- 8 მოაგროვეთ სახარჯი მასალა და აღჭურვილობა, მაგ., ხის ფიცრები, ბანრები, ჩაქუჩები, ხერხები და სხვ. (სტაბილიზების პროცესისთვის საჭირო მასალისა და აღჭურვილობა ტიპების შესახებ იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 93).



დოკუმენტირება

- 1 აღრიცხეთ დაზიანების ზუსტი ადგილი, ტიპი და ზომები (მაგ.: ბზარები, პლანარული დეფორმაცია და ბათქაშის გამობურცვა). დაზიანებების აღსანიშნად გამოიყენეთ ფასადების ნახაზები და გეგმები.
- 2 დაზიანებული ადგილების ფოტოები გადაიღეთ ახლო და შორი ხედებით. ფოტოს გადაღებისას მასშტაბის განსასაზღვრად ობიექტის გვერდით მოათავსეთ მეტრიანი ლარტყა ან ათსანტიმეტრიანი სახაზავი და თარიღის აღმნიშვნელი ნიშანი. ჩაინიშნეთ იმ ფოტოსურათების ნომრები, რომლებიც ემთხვევა სპეციფიკურ ზიანს შენობის გეგმაზე.
- 3 სადაც აუცილებელია, ჩაინიშნეთ სხვა მნიშვნელოვანი დეტალები, როგორცაა: დატვირთვის ტიპები, იატაკის მდგომარეობა და სხვა. ზიანის შესახებ დოკუმენტებს დაურთეთ სტაბილიზების ღონისძიებისთვის მომზადებული ნახაზები. ეს დოკუმენტები ერთობლიობაში დაგეხმარებათ საჭირო აღდგენითი სამუშაოს განსაზღვრაში.



განხორციელება

ქვემოთ აღწერილია გადაუდებელი სტაბილიზების ძირითადი ღონისძიებები (ტექნიკური დეტალებისთვის იხ. ინსტრუმენტა კრებული, გვ. 79).

1 დროებითი საფარი

მგრძობობიარე ელემენტების წყლისგან, ქარისგან, გარშემო ელემენტების შემდგომი ნგრევისა და ცხოველთა ინვაზიისგან დასაცავად გამოიყენეთ არმირებული ბრეზენტი (ბრეზენტი და მავთულის ბადე ერთად, რათა უკეთ გაუძლოს ობიექტების დაცემას) ან პროფილირებული გალვანიზებული რკინის ან ფოლადის ფირფიტები, რომლებიც არსებულ ან დროებით კარკასზეა დამაგრებული. მიიღეთ სიტუაციის შესაბამისი გადაწყვეტილება და გაითვალისწინეთ ადგილზე ხელმისაწვდომი რესურსები, მასალები და უნარები (დეტალური გეგმისთვის იხ. ინსტრუმენტა კრებული, გვ. 73).



ბაკანი, მიანმა, 2016, ფოტო: აპარნა ტანდონი

2 დროებითი გამაგრების ბიჯები

ბიჯებით გამაგრების მეთოდი გამოიყენება ნაგებობის შეკეთების დროს ან იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩამონგრევის საშიშროების წინაშეა. ბიჯები ყავარჯნის ფუნქციას ასრულებს და **დატვირთვას** მინაზე ანაწილებს.


ბიჯების საშუალებით იჭერენ:

- მზიდ კოჭებს, რომლებიც ეყრდნობა დაზიანებულ კედელს ან სვეტს;
- გადანვენილ, მოხრილ ან გამობურცულ მზიდი აგურის, ქვის ან მიწის კედელს, რომელიც კონსტრუქციულად არამდგრადია;
- კარის ან ფანჯრის გატეხილ ზღუდარს.



ბიჯგები შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისგან:

1. ელემენტები, რომლებიც კრებენ დატვირთვის სიმძიმეს (რიგელები ან კედლის ძელები);
2. ელემენტები, რომლებიც გაატარებენ დატვირთვას (ვერტიკალური ძელი ან ირიბანა საბჯენები);
3. გვერდითი სამაგრი, რომელიც სისტემის სტაბილიზების შესაძლებლობას იძლევა;
4. მზიდი ძელი, რომელიც ანაწილებს დატვირთვას მიწაზე.



შესაძლებლობისთანავე უსაფრთხო სამუშაო სივრცეში წინასწარ აანყვეთ ბიჯგი ბრტყელი ზედაპირით, რომელზეც შესაძლებელი იქნება მუშაობა.

ბიჯგის განთავსების ადგილიდან გაიტანეთ ნანგრევები, რადგან მას დატვირთვის გადასანაწილებლად ბრტყელი ზედაპირი ესაჭიროება.



მეტალის ბიჯგების გამოყენებისას ყოველთვის ისარგებლეთ ხის ფიცრებით და მოათავსეთ ისინი მეტალსა და დაზიანებულ სტრუქტურას შორის. ხე გამოიყენება ბიჯგის სისტემის თავზე ან ძირში დატვირთვის სიმძიმის სწორად გადასანაწილებლად. ზოგჯერ ხეს ვიზუალური და ხმოვანი გაფრთხილების საშუალებადაც განიხილავენ, რადგან ის დატვირთვის გაზრდისას დეფორმირდება.

ხის ბიჯგის აგების დეტალური ინსტრუქციისათვის იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 79.




- ინჟინერ-კონსტრუქტორის გარეშე არ სცადოთ 3 მეტრზე მაღალი ელემენტების გამაგრება ბიჯით.
- აგურით, ქვით და სუსტი ან დაზიანებული დუღაბით ნაგები კედლის გამაგრებისას მიმართეთ ინჟინერ-კონსტრუქტორს, რათა შექმნათ საკმარისად დიდი კედლის ფილა ან ააგოთ ზედაპირის სრულად დასაფარად საჭირო რაოდენობის ბიჯგები.

3 სტრუქტურის შეკვრა

სტრუქტურის შეკვრა აუმჯობესებს მის ვერტიკალურ მზიდუნარიანობას და იცავს მას მომავალში ლატერალური დეფორმაციისგან.

შეკვრა, მთელი ნაგებობის მასშტაბით, ხელს უწყობს პერპენდიკულარული კედლების შეერთებას, რაც განაპირობებს მის მეტ მდგრადობას ლატერალური მოძრაობის მიმართ. ამ მიზნით გამოიყენება პოლიესტერის ქამრები, მეტალის ბაგირი ან მეტალის სალტე, რომლებიც ერთმანეთზე შედუღებულია ან ქანჭიკითაა გადაბმული.




ნახაზის წყარო: Grimaz, S. et al. 2010. Vademecum, STOP, Shoring Templates and Operating Procedures for the Support of Buildings damaged by Earthquakes. Rome, Ministry of Interior – Italian Fire Service.



არასოდეს გამოიყენოთ ეს მეთოდი ბეტონის დაზიანებულ სვეტებთან

- სტრუქტურული დაბმის სამუშაოს შესრულებამდე ინჟინერ-კონსტრუქტორთან გაიარეთ კონსულტაცია, რამდენად არის მისი საჭიროება და როგორი უნდა იყოს ის.
- შეკვრამდე სტრუქტურულ ელემენტს მოაშორეთ ნანგრევები.
- პოლიესტერის შემომბლუდავი ღვედებით და/ან ხრუტუნა მექანიზმიანი ჩამკვეთით სტრუქტურის შეკვრისას, მოათავსეთ ხის და მეტალის ფურცლები კონსტრუქციაზე დატვირთვის გადანაწილებისათვის. ფიცრები უნდა იყოს დაახლოებით 3 სმ სისქის და უნდა მოთავსდეს კედელს/ბოძსა და მეტალის ფურცელს შორის.

დ. დაიწყეთ ღვედის დამაგრება ზემოდან ქვემოთ, ისინი ერთმანეთს დააშორეთ გარკვეული მანძილით. დაშორება უნდა მერყეობდეს 10-დან 45 სმ-მდე, დაზიანების დონისა და დატვირთვის სიმძიმის მიხედვით. გადაანაწილეთ ხრუტუნა ჩამკეტები თანაბრად (საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის სრული სინისათვის იხ. ინსტრუმენტთა კრებული, გვ. 95).



ნახაზის წყარო: Grimaz, S. et al. 2010. *Vademecum, STOP, Shoring Templates and Operating Procedures for the Support of Buildings damaged by Earthquakes*. Rome, Ministry of Interior – Italian Fire Service.

4 დეკორატიული ელემენტების ადგილზე (in-situ) დაცვა

ადგილზე (in-situ) სტაბილიზება მოიცავს ადგილზე განსახორციელებელ ღონისძიებებს. მას მიმართავენ უძრავი დეკორატიული ელემენტებისა და ხელოვნების ნიმუშების (მაგ., დიდი ზომის ქანდაკებები, კედლის ან იატაკის მოზაიკა და ფრესკები) სტაბილიზებისათვის.

ნაგებობების გადაუდებელი სტაბილიზების ღონისძიებები, კერძოდ, დროებითი ბიჯების გამოყენება და დაბმა, შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს in-situ ელემენტებისთვის, თუ ისინი სათანადოდ არ იქნება დაცული. სტაბილიზების ღონისძიების ჩატარებამდე ყოველთვის დაეკითხეთ რჩევა კონსერვაციის სპეციალისტს, თუკი დაგეგმილი სამუშაო მოიცავს დეკორატიულ ელემენტებს ან მათთან სიახლოვეში ტარდება.

დამკავი-საიზოლაციო ფენა მოხატულ კედელსა და ბიჯს შორის, ფრეიშუდი-ეშპადას ეკლესიაში, პორტუგალია, 2007, ფოტო: ესპერალდა პაუპერიო



საგანგებო სტაბილიზების განხორციელებამდე დარწმუნდით, რომ ქანდაკებების, ფილებისა ან ზედაპირების უსაფრთხოება ადგილზე დაცულია. შემომზღუდავი ქამრის დეკორატიულ ზედაპირთან უშუალო კონტაქტის თავიდან ასაცილებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ გაუსამბებელი თეთრი მიტკალი ან სხვა შეუღებავი რბილი ქსოვილი. უშუალო შეხების თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ ქაფი; დარწმუნდით, რომ ზედაპირებს შორის მოთავსებული დამცავი საიზოლაციო მასალა კარგად არის დამაგრებული, რათა შემცირდეს მისი შემთხვევითი გადაადგილებისა და დეკორატიული ელემენტის ზედაპირის დაზიანების რისკი.

შეხების თავიდან ასაცილებლად ზედა კოჭს/კედლის ფირფიტას და დეკორატიულ ელემენტს შორის შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვიშის ტომრები, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ტომრები ტენიან კლიმატებში ნესტს იწოვს, რამაც შესაძლოა მეტი ზიანი გამოიწვიოს (საჭირო სახარჯი მარაგების ზოგადი სია იხ. ინსტრუმენტთა კრებულში, გვ. 93).



მაარას მუზეუმის მოზაიკის ადგილზე (in-situ) სტაბილიზება: სირია

ძალადობრივი კონფლიქტის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზების სამუშაო შეიძლება მოიცავდეს რადიკალურ ან კომპლექსურ ოპერაციებს, როგორცაა, არქეოლოგიური ძეგლების მინით დაფარვა ან დამცავი ზედაპირის დამაგრება კედლის მხატვრობასა თუ მოზაიკაზე.

სირიის კონფლიქტის შედეგად ძლიერ დაზიანდა მაარას მოზაიკის მუზეუმი, რომელშიც III-VI საუკუნეების რომაული და ბიზანტიური მოზაიკის ახლო აღმოსავლეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კოლექციებია დაცული. კულტურული მემკვიდრეობის სირიელი სპეციალისტებისა და მოხალისეების მიერ უსაფრთხოებისა და სტაბილიზების გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებამდე ნაგებობა დანგრევის პირას იყო.

მოზაიკის ნიმუშების დაცვის მიზნით, სირიელებისგან შემდგარმა გუნდმა გეგმის შესადგენად და მოზაიკის ადგილზე სტაბილიზებისა და დაცვისათვის კონსულტაცია კონსერვაციის სპეციალისტთან გაიარა. შემდგომი ჩამონგრევის ასაცილებლად მათ ამოავსეს ქერში არსებული ხვრელები; მოზაიკების კონსერვაციის ექსპერტთან კონსულტაციის საფუძველზე მოზაიკაზე დაიტანეს წებოსა და ნაჭრის ფენა; ამის შემდეგ მოზაიკებს შორის ქვიშის ტომრები მოათავსეს. შედეგად, ჯამში მოზაიკით დაფარული 148 კვ. მეტრის იატაკი იქნა დაცული.

წყარო: სმიტსონის ინსტიტუტი. 2015. გადაუდებელი დაცვითი ღონისძიებები ჩატარდა მაარას მოზაიკის მუზეუმში, სირია.



ანგარიში და კომუნიკაცია

- 1 მოამზადეთ მოკლე ანგარიში, რომელშიც აღწერილი იქნება გადაუდებელი სტაბილიზების სამუშაო. ანგარიშს თან დაურთეთ ფოტოები, ნახაზები და გეგმა მდებარეობების მითითებით.
- 2 მიუთითეთ მნიშვნელოვანი დეტალები. მაგალითად, როგორ მოხერხდა მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ევაკუაცია ან ისტორიული სამშენებლო ფრაგმენტების გადარჩენა გადაუდებელი სტაბილიზების დაწყებამდე.
- 3 წარმოადგინეთ გაწეული ხარჯების ანგარიში და სია გუნდის იმ წევრების საკონტაქტო ინფორმაციით, ვინც სტაბილიზების პროცესში იყო ჩართული.
- 4 ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მონიტორინგის რეჟიმი და სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციისთვის რეკომენდებული ღონისძიებები.



მონიტორინგი

კონსტრუქციების და ნაგებობების საგანგებო სტაბილიზების ზომები დროებით ხასიათს ატარებს. შესაბამისად, სრული კონსერვაციის დაწყებამდე მნიშვნელოვანია მათი ეფექტურობის მონიტორინგის უზრუნველყოფა. მაგალითად, ბიჯები შესაძლოა სახიფათო გახდეს ნგრევის შემთხვევაში, შესაბამისად საჭიროა მათი რეგულარულად შემოწმება (სულ მცირე, 12 საათში ერთხელ პირველი დღეების განმავლობაში) გადახრის ან გადატვირთვის ნიშნების დასანახად.

დარწმუნდით, რომ სვეტები თავდაპირველ პოზიციებზეა. მეტიც, მაკავშირებელი ელემენტები და სოლები მჭიდროდ უნდა იყოს გამაგრებული. დააკვირდით ბიჯის საყრდენი ფირფიტის ნებისმიერ მოძრაობას. დარწმუნდით, რომ ვერტიკალური ძელები არ არის დაზიანებული და კოჭის ბოლოები არ არის გაყოფილი – აღნიშნული ბიჯის გადატვირთვაზე მიუთითებს. თუკი კედლის კოჭს ბზარები გაუჩნდება, ეს მიგანიშნებს, რომ მათი ზომა არ არის საკმარისად დიდი ან კედელი ვერ უძლებს ბიჯის დაწოლას.

თუ სტრუქტურის დასაბმელად გამოყენებულია **შემომზღუდავი ქამრები** ან მეტალის მავთულები, შეამოწმეთ, საკმარისად მჭიდროდ თუ არიან მორგებულნი; დარწმუნდით რომ ხის ელემენტები უძრავ მდგომარეობაში არიან და შემომზღუდავი ქამრებისა და მავთულების ქვეშ არ ზიანდებიან. პერიოდულად გააკონტროლეთ, ხომ არ შეინიშნება გამოყენებულ ხეზე ფიზიკური დაზიანების (მაგ., მღრღნელებით გამოწვეული დაავადების) ნიშნები.

დატბორილი ნაგებობის შემთხვევაში რეგულარულად ჩაინიშნეთ შემდეგი:

- ა. კედლების ან/და ბათქაშის ტენიანობა, რისთვისაც შეგიძლიათ გამოიყენოთ ტენიანობის საზომი ან მულტიმეტრი, ასევე შეგიძლიათ აიღოთ სინჯები, რომელთაც აწონით ღუმელში გამოშრობამდე და გამოშრობის შემდგომ.
- ბ. მიწით ნაგები კონსტრუქციების ტენიანობის დონე, რომელიც უნდა შეამოწმოთ კედლების ძირში და მათ სიღრმეში (ტენიანობა კედლის ბათქაშში განსხვავდება სტრუქტურულ ნაწილებში არსებული ტენიანობისგან).
- გ. მარილების მიგრაციის კვალი კედლების ზედაპირზე ან ობის ზრდის დონე.
- დ. ხის ელემენტების ნებისმიერი ტიპის დეფორმაცია.
- ე. გამობურცული ან დაბზარული ბათქაში.

როგორ უნდა უზრუნველყოთ არამატერიალური მემკვიდრეობის უსაფრთხოება და სტაბილიზება?

ტერმინები – უსაფრთხოება და სტაბილიზება, პირდაპირი გაგებით შეიძლება ნაკლებად დავაკავშიროთ არამატერიალურ მემკვიდრეობასთან. როგორც **ადგილზე ზიანისა და რისკის შეფასების** თავში იყო ახსნილი, არამატერიალური მემკვიდრეობის რისკებისა და ზიანის შეფასება უნდა მოიცავდეს:

- ა. წვდომას.
- ბ. შესრულებას.
- გ. დაზიანებული არამატერიალური მემკვიდრეობის გადაცემას.

უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ქმედებები თავდაპირველად ტარდება პირველ ორ დონეზე და შეეხება მატერიალურ ელემენტებს, რომლებიც ასოცირებულია არამატერიალურ მემკვიდრეობასთან და ტრადიციის, ცოდნის მატარებელ ადამიანებთან. მეტიც, სტაბილიზებისა და დაცვისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება უნდა ითვალისწინებდეს დაზარალებული საზოგადოების მკაფიო მოთხოვნებსა და სპეციფიკურ საჭიროებებს.

არამატერიალური მემკვიდრეობის შემთხვევაში, ღირებულია საზოგადოების ტრადიციები, ცოდნის სისტემები, ამ ტრადიციებისა და ცოდნის გადაცემა, ასევე ის ადამიანები, ვინც პრაქტიკულად ახორციელებენ ამა თუ იმ ტრადიციას. არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებების მიზანი განსხვავდება მატერიალური მემკვიდრეობის დასაცავად განხორციელებული ქმედებების მიზნისგან. დიდი განსხვავებაა ასევე არამატერიალური მემკვიდრეობის სტაბილიზებასა და მოძრავი ან უძრავი მემკვიდრეობის სტაბილიზებას შორის.





ნებალში რელიგიური ხელნაწერის კითხვის ტრადიცია ყოველდღიური რიტუალების ნაწილს წარმოადგენს, 2015, ფოტო: ICCROM

სტაბილიზება გულისხმობს:

- იმის უზრუნველყოფას, რომ საზოგადოება შეძლებს კონკრეტული წეს-ჩვეულებების, პრაქტიკის, რიტუალების გაგრძელებას საფრთხის შემცველი მოვლენის დასრულებისთანავე.
- იმის უზრუნველყოფას, რომ ცოდნისა და უნარების გადაცემის პროცესი გაგრძელდება, სანამ სხვა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება იქნება შესაძლებელი.

ქვემოთ ჩამოთვლილია მატერიალური ელემენტებისა და ადამიანების უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ქმედებები.

- 1 **მატერიალური ელემენტები:** მოიცავს არამატერიალურ კულტურასთან ასოცირებულ ნაგებობებს, ღირსშესანიშნავ ადგილებს, ობიექტებს, ინსტრუმენტებს, კოსტიუმებს და სხვ. თუ **სიტუაციის ანალიზისა** (იხ. გვ. 26) და **ადგილზე ზიანისა და რისკის შეფასებისას** (იხ. გვ. 42) გამოვლინდა გადაუდებელი საჭიროებები, იგივე ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას, რაც უძრავი და მოძრავი მემკვიდრეობის შემთხვევაში იყო საჭირო.

ჩვეულებრივ, არამატერიალურ კულტურასთან დაკავშირებულ მატერიალურ ელემენტებს კულტურული მნიშვნელობა აქვთ, რადგან გვთავაზობენ ადგილსა და კონტექსტს არამატერიალური ტრადიციებისთვის. მატერიალური ელემენტების სტაბილიზების მიზანს არამატერიალური ტრადიციების გაგრძელება უნდა შეადგენდეს. ეს შესაძლოა გულისხმობდეს თავად საზოგადოების მხრიდან სტაბილიზების კონკრეტული მეთოდისთვის პრივილეგიის მინიჭებას. მაგალითად, სამლოცველოს დაზიანების შემთხვევაში, საზოგადოებამ შესაძლოა გამაგრებულ კონსტრუქციას არჩიოს ახალი დროებითი თავშესაფარი, სადაც თავს დაცულად იგრძნობს.

- 2 ადამიანები:** არამატერიალურ კულტურასთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ზომები უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს მხოლოდ იმის გარკვევას, თუ სად იმყოფება თემი და როგორ შეგვიძლია ტრადიციის გადაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით საჭიროა განხორციელდეს დოკუმენტირება, ჩანერა ან ინვენტარიზაცია, რათა დარწმუნდეთ, რომ ვიზუალური ან სიტყვიერი ჩანაწერი არსებობს, სანამ ჩვეულ ვითარებას დავუბრუნდებით. თუმცა მასობრივი გადასახლების შემთხვევაში, ან როცა საზოგადოება კარგავს ტრადიციათა მატარებლებს, შესაძლოა საჭირო გახდეს საჩქარო ზომების მიღება, როგორცაა ვიდეო დოკუმენტაცია და პრაქტიკული სწავლება ცოდნისა და უნარების გადაცემის მიზნით.



არამატერიალურ მემკვიდრეობასთან მუშაობისას გასათვალისწინებელი რჩევები

მოძრავი ან არქიტექტურული მემკვიდრეობის გადაუდებელი დაცვისთვის გატარებული ზომები შესაძლოა აგრეთვე მოიცავდეს არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის ასპექტებსაც. უსაფრთხოებისა და სტაბილიზების ზომების მიღებამდე, ყოველთვის გაითვალისწინეთ შენობების და ადგილების რელიგიური ან სულიერი მნიშვნელობა, პროცესებში ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობა. დარწმუნდით, რომ თქვენი ქმედებები არ შემოიფარგლება კონსტრუქციის მხოლოდ ფიზიკური ასპექტებით. იგივე მიდგომა გამოიყენეთ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან მიმართებითაც, რადგან მათი უმრავლესობა შესაძლოა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან არამატერიალურ ღირებულებას ატარებდეს. ევაკუაციისა და გადარჩენის დროს საჭიროა ამ ყოველივეს გათვალისწინება.

არსებობს მხოლოდ ერთი გზა იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა იმუშაოთ მსგავს შემთხვევებში ნაგებობებთან ან ობიექტებთან – პროცესში ჩართეთ საზოგადოება: ადგილობრივი ლიდერებისგან მიიღეთ რჩევები, მოიპოვეთ თანხმობა და გაუღვივეთ თანამშრომლობის სურვილი, სანამ გადახვალთ უშუალოდ მოქმედებაზე.



ციკლონ ნარგისის შემდგომ ტრადიციის გაგრძელება – მიანმა

2008 წლის 2 მაისს ციკლონი ნარგისი მიანმას დაატყდა თავს, რასაც მოჰყვა კატასტროფული ნგრევა და ადამიანური მსხვერპლი. გაეროს მონაცემების თანახმად, ციკლონის შედეგად 2.4 მილიონი ადამიანი დაზარალდა.

ციკლონმა მძიმე გავლენა იქონია ტრადიციული რენჯისა და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრებზე. ერთ-ერთი ასეთი ცენტრი ამზადებდა ტრადიციულ მარიონეტებს და დგამდა მარიონეტების და მიანმას ტრადიციული ორკესტრის წარმოდგენებს. ციკლონისა და შემდგომი სამხედრო ბლოკადის გამო გაჩნდა ამ თხუთმეტსაუკუნოვანი უნარისა და ცოდნის სრულიად დაკარგვის საშიშროება.



მარიონეტების მართვის ტრენინგი, მანდალაი, მიანმა, 2016. ფოტო: ჯუზეპე სალერნო

ტრადიციული ხელოვნებისათვის, განსაკუთრებით მიანმას ტრადიციული მარიონეტების წარმოდგენებისათვის დახმარების გასაწევად ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „ზემო მიანმა – კულტურა და მოგზაურობა“. ორგანიზაციის მუშაობა მიზნად ისახავს ამ მემკვიდრეობის ყველა ასპექტის მოფრთხილებას, იქნება ეს მარიონეტების დამზადების თუ მართვის მეთოდები, ცეკვა, მუსიკა, გამოქანდაკება, ბზინებით მოქარგვა და მოხატვა.





მიანმას მარიონეტების ორგანიზაციასთან ერთად შეიქმნა საგანმანათლებლო DVD დისკი, შედგა სამუშაო შეხვედრები და გაიმართა პირველი საერთაშორისო თოჯინების ფესტივალი (2016). ყოველივე ეს ემსახურებოდა ადგილობრივი საზოგადოებისათვის უნარებისა და ცოდნის გადაცემას, რათა გაზრდილიყო არამატერიალური მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობა, რაც დღემდე გრძელდება.



მარიონეტების ჩარმოდვენის ტრენინგი, მანდალაი, მიანმა, 2016. ფოტო: ჯუზეპე ხალერნო

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 163





გაუმჯობესეთ საგანგებო სიტუაციისთვის მზაობა!

თუკი თქვენს ქალაქში საგანგებო სიტუაციაა და კულტურული მემკვიდრეობის კოლექციები, ნაგებობები და არამატერიალური მემკვიდრეობა დაზიანდა, პასუხგასაცემია შემდეგი შეკითხვები:

- მიიღებენ დაზიანებული ობიექტები სწრაფ დახმარებას საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის სტაბილიზებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?
- არსებობს კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმები კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუციებსა და საგანგებო სიტუაციის მართვის უწყებებს შორის, რომლებიც საშუალებას მოგცემთ, გქონდეთ დაზარალებულ მემკვიდრეობასთან წვდომა **ფართომასშტაბიანი** საგანგებო სიტუაციის დროს?
- არსებობს კულტურული მემკვიდრეობის მაშველებისა და მოხალისეების განვრთვნილი ჯგუფები?
- ექნებათ მათ წვდომა სახარჯ მასალასთან და აღჭურვილობასთან, რათა განახორციელონ გადარჩენის, ევაკუაციის და სტრუქტურული სტაბილიზების სამუშაოები რამდენიმე ძეგლზე?
- ექნებათ დაზარალებულ ინსტიტუციებს წვდომა უსაფრთხო სივრცეებთან, რათა მოეწყოს დროებითი საცავი, განხორციელდეს დიდი რაოდენობის ობიექტებისა და შენობის ელემენტების გადარჩევა და სტაბილიზება?


რა მოჰყვება პირველად დახმარებას?

საგანგებო სიტუაციის საპასუხოდ თქვენ გუნდთან ერთად წარმატებით ჩაატარეთ პირველადი დახმარების პროცედურები: მოახდინეთ **სიტუაციის ანალიზი** და მიღებული მონაცემები გამოიყენეთ **ადგილზე ზიანის და რისკის შეფასების** ჩასატარებლად, ამ შეფასებაზე დაყრდნობით უზრუნველყავით მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის **უსაფრთხოება და სტაბილიზება**.

რა უნდა გააკეთოთ შემდგომ?

ამის გასარკვევად, განაგრძეთ კითხვა.

ადრეული აღდგენა



ადრეული აღდგენა

კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მას მოჰყვება საკონსერვაციო სამუშაოები ფუნქციებისა და წვდომის აღსადგენად. ასე რომ, დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების სამუშაოების ჩატარების, მთელი პროცესის დოკუმენტირებისა და მონიტორინგის რუტინის დაწესების შემდეგ საჭიროა კონსენსუსზე დაფუძნებული აღდგენისა და რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმის მომზადება, რაც მოიცავს დეტალური მდგომარეობის შეფასებას, მატერიალური მემკვიდრეობის საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას (მათ შორის შეკეთებას და რესტავრაციას), რისკების შემცირებას, მომსახურებისა და ეკონომიკური საქმიანობის აღდგენას, კულტურული მემკვიდრეობის გაუმჯობესებულ ან სახეცვლილ გამოყენებას მდგრადი განვითარების და „უკეთესად აღდგენის“ (**‘build back better’**) პრინციპების მიხედვით (სენდაის ჩარჩო). მარტივად რომ ვთქვათ, რეაბილიტაცია და აღდგენა მოიცავს ზიანის გამოსწორებას, დანაკარგის აღდგენას, რისკების შემცირებას, კულტურული მემკვიდრეობის უკეთეს კონსერვაციულ მდგომარეობაში აღდგენას, რათა მომავალში კვლავ იყოს შესაძლებელი მისი სიცოცხლისუნარიანი გამოყენება.

ჰუმანიტარულ სექტორში პირველადი დახმარების შემდეგ აღდგენისა და რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმის შექმნისათვის საჭირო პერიოდი ცნობილია, როგორც ადრეული აღდგენის ფაზა.



დურბარის მოედანი, კატმანდუ, ნეპალი, 2015 ფოტო: ICCROM





როგორ განმარტავს ჰუმანიტარული სექტორი ადრეულ აღდგენას

ადრეული აღდგენა განისაზღვრება, როგორც მრავალგანზომილებიანი პროცესი, მართული განვითარების პრინციპებით. მისი მიზანია, ეროვნულ დონეზე შექმნას თვითკმარი და მედეგი პროცესები კრიზისის შემდგომი აღდგენისათვის. მსგავსი განმარტება საშუალებას აძლევს ინდივიდებს, ისარგებლონ ჰუმანიტარული ქმედებებით და მდგრადი განვითარების შესაძლებლობებით, რაც დადებით გავლენას იქონიებს მათ გამძლეობაზე.

ეს ფაზა მხარს უჭერს ჰუმანიტარული და განვითარების სექტორების წარმომადგენელთა თანამშრომლობას. ამ ფაზაში მოკლევადიანი, სასწრაფო, „სიცოცხლის გადარჩენაზე ორიენტირებული“ ჩარევები ეტაპობრივად სრულდება და იწყება გრძელვადიანი განვითარებისა და აღდგენის პროგრამების განხორციელება.

ჰუმანიტარულ სექტორში ადრეული აღდგენის მიზნებია:

1. მიმდინარე გადაუდებელი დახმარების ოპერაციების გაძლიერება.
2. დაზარალებული საზოგადოების მხრიდან ინიციატივების წახალისება და მათი მხარდაჭერა.
3. გრძელვადიანი აღდგენის შესაძლებლობისთვის საფუძვლის მომზადება შემდგომი მდგრადი განვითარებისთვის პირობების შექმნის მეშვეობით.
4. ადგილობრივი და ეროვნული შესაძლებლობების სტაბილიზება და გაზრდა, ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების მხრიდან სტაბილურობის უზრუნველყოფა, ვაჭრობის და ეკონომიკური საქმიანობის აღდგენა და სხვა მომსახურების განწევა.
5. კრიზისის განმეორების პრევენცია შესაძლებლობების გაზრდისა და მოწყვლადობის შემცირების, მოქმედ პირთა მედეგობის გაძლიერების გზით.
6. საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 168



კონფლიქტის პირობებში უწყებები, მართვის მექანიზმები და სოციალური ურთიერთობები რადიკალურად იცვლება. მსგავს სიტუაციებში უსაფრთხოებასა და სტაბილიზებასთან, **მშვიდობის მშენებლობასთან, გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულებასთან**, ერის ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებული პროცესები ემთხვევა ადრეული აღდგენის ფაზის ჰუმანიტარულ და განვითარების საკითხებს.

პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში კულტურული მემკვიდრეობის ადრეულმა აღდგენამ ხელი უნდა შეუწყოს კონფლიქტის ტრანსფორმაციას, მაგ., კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნდობის ჩამოყალიბებისა და საზოგადოებრივი განხეთქილების დასაძლევად.

ადრეული აღდგენის დროს რეკომენდებული ქმედებები

მომდევნო ნაწილში ჩამოთვლილია ის ქმედებები, რომლებიც დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის ხელშესაწყობად ადრეული აღდგენის ეტაპზე უნდა განხორციელდეს. ამ ქმედებათა წარმატებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ისინი მართული იყოს კულტურული სექტორის დაზარალებული ინსტიტუციების მიერ და ამოქმედდეს დაინტერესებულ მხარეთა, მოქმედ პირთა და საზოგადოებასთან კონსულტაციის შემდგომ.

1 პირველადი დაზარების შემდგომი სიტუაციის ანალიზი

კულტურული მემკვიდრეობის კრიზისის შემდგომი რეაბილიტაციისა და აღდგენის სამოქმედო გეგმის შესაქმნელად მნიშვნელოვანია პირველადი დაზარების დაგეგმვამდე ჩატარებული **სიტუაციის ანალიზის** (იხ. გვ. 26) განხილვა და განახლება.

კონფლიქტით გამონვეული საგანგებო სიტუაციისთვის პირველადი დაზარების შემდგომი სიტუაციის ანალიზმა უნდა მოიცვას **კონფლიქტის ანალიზი** (იხ. გვ. 40). ეს საშუალებას მოგცემთ, კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისა და რეაბილიტაციის პროცესში ჩართოთ კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის დამყარების სტრატეგიები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაიხედოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების გამომწვევი მოვლენის ბუნება და მიზეზები
- არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყვლადობა
- დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ღირებულება
- **დაინტერესებული და მოქმედი პირების** (იხ. გვ. 35) გამოვლენა და შეფასება, აღდგენა-რეაბილიტაციაში მათი როლებისა და ინტერესების გათვალისწინება





ყურადსაღებია, რომ პირველადი დახმარებისა და აღდგენის ეტაპებზე მოქმედი პირების სია ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება. შესაძლოა ჩაერთონ ახალი ტიპის სპეციალისტები (მაგ., განვითარების საკითხებზე მომუშავე), ხოლო მეხანძრეები და სამოქალაქო თავდაცვის პერსონალი ადრეული აღდგენის ეტაპზე ჩაანაცვლონ ახალმა პირებმა. გარდა ამისა, შესაძლოა ზოგიერთის როლი შეიცვალოს და მათ განსხვავებული დავალებების შესრულება დაეკისროთ. ამის გამო აუცილებელია დაინტერესებულ და მოქმედ პირთა ანალიზის თავიდან ჩატარება.

- კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი მდგომარეობა პირველადი დახმარების შემდგომ და მოსალოდნელი რისკები
- დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისათვის საჭირო საკონსერვაციო სამუშაოების და რისკის შემცირების ზომები
- კულტურული მემკვიდრეობის სრული აღდგენისათვის საჭირო რესურსები

2 მდგომარეობის შეფასება

პირველადი დახმარების შემდგომი სიტუაციის ანალიზის შედეგები გამოიყენეთ კულტურული მემკვიდრეობის იმ ძეგლების გამოსავლენად, რომელთა რეაბილიტაცია საჭიროებს მდგომარეობის დეტალურ შეფასებას. მდგომარეობის შეფასება დაგეხმარებათ პრიორიტეტების განსაზღვრაში. ეს პროცესი მოითხოვს, შეაფასოთ:

- მიყენებული ზიანი და შემოსავლის დანაკარგი (**PDNA** იხ. გვ. 66);
- კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების პროცესები (მაგ., მარილების მიგრაცია და ფერის საგრძნობი ცვლილება სინათლეზე ხანგრძლივი ექსპოზიციის გამო);
- პირველადი დახმარების დროს განეული სტაბილიზებისა და უსაფრთხოების ქმედებები;
- არსებული რისკები და სისუსტეები, განსაკუთრებით აქტიური გაუარესების პროცესები, რომლებიც მემკვიდრეობას მოწყვლადს ხდის მომავალი კატასტროფების შემთხვევაში.

კრიზისის შემდგომი მდგომარეობის შეფასება უნდა აისახოს ანგარიშში, რომელიც მოიცავს დაზიანებებისა და რისკების დეტალურ ფოტოდოკუმენტაციას, განახლებულ ნუსხებს, ძეგლის რუკებს, გეგმებს. მიუთითეთ პირველადი დახმარების დეტალები იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც შეგროვდა **უსაფრთხოებისა და სტაბილიზების** (იხ. გვ. 70) ეტაპის დროს.

მსგავსი შეფასება შესაძლოა მოიცავდეს ანალიტიკური ხასიათის კვლევებს, როგორცაა, სხვადასხვა ტიპის დუღაბის შემონემა სიმტკიცეზე ან მხატვრობაში გამოყენებული პიგმენტების და ადჰეზივების (ნებოები)

ანალიზი. თუ გაქვთ შესაძლებლობა, გამოიყენეთ ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, როგორცაა **3D ლაზერული სკანერი** და **ფოტოგრამეტრია**. მათ შეუძლიათ ზუსტი მონაცემების გამოთვლა, რაც მნიშვნელოვანია საბოლოო რესტავრაციისათვის. დოკუმენტაციის დონე დამოკიდებული იქნება დაზიანებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, ზიანის დონესა და ხელმისაწვდომ რესურსებზე.

მდგომარეობის შეფასებაში უნდა ჩაერთონ პროფესიონალების მულტიდისციპლინარული ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ კონსერვაციის სპეციალისტები, არქიტექტორები, კურატორები, სტრუქტურული ინჟინრები, ანალიტიკური ქიმიკოსები, ანთროპოლოგები და ისტორიკოსები. გუნდის შემადგენლობა დამოკიდებული იქნება დაზიანებული მემკვიდრეობის ბუნებაზე. მცველებთან და ადგილობრივებთან კონსულტაცია უაღრესად მნიშვნელოვანია ძირეული შეფასებისათვის.

3 კოორდინაციის, მონაწილეობისა და შესაძლებლობების გაძლიერების მექანიზმების განვითარება

ფართომასშტაბიანი ნგრევის შემდგომ ადგილობრივ კულტურულ ორგანიზაციებს და საზოგადოებებს შესაძლოა არ გააჩნდეთ კულტურული მემკვიდრეობის აღსადგენად სათანადო უნარები, სახარჯი მასალები, თანხები ან ინსტიტუციურ მექანიზმებზე წვდომა. ადრეული აღდგენის ფაზა შესაძლოა გამოყენებული იყოს ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორცაა: აღდგენისთვის საჭირო რესურსების დადგენა, ადგილობრივი შესაძლებლობების შეფასება, უნარების, ცოდნისა და ინსტიტუციური პოლიტიკის გასაძლიერებელი ტრენინგების წამოწყება.

ადრეული აღდგენის ფაზის დროს მნიშვნელოვანია მოხდეს გეგმის კოორდინირება სხვა სექტორების გეგმებთან და ამავდროულად განვითარდეს დაზარალებულების მონაწილეობის უზრუნველყოფი მექანიზმები. მაგალითად, ჩამოყალიბდეს მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული ახალი სამშენებლო პოლიტიკა და რეგულაციები, რაც შესაძლოა, საზიანო აღმოჩნდეს არქიტექტურული მემკვიდრეობის აღდგენისა და მისი მომავალი გამოყენებისათვის. ამასთან, საზოგადოებებს შესაძლოა ჰქონდეთ პრიორიტეტები, პირველად რომელი მემკვიდრეობა უნდა იქნას აღდგენილი.

ეცადეთ, გამოიყენოთ ადგილობრივი საზოგადოების ტრადიციული უნარები და ცოდნა და აღდგენის პროცესში მონაწილეობა მიაღებინოთ. ფაქტობრივად, ადრეული აღდგენის ეტაპი შეგიძლიათ გამოიყენოთ ადგილობრივი საზოგადოების ჩასართავად მემკვიდრეობის აღდგენისა და ხელახალი გამოყენების ვარიანტების ჩამოყალიბების პროცესში.

კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის პროცესში ჩართვით დაინტერესებული და მოქმედი პირების გამოსავლენად, შეგიძლიათ გამოიყენოთ ინფორმაცია პირველადი დახმარების შემდგომი სიტუაციის ანალიზიდან.





აღმავალი, ადგილობრივი საზოგადოებიდან მომდინარე ინიციატივების როლი კულტურული და სოციალური აღდგენის საკითხებში. ქალაქი ლ'აკვილა, იტალია

2009 წლის 6 აპრილს 6,1 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა აბრუცოს რეგიონში, ცენტრალურ აპენინებში. მიწისძვრამ სერიოზულად დააზარალა დედაქალაქი ლ'აკვილა და 50 მიმდებარე ქალაქი.

მიწისძვრის შემდგომ საგანგებო რეაგირების ეტაპზე სამაშველო ოპერაციებს იტალიის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი მართავდა. მოხდა მაცხოვრებლების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა და ქალაქის ისტორიული ცენტრიდან მოსახლეობის სრული ევაკუაცია, ტერიტორია შემოღობილ იქნა და მძიმე ხარისხის დაზიანების გამო წითელ ზონად გამოცხადდა.

ლ'აკვილას მოსახლეობისათვის ქალაქის ისტორიული ნაწილი ყოველთვის წარმოადგენდა ცოცხალ სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეს, სადაც ხალხი ერთმანეთს ხვდებოდა, ურთიერთობდა და ერთობოდა. ქალაქის მოედნები და ღია სივრცეები მათი ყოველდღიური ცხოვრებისა და კულტურის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. კატასტროფის შემდგომ ამ ადგილებთან წვდომის ხანგრძლივი შეზღუდვა მძაფრად აისახა მოსახლეობაზე, რადგან თავშეყრის ადგილების შემცირება გამოიწვია.

საპასუხოდ, ლ'აკვილას მოსახლეობამ გამოიჩინა ინიციატივა და ჩართო ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენის პროცესში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივის – 'Viviamolaq'-ის ავტორები არიან ლ'აკვილას უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

'Viviamolaq'-ს წვლილი შეაქვს სოციალურ, ურბანულ და კულტურულ აღდგენაში ურბანული სივრცეებისა და მიტოვებული ადგილების ხელახალი გამოყენების მეშვეობით. მისი პროექტები ეფუძნება გარემო და სოციალური მდგრადობის პრინციპებს და ასრულებენ სოციალური თანხმობისა და კოლექტიური ქმედების კატალიზატორის როლს. პროექტების მთავარი ელემენტებია თანამონაწილეობა და თანამშრომლობა კრეატიული დაგეგმვის ეტაპიდან მშენებლობის ეტაპის ჩათვლით. ზუსტად ამ სულისკვეთებით შეიქმნა პროექტი „გადატვირთვა“, რომლის განხორციელებაც 2014 წელს დაიწყო. პროექტის ფარგლებში ლ'აკვილას უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის წინ განლაგებული მიტოვებული საზოგადოებრივი სივრცე გადაკეთდა სტუდენტებისა და ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის ღია სარეკრეაციო ზონად. რეკონსტრუქციისას გადამუშავებული მასალები





(ნარჩენები, დაზიანებული შენობების გასამაგრებლად გამოყენებული ხე და მეტალი) გამოყენებულ იქნა ურბანული ავეჯის დასამზადებლად, ამან კი მოახდინა კატასტროფის მენსიერების ინტეგრირება (ამ მასალების დახმარებით) ახალ პროექტში, რაც უდავოდ მისი ძლიერი მხარე აღმოჩნდა. შედეგად გამოჩნდა აღდგენის შესაძლებლობა და ნათელი გახდა, როგორ შეიძლება მედეგობისა და სოციალური თანხმობის გაზრდა კატასტროფის შემდგომ ფაზაში.

ლ'აკვილაში თემზე დაფუძნებული აღდგენითი ზომების წარმატების შედეგად, მსგავსი მიდგომები გამოიყენეს მინისძვრის შემდგომ ემილია-რომანიაში 2012 წელს და 2016-17 წლებში ცენტრალურ იტალიაში.

წყარო: ვალენტინა სპანო. ბრანდენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის – კოტბუს-ზენფტენბერგი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, ICCROM-ის ყოფილი სტაჟორი, კოლექციების განყოფილება

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 168



„გადატვირთვა“: საზოგადოებრივი სივრცეების შესაქმნელად გადამუშავებული კატასტროფის ნაშალის გამოყენება ლ'აკვილას ისტორიულ ცენტრში. ფოტო: ვალენტინა სპანო



ჰაიტიში მცირე ბიზნესის აღდგენის მიზნით ხელოსნებისათვის შესაძლებლობების განვითარება

2010 წლის მიწისძვრამ ჰაიტიში ბევრი ხელოსანი ქვეყნის მთავარ რენვის ცენტრში, ჯაკმელში დატოვა სახლის, სამსახურის, ინსტრუმენტებისა და მასალების გარეშე. მიწისძვრა მოხდა იანვარში, ხელოსნებისათვის დატვირთულ პერიოდში, როდესაც ყოველწლიური კარნავალისათვის მზადება მიმდინარეობს. ამ პერიოდში მასალების შესასყიდად და კარნავალის კოსტიუმების დასამზადებლად ხელოსნები ხშირად სარგებლობენ სესხებით. სახლების განადგურების გამო მათ დაკარგეს ნამუშევრები და საქონელი, ამან კი შეუძლებელი გახადა სესხის დაფარვა.

პირველადი დახმარების ფაზის დროს ყურადღება გამახვილდა საზოგადოების თავშესაფრით უზრუნველყოფასა და საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, თუმცა შემდეგ, ადრეული აღდგენის ეტაპზე, იუნესკომ ითანამშრომლა ხელოსნებთან მათი ბიზნესსაქმიანობის განახლების მიმართულებით: უზრუნველყო ისინი საჯარო (დროებითი) სამუშაო ადგილით და სავაჭრო სივრცით, საჭირო მასალებითა და ინსტრუმენტებით.

რადგან მათი გასაღების ბაზარი (უმეტესად უცხოეთში) დიდად არ შეცვლილა, დახმარების პროცესი წარიმართა ხელოსნებისთვის საქმიანობის აღდგენის შესაძლებლობის შექმნის მიმართულებით, რადგან ძირითადი პრობლემა მიწისძვრით გამოწვეული ვალის გასტუმრების უუნარობას და ფულადი ნაკადის წყვეტას უკავშირდებოდა. როგორც კი ხელოსნებმა განაახლეს მუშაობა, უმრავლესობამ მოახერხა დაკარგულის აღდგენა.

წყარო: ელკე სელტერი, ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკანისტიკის სკოლა, გაერთიანებული სამეფო.



ჯაკმელის კარნავალისთვის შესაღებად გამზადებული პაპიე მარს ნიღბები, 2012. ფოტო: ელკე სელტერი



რეწვის ნიმუშები ჯაკმელში, 2010, ფოტო: ელკე სელტერი

4 შეაფასეთ კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება, ფუნქცია და მნიშვნელობა

კატასტროფის შემდგომ კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის შესაძლებლობები განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენადაა შესაძლებელი სამომავლოდ მისი გამოყენება და რამდენად დააკმაყოფილებს დაზარალებული ინსტიტუციებისა და საზოგადოების კრიზისის შემდგომ მოთხოვნებს. კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების ან ფუნქციის შეცვლის გადანყვეტილება შესაძლოა სადავო აღმოჩნდეს, შესაბამისად, უნდა ყურდნობოდეს საზოგადოების მხრიდან ფართო კონსენსუსს, რომლის მიღწევაც ადრეული აღდგენის ფაზის დროს არის რეკომენდებული.

პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად სადავო კულტურული მემკვიდრეობის ირგვლივ არსებული ნარატივები სასურველია მეტად ინკლუზიური გახადოთ, რათა მარგინალური საზოგადოებები მეტად იყვნენ წარმოდგენილი. ასეთი ნაბიჯები უნდა იყოს გამჭვირვალე და მოიცავდეს კონსულტაციას დაზარალებულ საზოგადოებასთან და კონფლიქტის ყველა მხარესთან.

ბევრ შემთხვევაში, დაზარალებულ საზოგადოებას შესაძლოა ახალი მემკვიდრეობის შექმნა სურდეს განადგურებული სივრცეების მემორიალებად გადაქცევის, კატასტროფისადმი მიძღვნილი ახალი მონუმენტების შექმნის ან მემორიალური ღონისძიებების ორგანიზების გზით. ამ უკანასკნელმა დროთა განმავლობაში შეიძლება არამატერიალური მემკვიდრეობის სახე მიიღოს. ამის ცნობილი თანამედროვე მაგალითი არის **'Ground Zero'** ნიუ-იორკში. ეს ნარატივები შესაძლოა მოიცავდნენ როგორც არტეფაქტებს, ისე კულტურულ ინსტიტუციებს. აპარტაიდის მუზეუმი და მეექვსე დანაყოფის მუზეუმი სამხრეთ აფრიკაში მნიშვნელოვანი მაგალითებია იმისა, თუ როგორ შეიტანეს თავისი წვლილი ინსტიტუციებმა აღდგენის პროცესსა და დიალოგის ჩამოყალიბებაში.

ზოგიერთ საზოგადოებას ურჩევნია მემკვიდრეობის ძეგლის ცოცხალი ასპექტი შეინარჩუნოს და მას განადგურების ყველა ნიშანი ჩამოაშოროს. მსგავსი ვითარებისას, შესაძლოა მემკვიდრეობა სრულიად შეიცვალოს ახალი სტრუქტურით. ამის მაგალითია შრი-ლანკაში 1998 წელს ბომბის აფეთქებით დაზიანებული ტაძრის Temple of the Tooth Relic of Buddha რესტავრაცია. სხვა შემთხვევებში, რეაბილიტაციისას პრიორიტეტი ენიჭება მემკვიდრეობის მატერიალურ ასპექტებს და იმგვარად ტარდება, რომ დაზიანების ყველა ნიშანი აღმოიფხვრას. ამის მაგალითია ვარშავის ისტორიული ცენტრი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებენ ორივე ხედვას. ბოლო წლებში აღდგენის შესაძლებლობებს ბევრი ტექნოლოგიური სიახლე დაემატა, მაგალითად, დაზიანებული მემკვიდრეობის ლაზერული პროექცია **ბამი-ანში** ან 3D ბეჭდვა (**პალმირას თალი**).

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 168





ღია საცავი: ადაპტაცია და ხელახალი გამოყენება ნეპალის ეროვნულ მუზეუმში ადრეული აღდგენის ეტაპზე

გორხას მინისძვრის შემდგომ, 2015 წელს, 10 მუზეუმი, მათ შორის ნეპალის ეროვნული მუზეუმი, იძულებული იყო, მოეხდინა კოლექციების ევაკუაცია მძიმედ დაზიანებული, საფრთხის შემცველად გამოცხადებული ნაგებობებიდან. უსაფრთხოებისთვის კოლექციები დროებით ინახებოდა საკუთრივ მუზეუმების საგამოფენო გალერეებში, რის გამოც ისინი ნაწილობრივ დაიხურა. ადრეული აღდგენის ფაზის დროს ICCROM-მა არქეოლოგიის დეპარტამენტთან და ნორვეგიის კლიმატისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად ჩაატარა დაზიანებული მუზეუმების თანამშრომელთა ტრენინგი, რაც მიზნად ისახავდა, შექმნილიყო ღია, მაგრამ დაცული სივრცეები ორმაგი ფუნქციით – ადგილნაცვალი კოლექციების მოსათავსებლად და ახალი საგამოფენო სივრცეების შესაქმნელად ვიზიტორთა მოსაზიდად.

იხ. ბიბლიოგრაფია გვ. 168



კატასტროფის შემდგომ ახალ ფუნქციასთან ადაპტაცია: უსაფრთხო დროებითი საცავი ნეპალის ეროვნულ მუზეუმში გადატანილი კოლექციების შესანახად და დამოუვლიერებლთა მოსაზიდად, 2016, ფოტო: აპარხა ტანდონი, ICCROM

5 რესურსების შეგროვება

კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარებისა და აღდგენის პროცესებს შორის არსებული პერიოდი უნდა გამოიყენოთ სხვადასხვა წყაროდან რესურსების მოსაგროვებლად, მათ შორის: ეროვნული და ადგილობრივი მთავრობის, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო ორგანიზაციების და კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციებისგან. პოსტკრიზისული საჭიროებების განსასაზღვრად განსაკუთრებულად სასარგებლოა პირველადი დახმარების შემდგომ არსებული მდგომარეობის შეფასების ანგარიშები. საჭირო რესურსების მიწოდებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა გვეხმარება დავრწმუნდეთ, რომ რეაბილიტაციის პროცესი იმართება ადგილობრივი საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინებით და არა დონორების პრიორიტეტების მიხედვით.



ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დონორებთან, მთავრობასთან, დაინტერესებულ პირებთან და ზოგადად საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება.

დასკვნა

სახელმძღვანელოში აღწერილი სამსაფეხურიანი გეგმა ზრდის კულტურული მემკვიდრეობის კოორდინირებული პირველადი დახმარებისათვის მზადყოფნას, რასაც ადრეული აღდგენის ფაზა მოჰყვება. თუმცა არასწორია ვარაუდი, რომ საფეხურებს შორის კავშირი სწორხაზოვანია და მოვლენები განსაზღვრულ ვადებში თანმიმდევრულად ვითარდება. მასშტაბური ან კომპლექსური საგანგებო სიტუაციის დროს კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება მრავალფეროვან გეოგრაფიულ სუბრეგიონებში შესაძლოა სხვადასხვა პერიოდებში ჩატარდეს. მისი განხორციელება დამოკიდებულია დაზიანებულ კულტურულ მემკვიდრეობასთან უსაფრთხო და უწყვეტ წვდომასა და არსებულ ეროვნულ და ადგილობრივ შესაძლებლობებზე.

მეტიც, თუკი ადრეული აღდგენის ფაზის დროს კულტურული მემკვიდრეობა მოწყვლადი რჩება, შესაძლოა აუცილებელი იყოს პირველადი დახმარების გამეორება სხვა საგანგებო სიტუაციის დროს, მაგალითად, განმეორებითი მიწისძვრის ან განახლებული კონფლიქტის შემთხვევაში.

კატასტროფებისა და კონფლიქტების დროს მემკვიდრეობის შედგენის გასაუმჯობესებლად უმნიშვნელოვანესია, აწარმოოთ რისკების მართვა, **საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დაგეგმვა**, კოორდინაცია მოქმედ და დაინტერესებულ პირთა შორის, კულტურულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ საზოგადოებაში შესაძლებლობების გაზრდა და სწავლება მოწყვლადობის დასაძლევად.





შეხვედრის

3D ლაზერული სკანერი

არაკონტაქტური ხელსაწყო, რომელიც იყენებს ლაზერულ სინათლეს, რათა ციფრულად ჩაინიშნოს ობიექტის ფიზიკური ფორმა მის მიერ არეკლილი სინათლის მეშვეობით, რომელიც გავივლის კამერის ლინზაში და ქმნის ინფორმაციას ობიექტის ზედაპირის შესახებ. 3D ლაზერი არის ფიზიკური ობიექტის ზუსტი ზომისა და ფორმის ჩაინიშნის და მისი სამგანზომილებიანი რეპრეზენტაციის შექმნის საშუალება. ის გამოიყენება რთული ობიექტების გასაზომად, რომელთა აღწერაც დიდი რაოდენობის ინფორმაციას მოითხოვს, რაც ტრადიციული გზებით რთული მოსაპოვებელია (Historic England, 2018).

მეტი ინფორმაციისთვის: <https://perma.cc/YLM5-LQL2>

ადამიანის მიერ შექმნილი საფრთხით გამოწვეული საგანგებო სიტუაცია

ადამიანის მიერ შექმნილი საფრთხით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა არის მოვლენა, რომელიც გამოწვეულია ადამიანის ქმედებებით და გავლენას ახდენს მოსახლეობასა და გარემოზე, მაგ.: ბირთვული და რადიაციასთან დაკავშირებული ინციდენტები, ქიმიკატების გაჟონვა, გაუდაბნობა, გარემოს დაბინძურება, კონფლიქტები, ეპიდემია, ხანძარი (ICDO, 2017; UNISDR 2018).

მეტი ინფორმაციისთვის:

ICDO, 2017: <http://www.icdo.org/en/disasters/>

UNISDR, 2018: <https://perma.cc/6PKN-W9ND>

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს პრაქტიკებს, რეპრეზენტაციებს, გამოხატვებს, ცოდნას, უნარებს, ინსტრუმენტებს, არტეფაქტებსა და კულტურულ სივრცეებს, რომლებსაც საზოგადოება, ჯგუფი ან პიროვნება ცნობს როგორც თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას. ის თაობიდან თაობას გადაეცემა და განუწყვეტლად ახლდება საზოგადოების გარემოსთან და ისტორიასთან ურთიერთქმედების შედეგად, ამრიგად ქმნის იდენტობისა და მთლიანობის შეგრძნებას, რომელიც ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნებისა და ადამიანური შემოქმედებითობის პატივისცემას. ასეთი ტიპის მემკვიდრეობა გამოხატულია ზეპირი ტრადიციების, წესების, ენის, თეატრალური შემოქმედების, რიტუალებისა და დღესასწაულების, პოპულარული სპორტის, კვების და კულინარიული ხელოვნების, ტრადიციული მედიცინისა და ფარმაცოპიის, ტრადიციული რენვისა და მასთან დაკავშირებული უნარების, ბუნებრივი გარემოდან მომდინარე ცოდნისა და პრაქტიკების მეშვეობით (ICOMOS, 2002; UNESCO, 2003).

მეტი ინფორმაციისთვის: UNESCO: <http://perma.cc/5ZXN-XCPV>

აღდგენა

